

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნ ი ნ ო ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე

საშუალო გვარის ზმნათა უღლების სისტემა თანამედროვე ქართულში

სადისერტაციო ნაშრომი
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად

10.02.01 – ქართული ენა

**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი დამანა მელიქიშვილი**

თბილისი

2006

შესავალი

ზმნის მრავალფეროვან კატეგორიებს შორის ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი (მათ შორის სირთულითაც) გვარს უჭირავს. სწორედ გვარის მიხედვით გამოიყოფა უღლების ტიპები. ამიტომ ამ უკანასკნელის განხილვისას პირველ რიგში სწორედ გვარის კატეგორიის საკითხია გასარკვევი.

მიუხედავად იმისა, რომ ძველ ქართულ გრამატიკებში გვარი, როგორც ზმნის ძირითადი კატეგორია, ყველგან არის გამოყოფილი (ანტონ I-ის “ქართული ღრამმატიკა”, გაიოზ რექტორის “ქართული ღრამმატიკა”, ს. დოდაშვილის “ქართული გრამატიკა”, ს. ხუნდაძის “ქართული გრამატიკა”, მ. ჯანაშვილის “ქართული გრამატიკა”), ყველაზე სრული და დახვეწილი სისტემა პირველად ა. შანიძის მიერ იქნა შემუშავებული.

ა. შანიძის მიხედვით¹, გვარი არის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, როგორი ურთიერთობაა გრამატიკულად მოქმედ პირსა და მისით აღნიშნულ ქმედებას შორის. ამის მიხედვით გვაქვს 3 გვარი: მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი.

მოქმედებითი გვარის ფორმა გვიჩვენებს, რომ სუბიექტი რეალურად მოქმედი პირია და მას აქვს სამოქმედო, პირდაპირობიექტური პირი. (*ვაგორებ მე მას*).

ვნებითია გვარი, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტი იმასვე განიცდის, რასაც პირი განიცდიდა სათანადო მოქმედებითში. (*გორდება ის*).

საშუალი გვარის ფორმა გვიჩვენებს, რომ სუბიექტი მოქმედებს ისე, რომ სამოქმედო პირი არა აქვს, მაგრამ არც მოქმედებას არ განიცდის. (*გორავს ის*).

სამივე ტიპის ზმნა რომ სხვადასხვა ერთეულია, ეს საკამათო არ არის. საქმე ისაა, რომ ეს სამი ფორმა (შესაბამისად გვარი) ერთმანეთს თანაბარი ძალით არ უპირისპირდება: აქტივ-ვნებითი ერთად დგას, საშუალი კი - ცალკე. საშუალი, ფაქტიურად, არც არის გვარი, რადგან მას არა აქვს საპირისპირო ცალი. ამ წინააღმდეგობას კარგად გრძნობდა ა. შანიძე. ადრინდელ გამოცემებში² საშუალი გვარის ზმნა მკვლევარს სწორედ უგვარო ზმნათა რიგში აქვს მოქცეული საპირისპირო

¹ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 280

² ა. შანიძე, ქართული გრამატიკა, I, მორფოლოგია, ტფ., 1930, გვ. 113-120

გვაროვნული ფორმების არარსებობის გამო. მაგრამ ამ დეფინიციის მიხედვით საშუალო გვარის ზმნები სისტემის გარეშე არიან დარჩენილები, რადგან ქართული ზმნის ძირითად საკლასიფიკაციო პრინციპად აღებული არის (და უნდა იყოს კიდევაც) გვარის კატეგორია. ჩვენი აზრით, სწორედ ამიტომ შეცვალა მკვლევარმა გვარის კატეგორიის განმარტება შემდეგ გრამატიკებში და აღნიშნულ ტიპებს უწოდა საშუალო გვარის ზმნები (საშუალო – ე. ი. არც მოქმედებითი და არც ვნებითი). მაგრამ, ჯერ ერთი, ამ შემთხვევაში უკვე თვითონ გვარის განმარტებაა ბუნდოვანი; და რაც მთავარია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საშუალო გვარის ზმნები, არსებითად, უგვარო ზმნებია, მაშინ, როდესაც ამ კლასიფიკაციის მოხედვით ისინი გვარის კატეგორიის სამწევრა სისტემის შიგნით აღმოჩნდნენ მოქცეულნი.

აღნიშნული წინააღმდეგობის გადალახვა (საშუალო გვარის ზმნათა სისტემაში მოქცევა) სცადა არნ. ჩიქობავამ, როდესაც ქართული ზმნის ძირითად საკლასიფიკაციო პრინციპად დინამიკურ და სტატიკურ ზმნებად, ერთი მხრივ, და გარდამავალ და გარდაუვალ ფორმებად, მეორე მხრივ, დაყოფა გამოაცხადა³. დინამიკურ ზმნებში მოხვდნენ აქტივისა და პასივის ფორმები (*აფენს, იფინება*), ხოლო სტატიკურში – საშუალო და სტატ. ვნებითები (*წუხს, წერია*). ამ შემთხვევაში სისტემის გარეთ დარჩენის საშიშროებას ასცდნენ საშუალო გვარის ზმნები; მაგრამ საკამათოა, ერთი მხრივ, სტატიკური ვნებითისა და საშუალოს გაერთიანება ერთ ჯგუფში, საშუალო გვარის ზმნების გამოცხადება სტატიკურ ფორმებად (განსაკუთრებით სტატიკური ვნებითების გვერდით); და მეორე მხრივ, ძირითად საკლასიფიკაციო ერთეულად დინამიკურობა-სტატიკურობისა და გარდამავლობა-გარდაუვალობის გამოცხადება მაშინ, როდესაც ზმნის მთავარი და უმნიშვნელოვანესი კატეგორია არის გვარი და, აქედან გამომდინარე, ძირითად საკლასიფიკაციო პრინციპადაც ზმნების სწორედ გვარის კატეგორიის მიხედვით დაყოფა უნდა იყოს აღებული.

ბ. ჯორბენაძის აზრით, *აწუხებს-წუხს* ფორმები ერთმანეთს უპირისპირდება არა გვარის, არამედ უკუქცევითობის თვალსაზრისით:⁴ *აწუხებს* – უკუუქცევია, *წუხს* კი – უკუქცევითი. უკუქცევითი ფორმა სტატიკურია. დაპირისპირება ამჟამად მხოლოდ ფუნქციურია, უკუქცევითობის ადრინდელი ნაშთი ი- პრეფიქსი ახლა მხოლოდ

³ არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება, ქეგლ, I, თბ., 1950, გვ. 051

⁴ ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975, გვ. 79

მყოფადში გამოჩნდება. მოქმედებითისა და საშუალის ამ გაერთიანებას ხელს უწყობს ისიც, რომ ერთი და იგივე ფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც უკუქცევითი, ისე უკუუქცევი მნიშვნელობითაც.⁵ შდრ:

აქტ. – წარმოადგენს ის შრომას.

საშ. – წარმოადგენს შრომა მნიშვნელოვან შენაძენს.

ყოველივე აქედან გამომდინარე, გვარი უფრო ზოგადი კატეგორიაა, ვიდრე უკუქცევითობა. გვარი მოიცავს უკუქცევითობას, მაგრამ უკუქცევითობა ვერ მოიცავს გვარს. ასე რომ, ქართულში ზმნის აქტიურობა-პასიურობის მიხედვით არის ორი გვარი: მოქმედებითი და ვნებითი; აქედან, მოქმედებითი ორგვარია: უკუუქცევი და უკუქცევითი.⁶

აღნიშნულ სისტემაში საშუალებს კი მიენიჭა ადგილი, მაგრამ - გვარის კატეგორიაში, მაშინ, როდესაც იგი, არსებითად, უგვარო ზმნაა.

დ. მელიქიშვილი გამოჰყოფს “უფრო ფართო გრამატიკულ კატეგორიას, რომელიც მოიცავს დესტინაციურ სისტემას, რეფლექსივისა და გვარის გაგებას” – დიათეზას.⁷ მკვლევარი გამოჰყოფს სამ დიათეზას:

I დიათეზაში შედიან იდენტური სტრუქტურის ზმნები: ავტოტივები (საშ. გვარის ზმნები) და აქტივები;

II დიათეზაში გაერთიანებულია დინამიკური (ვნებითები) და სტატიკური (სტატიკური ვნებითები) ზმნები;

III დიათეზაში თავმოყრილია მეორეული, ინვერსიული, ნარევი სტრუქტურის ზმნები: *უყვარს* (მედიოპასივები), *აკანკალებს* (აქტივისაგან მიღებული საშუალები გვარის ფორმები), *ემღერება* (ვნებითები).

ამ სისტემის მიხედვითაც გაერთიანებულია აქტივი და საშუალები; ვნებითი აქაც ცალკეა, ოღონდ დამატებით კიდევ ერთი – ინვერსიული და პირდაკლებული ფორმებისაგან შემდგარი ჯგუფია გამოყოფილი. ფაქტიურად, სისტემა აქ მაინც სუბიექტისა და ობიექტების მიმართების, კონკრეტულად, რეალური სუბიექტის ბრუნვის მიხედვით არის ჩამოყალიბებული. ძირითად საკლასიფიკაციო პრინციპად

⁵ იქვე, გვ. 82

⁶ იქვე

⁷ დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001, გვ. 66

კი, როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, ზმნათა გვარის კატეგორიის მიხედვით დაყოფის პრინციპი უნდა მივიჩნიოთ.

რადგან ყველა კლასიფიკაციას აღმოაჩნდა თავისი ხარვეზი, ჩვენ კი არ შეგვიძლია შემოგთავაზოთ უფრო სრულყოფილი სისტემა (ეს არც შედის ამჟამად ჩვენს მიზნებში), მიზანშეწონილად მიგვაჩნია მივყვეთ ა. შანიძის კლასიფიკაციას და აღნიშნული ტიპის ზმნები საშუალო გვარის ფორმებად მოვიხსენიოთ. მით უმეტეს, რომ, რომელი ვარაუდიც არ უნდა გავიზიაროთ, საშუალო გვარის სახელით ცნობილი ზმნები (რომელთა უღლების სისტემის განხილვაც არის, ამჟამად, ჩვენი მიზანი) მაინც ყოველთვის ცალკე ჯგუფად გამოიყოფა.

აქვე უნდა დავაზუსტოთ, რომ საშუალო გვარის ზმნათა რიგში (სხვა, არასადაო ფორმებთან ერთად) შემოგვყავს ასევე პირის კლებით მოქმედებითი გვარის ზმნებისაგან მიღებული ფორმები (*ანათებს ის, იძინებს ის, აკანკალებს მას*), რომლებიც ფუნქციურად უკვე საშუალო გვარის ზმნებად არიან ქცეულნი; ასევე 30-იანი *თამაშობს* ტიპის ფორმებიც, რადგან:

1. წარმოშობითა და სტრუქტურით ეს ზმნები სხვა საშუალო გვარის ზმნების ფარდი ფორმებია. შდრ:

კანკალი – კანკალებს

თამაში – თამაშობს

2. პირდაპირობიექტიანი ფორმის გვერდით გვაქვს იდენტური სტრუქტურის ერთპირიანი ფორმა:

თამაშობს ბავშვი ეზოში (ერთპირიანი)

თამაშობს ბავშვი ფეხბურთს (ორპირიანი)

3. უღლების მიხედვით აღნიშნული ზმნები საშუალო გვარის ფორმების რიგშია:

კანკალებს – იკანკალებს

თამაშობს – ითამაშებს

ნაშრომში არ გვაქვს განხილული სხვადასხვა სტრუქტურისა (-ა, -ია – ზე დაბოლოებული) და სტატიკური შინაარსის ფორმები (*ჰშია, სცივა, სცხელა, სწყურია*), რომლებიც, ჩვენი აზრით, მართალია ა. შანიძეს საშუალო გვარის (მედოპასივის) რიგში ჰყავს შეყვანილი, მაგრამ განსხვავებული სტრუქტურისა (კონკრეტულად დაბოლოება) და მკვეთრად გამოხატული სტატიკურობის გამო (რომელიც არ უდრის სხვა საშუალო, თუნდაც *წუხს* ფორმის სტატიკურობას (თუ ამ ტიპის ფორმებს

სტატუტურად მივიჩნევთ საერთოდ), ამ ზმნათა გაერთიანება საშუალო გვარის ზმნებში საკამათოა, მათი ადგილის ძიება ჯერ კიდევ საკვლევეია. (თავად ა. შანიძეც მიუთითებს, რომ მედიოპასივები ახლოს დგანან სტატუტურ ვნებითებთან; რომ გრამატიკული მნიშვნელობის მხრივ არც არის მათ შორის სხვაობა).⁸

აქვე უნდა ითქვას, რომ ნაშრომში ასევე არ განვიხილავთ ზმნისწინიან და სასხვისო ქცევის (უფრო ზუსტად, უ- პრეფიქსიან) ფორმებს, თუ ეს ფორმები მართლაც ამ მაწარმოებლებით არ იხმარება (ამ დროს ისინი, ფაქტიურად, შეხორცებულნი არიან ძირს და ახალ შინაარსს აძლევენ მას). ზმნისწინიანი და უ- პრეფიქსიანი ფორმების განხილვის შემთხვევაში უნდა დაგვეზუსტებინა, გაგვერკვია სხვა საკითხებიც (რომლებიც აუცილებლად წამოიჭრებოდა ამ დროს), რაც შორსაც წაგვიყვანდა და ამჯერად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენდა. გარდა ამისა, საშუალო გვარის ზმნათა უღლების ზოგადი სურათი ამ ფორმათა გარეშე შეიძლება დაიხატოს.

რაც შეეხება საშუალო გვარის ზმნათა უღლების სისტემას. ა. შანიძე აღნიშნავს,⁹ რომ მედიოაქტივი მოქმედებითი გვარის სათავისო და სასხვისო ფორმებს მიმართავს მწკრივების საწარმოებლად:

ა-დულ-ებ-ს ის მას

ი-დულ-ებ-ს ის მას

უ-დულ-ებ-ს ის მას მას

სწორედ *ი-ებ*, *უ-ებ* პრეფიქს-სუფიქსებს იყენებს საშუალო უღლებისას:

დულ-ს ის – ი-დულ-ებ-ს ის

პატრონობ-ს ის მას – უ-პატრონ-ებ-ს ის მას

აქვე აღნიშნულია¹⁰, რომ III სერიაში აქტივებთან დამთხვევის თავიდან არიდების მიზნით საშუალო გვარის ზმნები *-ებ* თემის ნიშანს ჩამოიშორებენ:

ა-ტრიალ-ებ-ს ის მას – უ-ტრიალ-ებ-ი-ა ის მას (მოქმედებითი)

მაგრამ

ტრიალ-ებ-ს ის – უ-ტრიალ-ი-ა მას (საშუალო)

მედიოპასივები, ა. შანიძის აზრით¹¹, დანაკლის ფორმებს თავისივე ფუძისაგან ნაწარმოები ვნებითი გვარის ფორმებისგან ივსებენ. ამათგან ზოგს უწყვეტელი და

⁸ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 320

⁹ იქვე, გვ. 470

¹⁰ იქვე, გვ. 476

აწმყოს კავშირებითი აკლია და აქვს II სერიის ფორმები (*ზის ის*), ზოგს კი პირიქით, II სერიის მწრივები აკლია და აქვს უწყვეტელი და აწმყოს კავშირებითი (*უყვარს ის მას*).

აქვეა მოტანილი ზმნები, რომელთაც მარტო აწმყოს წრის მწკრივები მოეპოვება: *ჩანს, ჭირს, ყვავის, ხურს* და სხვ.¹²

არნ. ჩიქობავას მიხედვით, აქტივებიდან ნასესხები ფორმების პარალელურად მედიაოქტივებთან ვნებითიდან ნასესხები ფორმებიც გვაქვს:¹³

აწმყო: *ის წუხს*

ნამყო: *მან იწუხა // ის შეწუხდა*

I თურმეობითი: *მას უწუხნია // ის შეწუხებულა*

ასევე:

აწმყო: *მას უყვარს*

ნამყო: *მას შეუყვარდა*

I თურმეობითი: *მას შეჰყვარებია*

ვნებითის ფორმების სესხება მედიაოქტიური ზმნების სახელით ცნობილი ფორმებისათვის შესაძლებლად მიაჩნია ბ. ჯორბენაძესაც.¹⁴ მას ასევე აღნიშნული აქვს, რომ საშუალისაგან ნაწარმოებ რელატიურ ფორმებს (*უფრიალებს ის მას*) მხოლოდ რელატიურივე ვნებითის ფორმებით შეუძლია მწკრივების შევსება. მეორე მხრივ, ამ ვნებითებსაც (*აუფრიალდება ის მას*) აკლია აწმყო და მის მაგივრობას საშუალი გვარის ზმნები (*უფრიალებს ის მას*) სწევენ.¹⁵

აქტივებიდან სესხების თეორიის მომხრეა მ. სუხიშვილიც, რომლის აზრითაც,¹⁶ მველ ქართულში პარალელურად იხმარებოდა იდენტური შინაარსის, სტატიკური და სასუბიექტო ქცევის ფორმები: *ამპარტავნობს ის* და *იამპარტავნებს ის*. უღლების ახალ სისტემაზე გადასვლისას სტატიკური ზმნა აწმყოს განეკუთვნა და დინამიკური სასუბიექტო ქცევის ფორმა – მყოფადს, ოღონდ 30 (თავი) გამოირიცხა.

¹¹ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 485

¹² იქვე, გვ. 487

¹³ არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება, ქეგლ, I, თბ., 1950, გვ. 072, მისივე, ქართული ზმნის უღვლილების სისტემის საკითხები, იკე, XVI, თბ., 1968, გვ. 13

¹⁴ ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975 გვ. 85; მისივე, ინხოატივი ქართულში, იკე, XXVIII, თბ., 1989, გვ. 173-185

¹⁵ ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975 გვ. 85

¹⁶ მ. სუხიშვილი, მყოფადის წარმოება და სტატიკურ ზმნათა პარადიგმა ქართულში, იკე, XX, თბ., 1978, გვ. 80-83

პარალელური – აქტივისა და ვნებიითისაგან ნაწარმოები ფორმების შენაცვლების შესაძლებლობას უშვებს ზ. ჭუმბურიძე.¹⁷

დ. მელიქიშვილთანაც კანონზომიერად ითვლება მედიაოქტივის სახელით ცნობილ ფორმებთან მწკრივთა წარმოებისას ვნებიითის ფორმების გამოყენება.¹⁸

ლ. ნოზაძე კი პირიქით, *ტირს-ატირდება* ფორმებს არ მიიჩნევს ერთი პარადიგმის წევრებად. მისი აზრით, მათი ერთ სიბრტყეზე განლაგება არასწორია.¹⁹

გ. გოგოლაშვილის აზრით, უნდა განსხვავდეს სემანტიკური და ფორმობრივ-სემანტიკური პარადიგმები.²⁰

ფორმობრივ-სემანტიკურია: *წერს – წერა – უწერია*.

სემანტიკურია: *ტირის – იტირებს – უტირია*.

ავტორს *მეფობს* და *იმეფა* სხვადასხვა ზმნების სხვადასხვა ნაკვთის ფორმებად მიაჩნია.²¹

ჩვენ კი მხოლოდ *მეფობს – გამეფდა* ტიპის ფორმებს არ ვთვლით ერთი პარადიგმის წევრებად. *წუხს – შეწუხდა* ან *უყვარს – შეუყვარდა* ტიპის შეპირისპირება, როგორც აწმყოსი და ნამყოსი, არამართებული უნდა იყოს. ამ ფორმებს შორის შინაარსობრივი სხვაობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მათი ერთ პარადიგმაში გაერთიანება სწორად არ მიგვაჩნია.

რაც შეეხება თავად სესხების თემას. ჩვენი აზრით, ე. წ. მედიაოქტივებთან აქტივის ფორმათა სესხების შემთხვევა არ უნდა გვექონდეს. აქ სხვა ვითარება უნდა იყოს. როგორც ცნობილია, უღლების სისტემა ძველ ქართულში ზმნისწინზე არ იყო დამოკიდებული. საშუალი გვარის ზმნებიც ჩვეულებრივ (ოღონდ უზმნისწინოდ) აწარმოებდნენ სხვადასხვა მწკრივის ფორმებს. მაგრამ, როდესაც შეიქმნა მყოფადის წრის მწკრივები, რომლებიც აწმყოსგან მხოლოდ ზმნისწინით განსხვავდებოდნენ (ალარაფერს ვამბობთ II-III სერიის მწკრივებზე, სადაც უზმნისწინო წარმოებაც გვაქვს, თუმცა მათი ზმნისწინიანი ვარიანტები ბევრად უფრო ფართო მოხმარებისაა), საშუალი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა: მას არ შეეძლო ზმნისწინით სრული ასპექტის ან მყოფადის წრის მწკრივების წარმოება. “ზმნისწინი ამჟამად

¹⁷ ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986, გვ. 113

¹⁸ დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001, გვ. 86

¹⁹ ლ. ნოზაძე, მედიაოქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, იკე, XIX, თბ., 1974, გვ. 7

²⁰ გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, თბ., 1988, გვ.1 42

²¹ იქვე, გვ. 144

მაპერფექტივებელი საშუალებაა”,²²ეს იმასაც უნდა ნიშნავდეს, რომ შედეგიდან ამოსვლით ის გვიჩვენებს დასრულებულ მოქმედებას როგორც მყოფადში, ისე წარსულში. შედეგი კი შეიძლება გვეჩვენოს მხოლოდ იმ ფორმებთან, რომელთაც პო (ანუ შედეგი მოქმედების დასრულების შემდეგ) აქვთ. ასეთი პო კი საშუალო გვარის ფორმებს არ გააჩნიათ; აქედან გამომდინარე ისინი ვერ ზმნისწინით, როგორც “მაპერფექტივებელი საშუალებით” ვერ აწარმოებდნენ მყოფადის (და II სერიის) მწკრივებსაც. ენამ დაიწყო სხვა გზის ძიება და ყველაზე შესაფერის აფიქსად ისევ ი- (ასევე უ-) პრეფიქსი (რომელიც ზმნისწინის მაგივრობას გასწევდა ისე, რომ არ იქნებოდა «მაპერფექტივებელი საშუალება»)²³ აღმოჩნდა, რომლითაც საშუალმა აწარმოა ჯერ მყოფადი, შემდეგ ანალოგიით – II სერიის ფორმები – *დგა > იდგა; ღაღადა > იღაღადა; წინასწარმეტყველა > იწინასწარმეტყველა* და ა.შ. (თუმცა II სერიის ფორმები ი- პრეფიქსის გარეშეც გამოხატავდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას: *დგა, ღაღადა, წვა* ფაქტიურად იმავე შინაარსისაა, რაც *იდგა, იღაღადა, იწვა*; ამავე დროს არ გვაქვს ახალ ქართულში *ღაღადა – იღაღადა* შეპირისპირება, როგორც ეს არის *წერა – დაწერა* შემთხვევაში აქტივში).

აქედან გამომდინარე, ი- პრეფიქსი თავიდანვე კი არ ჰქონდა ამ ზმნებს აწმყო-წყვეტილში და მერე კი არ დაიკარგა აწმყოში (როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს), არამედ გამოყენებულ იქნა მყოფადის (ასევე II სერიის) მწკრივების საწარმოებლად. ის კი შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შემდგომში ამ ფორმათა ყალიბი აქტივის ხმოვანპრეფიქსიანი ზმნების მიხედვით შეიქმნა.

ის, რომ პო-ზეა დამოკიდებული ზმნისწინიანი მყოფადის წარმოების შესაძლებლობა, დასტურდება საშუალის ზოგი ფორმის უღლებით. საერთო წესიდან გადახვევით მყოფადს ზმნისწინით აწარმოებს რამდენიმე ზმნა (ამჯერად არ ვგულისხმობთ აქტივთაგან მიღებული ფორმებს: *აკვიანებს ის – დააკვიანებს ის; ანათებს ის – გაანათებს ის; აკანკალებს მას – ა-ა-კანკალებს მას*).

ეს ზმნებია:

ცურ-ავ-ს ის – ი-ცურ-ებ-ს ის

²² ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ, 1973, გვ. 275

²³ შდრ. ზ. ჭუმბურიძე, როდესაც *ჰებენს-უკებენს, ჰენებს-ვენებს* ზმნათა განხილვისას ამბობს, რომ “საშუალო გვარის ზმნებს არ შეუძლიათ ზმნისწინის მეშვეობით... მყოფადის მწკრივთა წარმოება... ამ მიზნით მედიოაქტიურმა ზმნამ ქვევის ნიშნები მოიშველია”; ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986, გვ. 115

მაგრამ

ცურ-ავ-ს ის (ზღვას) – გა-ცურ-ავ-ს ის (ზღვას);²⁴

სუნთქ-ავ-ს ის – ი-სუნთქ-ებ-ს ის

მაგრამ

სუნთქ-ავ-ს ის მას – და-სუნთქ-ავ-ს ის მას;

სტვენ-ს ის – ი-სტვენ-ს ის

მაგრამ

უ-სტვენ-ს ის მას მას – და-უ-სტვენ-ს ის მას მას;

თოვ-ს – ი-თოვ-ებ-ს

მაგრამ

თოვ-ს – მო-თოვ-ა;

(როდესაც შედეგი – თოვლი შემოდის თითქოს პო-ის სახით და და მასზე არის გამახვილებული ყურადღება);

წვიმ-ს – ი-წვიმ-ებ-ს

მაგრამ


წვიმ-ს – მო-წვიმ-ა

(ეს მოთოვა ფორმაზე ბევრად ნაკლებ არის გავრცელებული, რადგან თვითონ შედეგი - წვიმა ნაკლებად თვალსაჩინოა, ვიდრე - თოვლი).

სავარაუდოდ, წვიმს, თოვს წარმოშობით აქტივის ფორმებია (შდრ. *ცრის ის ფქვილს > ცრის წვიმა*). დაიკარგა პო და შეიცვალა უღლებაც. იგივე შეიძლება ითქვას *ყინავს, ცურავს* (აპობს ის წყალს), *სუნთქავს* (ის ჰაერს) ზმნებზეც. თუ ფორმაში პო არის წარმოდგენილი (ან იგულისხმება), უღლება ზმნისწინის საშუალებით ხორციელდება, ხოლო პო-ის ჩამოშორებისთანავე ეს ზმნები ი-პრეფიქსიან უღლებაზე გადადიან.

აღსანიშნავია ისიც, რომ პო-ის ფარდი რიცხვითი სახელი *ერთი* იგულისხმება ზოგ წარმოშობითვე საშუალი გვარის ზმნისწინიანი მყოფადის ფორმებთან:

დაიკვილა



²⁴ ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმოზომი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980, გვ. 189

პო გვაქვს შემდეგ ზმნისწინიან საშუალო გვარის მყოფადის ფორმებშიც.

<i>შეკვირვებს</i>	<i>ის მას მას</i>	} თუმცა ნაცვალსახელის სახელით შენაცვლება არ ხერხდება, პო-ის მქონებლობა მაინც სიმპტომატურია.
<i>შეკბლავლებს</i>	<i>ის მას მას</i>	
<i>შესკვივლებს</i>	<i>ის მას ის</i>	
<i>დაკვივლებს</i>	<i>ის მას ის</i>	

რადგან **შე / და** ზმნისწინები მიმართულებას გვიჩვენებენ და თან ირიბი ობიექტისაკენ მიმართულს, პო-ც ობიექტიც ჩნდება (რითაც “მოქმედებს” სუბიექტი) და ზმნისწინიც ეგუება საშუალის მყოფადის ფორმას.

შეიძლება დავადგინოთ ასეთი კანონზომიერებაც: თუ მყოფადსა და II – III სერიებში მხოლოდ ზმნისწინიანი წარმოება გვაქვს, ე.ი. ფორმა აქტივისაგან ყოფილა მიღებული; ხოლო თუ ზმნისწინთან ერთად ხმოვანპრეფიქსიც გვაქვს, მაშინ საშუალის ფორმასთან გვექონია საქმე, ოღონდ ამ დროს თითქმის ყოველთვის ზმნაში წარმოდგენილია პო.

რომ დავუბრუნდეთ უღლების საკითხს: მედიოაქტივების მსგავსი პროცესი უნდა ვივარაუდოთ ე.წ. მედიოპასივებთანაც: ამ ტიპის ზმნებს ვნებითის მზამზარეული ფორმები კი არა აქვთ აღებული მწკრივების საწარმოებლად, არამედ ხმოვანპრეფიქსის დართვის შემდეგ უკვე გაფორმება მოხდა ზმნისა პასივისებურად.

და ბოლოს, ზოგიერთი ზმნის ესა თუ ის მწკრივის ფორმა შეიძლება, ერთი შეხედვით, ხელოვნური მოგვეჩვენოს (რაც იმას არ ნიშნავს, რომ მათ უღლების სისტემა არა აქვთ); ამის სხვადასხვა მიზეზი არსებობს:

1. ზოგიერთი ფორმის უჩვეულობა გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ისინი იშვიათად იხმარება აწმყოშივე და კიდევ უფრო იშვიათად სხვა მწკრივებში;

2. ხანდახან მწკრივთა წარმოება ფონეტიკური მიზეზების გამო ძნელდება;

3. რაც მთავარია, დიდი მოთხოვნილება ამ ფორმების მყოფადის წრისა და II-III სერიის მწკრივებზე არც არის. სიმპტომატურია ამ მხრივ ის, რომ:

1. ქველ-ში მწკრივნაკლად მიჩნეული ბევრი ფორმა ახლა იუღლება. (ჩვენ ვვარაუდობთ, რომ მათ მერე მიიღეს უღლების ფორმები – ენამ თანდათან ამ ზმნების აქტიური გამოყენება დაიწყო და ყური მიეჩვია სხვადასხვა მწკრივის ფორმას);

2. როგორც მ. სუხიშვილს აქვს აღნიშნული (იგი ამ ზმნებს მწკრივნაკლად თვლის)²⁵, იდენტური შინაარსის ბევრ ფორმათაგან ერთი იუღლება, მეორე კი – არა:

ფარისევლობს – იფარისევლა

მაგრამ

პირმოთნეობს – _____

ვაჟკაცობს – ივაჟკაცა

მაგრამ

გულადობს – _____

ცხოვრობს – იცხოვრა

მაგრამ

ბუდობს – _____²⁶

როგორ შეიძლება, მსგავსი სტრუქტურის, ერთი და იმავე გვარის, იდენტური შინაარსის ზმნათაგან ერთს ჰქონდეს უღლების სისტემა, მეორეს კი – არა. *გულადობს*, *ბუდობს* ფორმათა შემთხვევაში მათი იშვიათი ხმარებიდან გამომდინარე, ხოლო *პირმოთნეობს* ფორმის შემთხვევაში კი ასევე რთული სტრუქტურის გამო (ანუ დამატებით ფონეტიკური ფაქტორის ხელისშეწყობით) ძნელდება ამ ზმნათა სხვადასხვა მწკრივის ფორმათა წარმოება.

ნაშრომში ზმნები თემის ნიშნების მხრივაც დალაგებული. ამის მიხედვით გამოიყოფა 6 თავი: 1) **-ებ**, 2) **-ობ**, 3) **-ავ**, 4) **-ი** თემისნიშნაინები, 5) **ფუძედრეკადი** და 6) **უთემისნიშნო** ფორმები. თითო თავში ორ-ორი პარაგრაფია: I პარაგრაფში მიმოხილულია შესაბამისი თემის ნიშნის მქონე (ან არმქონე) ფორმათა აგებულება, პირთა მიმართების, ინვერსიისა და სხვა მსგავსი საკითხები; ხოლო II პარაგრაფში კი – ამავე ფორმების უღლების სისტემა, პარადიგმები და უღლებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

აქვე უნდა ითქვას, რომ ფუძის აღსანიშნავად ვიყენებთ **R**, ხოლო ზმნისწინისა კი – **Prev** პირობით ნიშნებს, ხოლო უღლების პარადიგმებში მწკრივების დასახელების ნაცვლად მათი რიგის შესაბამის რიცხვებს მივუთითებთ.

²⁵მ. სუხიშვილი, გარდამავლობა, ერგატიულობა და გვარი ქართულში (სადოქტ. დისერტაცია), თბ., 1999, გვ.35

²⁶ იქვე

I თავი

-ებ თემისნიშნისანი ზმნები

§1. -ებ თემისნიშნისანი ზმნების აგებულება

-ებ თემისნიშნისანი საშუალო გვარის ზმნათა უმრავლესობას ფუძეგაორკეცებული ფორმები შეადგენენ (200–მდე)²⁷. ახალ ქართულში მათი რიცხვი დღითიდღე იზრდება – როგორც ახალი ძირების გაორკეცებით, ისე უკვე არსებული ფუძეგაორკეცებული ფორმების ფონეტიკური ცვლილებით.

ფუძეგაორკეცებულ ზმნათა დიდი ნაწილი ხმაბაძვითი სიტყვებია, გარკვეული ხმიანობის გამომხატველი. ასეთებია: *ბაგბაგებს, ლავლავებს, კავკავებს, ლაღლაღებს, ხარხარებს, რახრახებს; წიკწიკებს, ყიყყივებს, ტიკტიკებს, ხითხითებს, ჩიფჩიფებს, კისკისებს, ვიშვიშებს, ლიფლიფებს, შხიშხიშებს; ქოთქოთებს; ბუტბუტებს, ლულულღებს, ბუყბუყებს, ბუხბუხებს, დუგდუგებს, რუკრუკებს, ჭუკჭუკებს, ჭუპჭუპებს* და სხვ.

ფრინველთა და ცხოველთა ხმიანობის გამომხატველი ზმნებიც უმეტესად ფუძეგაორკეცებული ფორმებია: *ჭახჭახებს, წკაწკავებს; ჭიკჭიკებს, ჟივჟივებს, ჟრიკჟრიკებს* და სხვ.

როგორც ცნობილია, ფუძის გაორკეცების დროს შეიძლება მოხდეს სხვადასხვა სახის ფონეტიკური პროცესი: თანხმოვნის დისიმილაცია, თანხმოვნის ჩავარდნა, ხმოვნის შენაცვლება, საწყისი მარცვლის შენაცვლება და სხვ.²⁷

მარტივი ფუძეგაორკეცებით მიღებული ზმნური ფორმების რაოდენობა 100-ს აჭარბებს:²⁹ *დაგდაგებს, ვასვასებს, ლასლასებს, ქასქასებს, ლავლავებს, კავკავებს,*

²⁷ ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვათწარმოებიდან, VI, კომპოზიტი, ქესს, I, თბ., 1959, გვ. 283; ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბ., 1970, გვ. 182-185; ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 149

²⁸ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 147

მაგდაგებს, ბაგბაგებს, რახრახებს, ცახცახებს, კაშკაშებს; გიზგიზებს, ჭიკჭიკებს, ტიკტიკებს, ძიგძიგებს, ჭივჭივებს, კისკისებს, ვიშვიშებს, ლიცლიცებს, ჩიფჩიფებს; დუგდუგებს, ლუზლუზებს, ლუკლუკებს, გურგურებს, კუსკუსებს, ფუსფუსებს, ბუტბუტებს, ლულლულებს, ნულნულებს, ბუყბუყებს, ფურფურებს, გუზგუზებს, სლუკსლუკებს და სხვ.

ხშირია თანხმოვანთა მონაცვლეობაც:

ლ/ნ³⁰

კანკალებს, ტანტალებს, ფანფალებს, დანდალებს, ყანყალებს, ჩანჩალებს, ცანცალებს, წანწალებს; თქონთქოლებს; კუნკულებს, სუნსულებს, ტუნტულებს.

ვ. თოფურია თანხმოვნის დისიმილაციას ვარაუდობს, მაგ. წანწალებს ფორმაში.³¹

ნ/რ³²

ცანცარებს, თქანთქარებს.

რ/ლ³³

პარპალებს, ტარტალებს; კირკილებს, ქირქილებს; ქურქულებს, ღურღულებს, ჩურჩულებს.

ვ. თოფურია ჩურჩულებს ფორმაში თანხმოვნის დისიმილაციას ვარაუდობს.³⁴

რ/ტ³⁵

ფარფატებს; ყურყუტებს. (თუმცა ამ ტიპის კომპოზიტები ა.შანიძეს დისიმილაციით მიღებულად მიაჩნია: ტ>რ³⁶)

რ/შ³⁷

პარპაშებს, ფარფაშებს.

²⁹ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვათწარმოებიდან, VI, კომპოზიტი, ქესს, I, თბ., 1959, გვ. 281-305; ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბ., 1970, გვ. 182-185

³⁰ იქვე, გვ.189; ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ.149

³¹ ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვათწარმოებიდან, VI, კომპოზიტი, ქესს, I, თბ., 1959, გვ. 284

³² ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბ., 1970, გვ. 187

³³ იქვე, გვ. 186

³⁴ ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვათწარმოებიდან, VI, კომპოზიტი, ქესს, I, თბ., 1959, გვ. 284

³⁵ ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბ., 1970, გვ. 86

³⁶ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 149

³⁷ ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბ., 1970, გვ. 187

ბარბაცებს.

არის შემთხვევები, როდესაც ფუძის გაორკეცებისას ერთ–ერთ ნაწილში ხდება თანხმოვნის ჩავარდნა, რის გამოც გაორკეცების კვალი წაშლილია.³⁹ ამის მაგალითად შეიძლება დაგვესახელებინა:

*წავწკავებს (*წკავეწკავებს)*

*წანწკარებს (*წკანწკარებს < *წკანწკანებს ან *წკარწკარებს)*

*ჭანჭყარებს (*ჭყანჭყარებს < *ჭყანჭყანებს ან *ჭყარჭყარებს)*

ვერ დავეთახებთ ფ. ერთელიშვილს, რომელსაც ასეთი ფუძეები (კონკრეტულად, სონანტი + ჰარმ. კომპლექსი ფუძეთა შუა პოზიციაში) უკანაენისმიერი თანხმოვნის განვითარებით მიღებულად მიაჩნია: *წურწური > წურწკური*.⁴⁰

არის ერთი წყება კომპოზიტებისა, სადაც გაორკეცებისას სიტყვის ერთ–ერთ ნაწილში (ჩვეულებრივ მეორეში) იცვლება ხმოვანი. ამის მაგალითად ა.შანიძეს მოაქვს *რიჟრაჟი*, რომელსაც მეტად საინტერესო ისტორია აქვს. ამ ფორმაში ი ხმოვანი დისიმილაციით გადავიდა ა-ში, ე.ი. ამოსავალი ფორმა უნდა ყოფილიყო **რიჟრიჟი*, რაც იქიდან ჩანს, რომ ძველ ქართულში გვაქვს ზმნის ფორმა *შე-ოდენ-რიჟუანდებოდა*, ხოლო სვანურში *რიჟ* ძირის შესატყვისად გვევლინება *რიჰ* ფორმა, რომელიც აღნიშნავს *ცისკარს, სინათლეს თენების ხანს*⁴¹. ამ საწყისიდან მიღებულია *რიჟრაჟებს*.

ცალკე განსახილველია *წიწინებს* ტიპის ზმნური ფორმები.⁴² ფ. ერთელიშვილის აზრით, აქ თანხმოვნის დაკარგვასთან გვაქვს საქმე: *კარ-კან > კაკ-ან*.⁴³ ამ აზრს ვერ დავეთანხმებით თუნდაც იმიტომ, რომ ცხოველთა (და სხვა სულიერთა) ხმიანობაში (რასაც აღნიშნავენ, უმეტესად, ეს ფორმები) სწორედ cv კომპლექსი იგულისხმება და არა - cvc .

შდრ. 1) ქათმის ხმა – *კაკა-ნ-ი*

2) ბარტყის ან წიწილის – *წიწი-ნ-ი*

3) ბავშვის – *ტიტი-ნ-ი*

³⁸ იქვე

³⁹ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 149

⁴⁰ ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხისათვის ქართულში, თბ., 1970, გვ. 197

⁴¹ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 151

⁴² ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხისათვის ქართულში, თბ., 1970, გვ. 49

⁴³ იქვე, გვ. 203

ფ. ერთელიშვილი აქ მაწარმოებლებად **-ან/-ინ-/უნ** სუფიქსებს არ გამოყოფს. საწყისები გვაქვს, მაწარმოებელი სუფიქსები – არა.⁴⁴

ერთი შეხედვით, ეს ფორმები შეიძლება ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტებად მოგვეჩვენოს. (მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელნი, უმეტესად, ხმაბადვითი სიტყვებია). თუ ამ თვალსაზრისს გავიზიარებთ, უნდა ავხსნათ **ნ** ელემენტის წარმომავლობა (*ზუზუ-ნ-ებ-ს*). ის ფუძეში არ შედის, რომელიც ამ შემთხვევაში მხოლოდ ორი ბგერის – ხმოვნისა და თანხმოვნის გაორკეცებით მიღებული გამოდის. მაშ რა არის სუფიქსი **ნ**? ის ხმოვანთგამყარი უნდა იყოს, მისი ჩართვის გარეშე ორი ხმოვანი აღმოჩნდებოდა ერთიმეორის გვერდიგვერდ, რაც ქართულისთვის არაბუნებრივი კომბინაციაა. ენა ყოველთვის ცდილობს თავიდან აიცილოს მისთვის მიუღებელი ბგერათმომდევრობები, რასაც სხვადასხვა საშუალებით ახერხებს კიდევ. ქართული ენისათვის ხმოვანთა კომბინაცია რომ არაბუნებრივი კომპლექსია და ენა მას თავს არიდებს, ეს უდაოა და ამას ბევრი მაგალითიც არსებობს.

გვაქვს თუ არა შემთხვევები, რომ ფორმაში ჩართული იყოს **ნ** სონორი? ასეთი შემთხვევები არის და საკმაოდ ბევრიც. როგორც ა.შანიძე „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ საწყისზე საუბრისას აღნიშნავს⁴⁵, ფუძესა და საწყისს შორის ხშირად ჩართულია სონორი **ნ**, რომელიც განსაკუთრებით **ვ-ზე** დაბოლოებულ ფუძეებში გვხვდება: *ვთხოვ – თხოვ-ნ-ა*, *მახსოვს – ხსოვ-ნ-ა*, *ვძოვ – ძოვ-ნ-ა*, *ვწოვ – წოვ-ნ-ა*. ზოგიერთ მათგანს პარალელურად უ-ნ-არო ფორმებიც მოეპოვება: *თხოვა*, *ძოვა*, *წოვა* და სხვ.

როგორც ა. შანიძე და არნ. ჩიქობავა ვარაუდობენ,⁴⁶ აღნიშნული ტიპის ზმნებისათვის ამოსავალია სახელური ფუძე, საიდანაც **-ებ** თემის ნიშნის დართვით ნაწარმოებია საშუალო გვარის ერთპირიანი ფორმები. აქედან გამომდინარე, *ბიბინებს* ფორმისათვის ამოსავალი უნდა იყოს *ბიბინი*. მაგრამ თუ ჩვენს მიერ ზემოდასახელებულ მოსაზრებას გავიზიარებთ, მოვლენა საპირისპირო მიმართულებით განვითარებულად უნდა მივიჩნიოთ: ჯერ უნდა გვექნოდნა **-ებ** თემის

⁴⁴ ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხისათვის ქართულში, თბ., 1970, გვ. 207

⁴⁵ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 561

⁴⁶ იქვე, გვ. 564; არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 218-219

ნიშნის დართვით მიღებული ზმნური ძირი, საიდანაც შემდეგ იწარმოებოდა სახელური ფუძე.

არსებობს მეორე ვარიანტიც: თუ *წიწინებს* ტიპის ფორმებს სახელური ფუძეებიდან მომდინარეებად მივიჩნევთ, **წ** ელემენტის ახსნა სხვაგვარადაც შეიძლება. როგორც ცნობილია. საწყისის მრავალი მაწარმოებელი არსებობს. ერთ-ერთი მათგანია სუფიქსი **-ილ**, რომელიც იხმარება როგორც **სი-** პრეფიქსთან ერთად (*სი-რბ-ილ-ი*, *სი-ც-ილ-ი*, *სი-მშ-ილ-ი*), ისე მის გარეშეც (*ტკივ-ილ-ი*, *წუხ-ი-ლ-ი*, *ტირ-ილ-ი*, *დუღ-ილ-ი*, *ღვიძ-ილ-ი*). შეიძლება დავუშვათ, რომ *წიწინი* ტიპის ფუძეთა **-ინ** მიღებულია **-ილ** სუფიქსისაგან ფონეტიკური ცვლილებით:

წიწ-ინ - ი < წიწ-ილ-ი (შდრ. *წიწილა*)

ამ მოსაზრებას, ერთი მხრივ, მხარს უჭერს ის გარემოება, რომ **-ილ** სუფიქსი სწორედ საშუალო გვარის ზმნებისგან აწარმოებს საწყისს (შდრ. *ტირ-ილ-ი* – *ტირის*, *ღმუ-ილ-ი* – *ღმუის*, *ქუხ-ილ-ი* – *ქუხს*, *დუმ-ილ-ი* – *დუმს*, *ტყუ-ილ-ი* – *ტყუის* და სხვ.).

გარდა ამისა, არის ერთი ფორმა, სადაც აშკარად ჩანს **-ინ** სუფიქსის **-ილ**-იდან მომდინარეობა; ამის მაგალითად ა.შანიძეს მოაქვს *ლოდ-ინ-ი*,⁴⁷ სადაც ძირი არის **ლ**, **-ოდ** წარმოშობით სივრცობია, ხოლო **-ინ** კი **-ილ**-სგან არის მიღებული ფონეტიკური ცვლილებით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მაგ. *წიწინებს* ფორმაში ფუძე იქნება *წიწ*, ხოლო **-ინ** კი – მასდარის მაწარმოებელი. ამ ტიპის სხვა ფორმებში გამოვლენილი **-ან/-უნ** სუფიქსები **-ინ** მაწარმოებლისგან ფონეტიკური გზით მიღებულად უნდა მივიჩნიოთ.

და ბოლოს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ ფორმებში გამოიყოფა ზმნურ ფუძეთა მაწარმოებლები: **-ან,-ინ,-უნ**. ამ თვალსაზრისით *წიწინებს* ტიპის ფორმები გამოდიან არა ფუძეგაორკეცებული, არამედ მარტივი [cvc] + **-ინ/-ან/-უნ-ებ** სტრუქტურის ზმნები.

ასეთია საშუალო გვარის შემდეგი ფორმები: *კაკანებს*, *ქაქანებს*, *ყაყანებს*; *წიწინებს*, *ხიხინებს*, *ტიტინებს*, *ჟიჟინებს*, *სისინებს*, *ფიფინებს*, *ღიღინებს*, *ყიყინებს*,

⁴⁷ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 562

ბიბინებს; ზუზუნებს, ბუბუნებს, ტუტუნებს, ფუფუნებს, ლულუნებს, ცუცუნებს, წუწუნებს და სხვ. (მათი რაოდენობა 30--ს აჭარბებს).

თუ დავუკვირდებით, აღმოჩნდება, რომ ზმნური ძირის ხმოვანი იმეორებს სუფიქსის ხმოვანს ან პირიქით: **-ან/-ინ/-უნ** სუფიქსები იმისდა მიხედვით ნაწილდება ძირებზე, თუ რა ხმოვანია თავად ფუძეში. შდრ : კკ-**ან-ებ-ს**, წწ-**ინ-ებ-ს**, წწწ-**უნ-ებ-ს** და მისთ.

მსგავსი სტრუქტურის ზოგიერთ ფორმაში დამატებით თანხმოვნითი ელემენტი გვაქვს ერთ-ერთ (უმეტესად მეორე) ნაწილში (*ჯიჯღინებს*). ასეთ ფუძეებთან ფ. ერთელიშვილი ზოგჯერ ჰარმონიული კომლექსების წარმოქმნას ვარაუდობს (*ტატყანებს, ჭიჭყინებს*), ზოგჯერ კი -კომბინატორულ ცვლილებებს (*ჯიღ-ჯიღ-ინ > ჯიღ-ჯღ-ინ > ჯი-ჯღ-ინ*).⁴⁸ ჩვენ უფრო პირველი მოსაზრება მიგვაჩნია მართებულიად. ასეთი ფორმებია: *ჯაჯღანებს, ტატყანებს; ჩიჩხინებს, ჯიჯღინებს, ტიტყინებს, ჭიჭყინებს; დუდლუნებს, ჯუჯღუნებს, ჭუჭყუნებს, შუშხუნებს, წუწკუნებს*.

აღსანიშნავია, რომ ჩართული თანხმოვანი ფუძისეულთან ერთად უმეტესად ჰარმონიულ კომპლექსს ქმნის: **წკ** – *წუწკუნებს*; **ტყ** – *ტატყანებს*; **ჭყ** – *ჭიჭყინებს*; **დღ** – *დუდღუნებს*, **ჯღ** – *ჯუჯღუნებს* და სხვ.

გვაქვს რამდენიმე ფორმა, რომლის ერთი თანხმოვანი სხვაა, მეორე – სხვა. ასეთებია: *ღიჯინებს, ყიჭინებს, პუტუნებს, ფუცუნებს, ბუხუნებს*.

გარდა ამისა, გამოიყოფა ერთი წყება ფორმებისა, სადაც **-ან/-ინ/-უნ** მაწარმოებლებთან ერთად გამოიყოფა **-ალ/-ოლ/-ულ** მაწარმოებლებიც: *გოგმანებს, ტორტმანებს; ხრიგინებს, წიკვინებს, ჩხიკვინებს, ჭიხვინებს, სლოკინებს, ტლიკინებს, ჭყლიპინებს, წრიპინებს, ჭყიპინებს, ხროტინებს, ქსიტინებს, ქოშინებს, ყროყინებს; შხაპუნებს, ჟღარუნებს, ფრატუნებს, ბზუკუნებს, ბლუკუნებს, კრუსუნებს, კრუტუნებს, ფრუტუნებს; ბანცალებს; ჩოჩქოლებს; ყუნტულებს, ფურჩულებს, ყუნცულებს* და სხვ.

ამ ფორმებსაც **ინ/-უნ** - სუფიქსი ფუძის გახმოვანების მიხედვით დაერთვით. შდრ. შიშხ-**ინ-ებ-ს**, კრუტ-**უნ-ებ-ს**. მაგრამ ამავე დროს, თუ ძირეული ხმოვანი ა არის, დეტერმინანტი სუფიქსი **-უნ** აღმოჩნდება – *წკპ-უნ-ებ-ს, ჩხპ-უნ-ებ-ს, შრპ-უნ-ებ-ს* და სხვ.

აღნიშნულ ფორმებში შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ტიპის ძირი:

⁴⁸ ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხისათვის ქართულში, თბ., 1970, გვ. 195

$c_1c_2vc_3$ – ჩხაკუნებს, ქლარუნებს, ტყაპუნებს, შხაპუნებს, ხრიწინებს, კრიჭინებს და სხვ.

$c_1vc_1c_2$ – შიშხინებს, დუდღუნებს, ჯუჯღუნებს, ჭუჭყუნებს და სხვ.

ასევე დადასტურებულია, თუმცა შედარებით იშვიათად $c_1c_2c_3vc_4$ ტიპის ძირი, სადაც c_3 სონორი თანხმოვანია (ქკმუტუნებს, ფშრუკუნებს, ფშლუკუნებს); ასევე $c_1vc_2c_3c_4$ სტრუქტურის ფუძე, სადაც c_2 ასევე სონორია (ბურდღუნებს). ფ. ერთელიშვილი ასეთ ფორმებს ფუძეგაორკეცებულ და ფონეტიკურად ცვლილ ძირებს უწოდებს, რაც ექვს არ უნდა იწვევდეს. ამათი განვითარების ისტორია ასეთია: ბარ-ბარ-ი > ბარ-ბალ-ი > ბარ-დალ-ი > ბარ-დღალ-ი.

საკმაოდ დიდი რაოდენობით არის **-იალ-ზე** დაბოლოებული ფუძეები (დაახლოებით 40–მდე). მათში გამოიყოფა:⁴⁹

- 1) ცალთანხმოვნიანი ფუძეები: კიალებს, რიალებს, ციალებს, ყიალებს;
- 2) ორთანხმოვნიანი ძირები: ბრიალებს, ღრიალებს, კრიალებს, პრიალებს, ხრიალებს, ტრიალებს, ფრიალებს;
- 3) სამთანხმოვნიანი ფუძეები: ბრკიალებს, თქრიალებს, ჩქრიალებს, ცქრიალებს, ჩხრიალებს, ჭრტიალებს, ბზრიალებს;
- 4) ოთხთანხმოვნიანი ძირები: ფთხრიალებს, ბღვრიალებს;
- 5) ხუთთანხმოვნიანი ფუძეები: ბრჭყვიალებს, ბჟღვრიალებს, ბდღვრიალებს.

როგორც ვხედავთ, **c-იალ-ებ** ტიპის ფორმების გარდა (სადაც თანხმოვნითი ელემენტი **რ** რონორიც შეიძლება იყოს – რიალებს, მაგრამ არა – აუცილებლივ) ყველა დანარჩენი ტიპის ფუძეებში უსათუოდ (გამონაკლისი დადასტურებული არ არის) ფიგურირებს სინორი **რ**.

როგორც ფ. ერთელიშვილი ვარაუდობს, ეს ძირები მართლაც ფუძეგაორკეცებული ზმნებისგან უნდა იყოს მიღებული შემდეგი სახის ფონეტიკური ცვლილებით:⁵⁰

**ტარ-ტალ > *ტირ-ტალ .> *ტირ-ალ > ტრი-ალ > ტრიალ-ი*

(შდრ. ატარებს)

**ფარ-ფალ > *ფირ-ფალ > *ფირ-ალ > ფრი-ალ > ფრიალ-ი*

⁴⁹ ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხისათვის ქართულში, თბ., 1970, გვ. 69-74

⁵⁰ ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხისათვის ქართულში, თბ., 1970, გვ. 213-219

(შდრ. *ფარფატი, ფარფალი*)

K რიალი, წრიალი, შრიალი, ზრიალი, ჟრიალი ფორმების ერთი ძირიდან წარმომავლობას (სემანტიკური ფაქტორის ხელშეწყობითაც) შესაძლებლად მიიჩნევს გ. ახვლედიანი.⁵¹

გარდა აღნიშნული ტიპებისა, *-ებ* თემისნიშნის ზმნებში დადასტურებულია ნასახელარი ფორმების ორი ჯგუფი: I – ფორმა მიღებულია სახელური ფუძისაგან: *მონ-ებ-ს, ფსალმუნ-ებ-ს*; II – ფორმა მიღებულია ნაზმნარი სახელური ფუძისაგან: *მოქმედ-ებ-ს, მართლმსაჯულ-ებ-ს, სასო-ებ-ს, მსახურ-ებ-ს, მორჩილ-ებ-ს*. აი, მაგალითად, ზოგიერთი ფორმის განვითარების ისტორია:

ჩქეფ-ს > მ-ჩქეფ-არ-ე > მ-ჩქეფ-არ-ებ-ს

შეიძლება *მ-* დაიკარგოს ბაგისმიერი *ბ-*ს მეზობლობაში – *(მ) ბზვინვარებს, (მ)ბდვინვარებს, (მ)ბრწყინვალებს*. ეგვე *მ-არ-ე* აფიქსები შემორჩენილია ისეთ ფორმაში, როგორცაა – *მ-დ-ი-ნ-არ-ე*, საიდანაც მიღებულია ზმნა *მდინარ-ებს (ის)*.

აგებულიების მიხედვით ასევე შეიძლება გამოვყოთ ფორმები:

1. **R-ებ** სტრუქტურის – *ჭიკჭიკებს*,
2. **ა- R-ებ** სტრუქტურის – *ახველებს*,
3. **ი- R-ებ** სტრუქტურის – *იძინებს*.

P პირიანობის მხრივ გვხვდება როგორც ერთპირიანი, ისე ორპირიანი ზმნები; ამათგან, ერთპირიანების უმრავლესობას ფუძეგაორკეცებული ფორმები შეადგენენ: *ხითხითებს, წიკწიკებს, გიზგიზებს, ფუსფუსებს, ბუყბუყებს* – *ის*; ამავე რიგშია ნასახელარი ზმნებიც: *აზროვნებს, მჩქეფარებს* – *ის*.

ზოგი ფუძეგაორკეცებული ერთპირიანი ფორმა კი პ0-ს იძენს:

ბბუტბუტებს ის მას (რას ბუტბუტებს?)

ჩიფჩიფებს ის მას (რას ჩიფჩიფებს?)

ჩურჩულებს ის მას (რას ჩურჩულებს?)

როგორც ვხედავთ, პ0-ის დამატების ტენდენცია “მეტყველება წრის” ზმნებთან შეიმჩნევა, რაც სავსებით ბუნებრივი მოვლენაა.

ორპირიანი ფორმებიდან აღსანიშნავია: *მსახურებს, მორჩილებს, მონებს* – *ის მას*. (ესენი იშვიათი ხმარების არქაული ფორმებია)

⁵¹ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949, გვ. 295-296

ცალკე აღსანიშნავია 1) ჩვეულებრივი კონსტრუქციის ერთპირიანი: *აგვიანებს, ანათებს, აკაკუნებს, ათენ-ალამებს, იბინებს, იღვიძებს – ის* (დაკარგულია 30), 2) ჩვეულებრივი კონსტრუქციის ორპირიანი: *აგნებს, ალოდინებს – ის მას*, და 3) დატიური კონსტრუქციის ერთპირიანი ფორმები: *აცმუკებს, აკანკალებს, აყივლებს, აცივ-აცხელებს, აჟრჟოლებს, აზმორებს, აცახცახებს, აძიგძიგებს, აძაგძაგებს, ახურებს – მას*; ასევე შერეული პარადიგმის მქონე: *ამთუნარებს, აბოყინებს, აბლოყინებს, აცემინებს, ახველებს, აზიდებს, აცხიკვებს – მას* || *ის*.

როგორც ა.შანიძე აღნიშნავს, მედიაოპტიური ფორმა, ზოგადად, ზმნისწინს არ მიიღებს და, თუ მიიღებს, ის ზმნას ასპექტს ვერ შეუცვლის და აწმყოს წრიდან მყოფადში ვერ გადაიყვანს.⁵² (მაგ. *ტირის – მიტირის* – ორივე აწმყოს და უსრული ასპექტის ფორმაა.)

მაგრამ აღმოჩნდება, რომ **-ებ** თემისნიშნისანი **R-ებ** სტრუქტურის სამუალის ფორმებიც დაირთავენ ზმნისწინს, თანაც ისე, რომ აწმყოს წრიდან მყოფადისაში გადადიან – ეს პროცესი ზუსტად იმგვარად მიმდინარეობს, როგორც ეს მოქმედებითი გვარის ზმნებში ხდება. შდრ:

Act. *წერს ის მას – დაწერს ის მას – დაწერა მან იგი*

Med. *სცოდებს ის მას – შესცოდებს ის მას – შესცოდა მან მას*

განსხვავება მხოლოდ იმით არის გამოხატული, რომ სამუალის გვარის ზმნებში აშკარად დაკარგულია პირდაპირი ობიექტი (ამაზე მიუთითებს ერგატიული კონსტრუქცია და ზმნისწინისანი მყოფადი.)

აღნიშნული ზმნები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმომოებით მოქმედებითი გვარის ფორმებიდან მომდინარეობენ პირის დაკლების გზით. ზოგიერთი ფუძესთან ეს პროცესი თვალსაჩინოა და პირის (დაკარგული პირდაპირი ობიექტის) აღდგენა ხერხდება:⁵³

აგვიანებს ის ← აგვიანებს ის მას

ანათებს ის ← ანათებს ის მას

⁵² ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 477

⁵³ მ. სუხიშვილი, გარდამავლობა, ერგატიულობა და გვარი ქართულში (სადოქტ. დისერტაცია), თბ., 1999, გვ. 106

ცალკე განსახილველია III ჯგუფში შემავალი ფორმები. მათი რაოდენობა ბევრი არ არის (30-მდეა), მაგრამ ისინი საკმაოდ საინტერესო სურათს იძლევიან კონსტრუქციისა და ფორმათა წარმოების თვალსაზრისით.

ა-R-ებ სტრუქტურის ამ ტიპის ზმნებთან სრულიად განსხვავებული ვითარება გვაქვს. რეალური სუბიექტი I–II სერიაში მიცემით ბრუნვაში დგას, რაც იმით აიხსნება, რომ ეს ფორმები წარმოშობით ორპირიანი გარდამავალი, მოქმედებითი გვარის ზმნებია. მათი თავდაპირველი კონსტრუქცია ასეთი იყო;

ა-კანკალ-ებ-ს ის მას

ა-ცახცახ-ებ-ს ის მას

ა-მაგმაგ-ებ-ს ის მას⁵⁴

ფორმები აშკარად კაუზატიურია (ა-ებ); თავად მოქმედებითი გვარისათვის ამოსავალი უნდა იყოს გარდაუვალი ერთპირიანი ზმნის ფორმა: *კანკალებს ის* (→*ა-კანკალებს ის მას*). ზოგ ზმნასთან ეს პირველადი საფეხური შემონახულია: *კანკალებს, მაგმაგებს, ძიგძიგებს, ცახცახებს - ის*. ზოგიერთ ფორმას კი (*ამთქნარებს, ახველებს, აცემინებს, აცხიკებს, აზიდებს, ახურვებს - ის//მას* და მისთ.) ის არ მოეპოვება.

ამ ზმნებში შემდეგ მოხდა ინვერსია – პირდაპირი ობიექტი გააზრებულ იქნა სუბიექტად და მივიღეთ ახალი კონსტრუქცია: *ა-კანკალ-ებ-ს მას*. ასე რომ ფორმებმა გაიარეს განვითარების 3 საფეხური.⁵⁵

კანკალ-ებ-ს ის > ა-კანკალ-ებ-ს ის მას > ა-კანკალ-ებ-ს მას

ინვერსია გამოწვეული იყო იმით, რომ პირდაპირი ობიექტი სულიერი იყო, თანაც, უმეტესად პერსონალური პირი, მაშინ, როდესაც გრამატიკული სუბიექტის როლში მეტწილად უსულო საგნები გამოდიოდნენ.⁵⁶ თანაც, სუბიექტური პირი ძნელი აღსადგენია ისეთი ტიპის ფორმებში, როგორებიცაა: *ამთქნარებს, ახველებს, აცემინებს, აბოყინებს - მას*.

⁵⁴ ნ. აბესაძე, სახელთა შეწყობა ბრუნვებში *აციებს* ტიპის ზმნებთან, ქსკს, I, თბ., 1972

⁵⁵ ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975, გვ. 28-29

⁵⁶ ბ. ჯორბენაძე, ინვერსიულ ზმნათა ჩამოყალიბების პრინციპები ქართულში, იკეწ, VIII, თბ., 1981; დ. მელიქიშვილი, «მიჭირს» ზმნა და მასწავლებლის გასაჭირი, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, IV, თბ., 1978

ასე შეიქმნა სინქრონულ დონეზე მეტად უცნაური კონსტრუქცია ზმნისა – *ამთქნარებს მას*: სუბიექტი აწმყოს წრის მწკრივებში დგას მიცემით ბრუნვაში.⁵⁷ ასეთი რამ უჩვეულოა ქართულისათვის და ენა ცდილობს ამ ტიპის ფორმებიც მთელ სისტემას დაუქვემდებაროს. ამიტომ ზოგიერთმა ზმნამ განვიტარა IV საფეხურიც, სადაც წარმოშობით პირდაპირი ობიექტი, შემდეგ გადააზრებული სუბიექტად, სუბიექტის ბრუნვაში (სახელობითში) დგება:

ა-ხველ-ებ-ს ის მას → *ა-ხველ-ებ-ს მას* → *ა-ხველ-ებ-ს ის*

სუბიექტად გააზრებული სახელის სახელობით ბრუნვაში გადასვლამ გამოიწვია ზმნის ფორმოზრივი ცვლილებაც – გაქრა ჭარბი პირის ნიშანი. კერძოდ, თუ მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი, უკვე სუბიექტად აღქმული, მაინც ორპირიანი გარდამავალი ზმნის ყალიბს მოითხოვდა პირის ნიშნების მხრივ (*მ-ა-ხველ-ებ-ს მე*), უკვე სახელობითში მდგარ სუბიექტურ პირს ერთპირიანი, გარდაუვალი ზმნის ფორმა შეესაბამება; ამავე დროს სუბიექტი II სერიაში მოთხრობითშია: (*ვ-ა-ხველ-ებ მე / და-ვ-ა-ხველ-ე მე*).

მამასადამე, სინქრონულ დონეზე არსებობს ორი პარადიგმა:

I პარადიგმა

II პარადიგმა⁵⁸

I სერია - *ა-ხველ-ებ-ს მას* *ა-ხველ-ებ-ს ის*

II სერია - *და-ა-ხველ-ა მას* *და-ა-ხველ-ა მან*

ხდება პარადიგმათა აღრევა: აწმყოში ეს ზმნები უმეტესად პირველი პარადიგმიდან იხმარება, ხოლო წყვეტილში კი – მეორედან. ასე მივიღეთ შემდეგი სახის შერეული პარადიგმა:

I სერია *ა-ხველ-ებ-ს მას* (I პარად.)

II სერია *და-ა-ხველ-ა მან* (II პარად.)


ამის მიზეზი ის არის, რომ II სერიაში, რადგან აქტიური ზმნის ძალა აქ უფრო დიდია, სუბიექტს აქვს ტენდენცია მოთხრობით ბრუნვაში გადასვლისა. სავარაუდოდ, IV საფეხური (*ამთქნარებს ის – დაამთქნარა მან*) თავდაპირველად სწორედ II სერიაში უნდა განვითარებულიყო, ხოლო შემდეგ უკვე - I სერიის მწკრივებში. თვალსაჩინოებისათვის შეიძლება ეს პროცესი ასე ავსახოთ:

I საფეხური

IV საფეხური

⁵⁷ ნ. აბესაძე, სახელთა შეწყობა ბრუნვებში *აცეებს* ტიპის ზმნებთან, ქსკს, I, თბ., 1972, გვ. 192

⁵⁸ იქვე, გვ. 192-193



აღსანიშნავია ერთი გარემოება: სუბიექტად გააზრებული სახელი წარმოშობით პირდაპირი ობიექტი უნდა იყოს:

ა-ხველ-ებ-ს ის მას
და-ა-ხველ-ა მან იგი

მექანიკურად, სუბიექტის დაკარგვისა და პირდაპირი ობიექტის სუბიექტად გადააზრების შემდეგ ბრუნვები იგივე უნდა დარჩენილიყო:

ა-ხველ-ებ-ს მას (ა-ხველ-ებ-ს ის მას)
**და-ა-ხველ-ა იგი (და-ა-ხველ-ა მან იგი)*

მაგრამ სუბიექტის (წარმოშობით 30-ის) ძალა იმდენად დიდი იყო, რომ ის სახელობითიდან მიცემითში გადადის. ასე რომ, მივიღეთ შემდეგი პარადიგმა:

ა-ხველ-ებ-ს მას
და-ა-ხველ-ა მან

არსებობს მეორე ახსნაც: თუ დავუშვებთ იმ თვალსაზრისს, რომ ამ ტიპის ფორმები 3 პირიანი მოქმედებითი გვარის ზმნებიდან მომდინარეობენ, ანუ:

ა-ხველ-ებ-ს ის მას მას / და-ა-ხველ-ა მან მას იგი → *ა-ხველ-ებ-ს ის მას* → *ა-ხველ-ებ-ს მას*:

აღმოჩნდება, რომ ამ შემთხვევაში სუბიექტის როლში წარმოშობით ირიბი ობიექტი გამოდის, რომელიც I-II სერიაში მიცემით ბრუნვაში დგას.⁵⁹

როგორც უკვე აღვნიშნეთ, IV საფეხური განივითარა მხოლოდ რამდენიმე ფორმამ. რა პრინციპით ხდება ეს პროცესი: აღმოჩნდება, რომ ზმნებს, რომელთაც შემორჩენილი აქვთ I საფეხურის ფორმები (*კანკალებს ის, ცახცახებს ის*), არ უვითარდებათ IV საფეხური და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ისინი (*კანკალებს ის და *აკანკალებს ის*), ფაქტიურად, იდენტური იქნებოდნენ ფუნქციურად.

⁵⁹ ნ. აბესაძე, სახელთა შეწყობა ბრუნვებში *აციებს* ტიპის ზმნებთან, ქსკს, I, თბ., 1972, გვ. 192

გარდა ამისა, ამ ტიპის ზმნებში (*აკანკალ-ებ-ს მას*) სუბიექტის სახელობით ბრუნვაში ჩასმას თან მოჰყვებოდა საშუალის ფორმის ამავე ფუძის აქტივთან დამთხვევა:

**აკანკალებს ის* (ერთპირ. სამ.) / *აკანკალებს ის მას* (ორპ. აქტ.)

ზოგიერთ ფორმაში ეს პირველადი საფეხური არ აღდგება, მაგრამ მოიპოვება სხვა თემისნიშნით, ან სხვა გვარის ფორმით ნაწარმოები ამავე ძირის ზმნები, რომლებიც I საფეხურის მაგივრობას სწევენ. ამიტომ ასევე არ განვითარებულა:

**ა-ყივ-ლ-ებ-ს ის* (< *ა-ყივლებ-ს მას*)

რადგან გვაქვს *ყივ-ი-ს*

**ა-ცხელ-ებ-ს ის* (< *ა-ცხელ-ებ-ს მას*)

რადგან გვაქვს *ცხელ-დ-ებ-ა*

დასასრულს, უნდა აღვნიშნოთ ერთი საინტერესო ვითარება. I და III საფეხურის ფორმები იმ ზმნებისა, რომელთაც მოეპოვებათ განვითარების მხოლოდ 3 საფეხური (*კანკალებს ის* → *აკანკალებს ის მას* → *აკანკალებს მას*), ერთმანეთისგან ფუნქციურად განსხვავდებიან:

კანკალებს ის – ის კანკალებს თავისი ნებით, თვითონ იწყებს კანკალს;

აკანკალებს მას – რაღაცა აკანკალებს, თავის ნებით ეს პროცესი

არ ხდება.

ხოლო ფორმებში, რომელთაც განვითარებას 4 საფეხური აქვთ (**ხველ-ი-ს*/**ხველ-ებ-ს ის* → *ა-ხველ-ებ-ს ის მას* → *ა-ხველ-ებ-ს მას* → *ა-ხველ-ებ-ს ის*) ამ მხრივ ერთმანეთს უპირისპირდება III და IV საფეხური:

ა-ხველ-ებ-ს ის – ის ახველებს თავისი ნებით,

(ვთქვათ, ყელის ჩასაწმენდად);

ა-ხველ-ებ-ს მას – რაღაც აიძულებს, დაახველოს,

არ შეუძლია თავისი ნებით გაჩერება.

ასე რომ, არ არის გამორიცხული, რომ I საფეხურის დაკარგვის (ან არქონის) საკომპენსაციოდ ამ ტიპის ფორმებმა განვითარეს IV საფეხური.

II პარაგრაფი

§2. -ებ თემისნიშნის ზმნების უღლება

1. ამ ზმნათა უმრავლესობა უღლებისას საშუალო გვარისათვის დამახასიათებელ ვითარებას გვიჩვენებს:⁶⁰

- ა) ი- პრეფიქსი მყოფადისა წრისა და II სერიის მწკრივებში;
 - ბ) III სერიის წარმოება ინვერსიულად და -ებ თემის ნიშნის გარეშე.
- უღლების პარადიგმა ასეთია:

I სერია

- 1. R-ებ-ს ის
- 2. R-ებ-დ-ა ის
- 3. R-ებ-დ-ე-ს ის
- 4. ი-R-ებ-ს ის
- 5. ი- R-ებ-დ-ა ის
- 6. ი-R-ებ-დ-ე-ს ის

II სერია

- 7. ი-R-ა მან
- 8. ი-R-ო-ს მან

III სერია

- 9. უ-R-(წ)-ი-ა მას
- 10. ე- R-(წ)-ა მას
- 11. ე-R-(წ)-ო-ს მას

ვაუღლოთ ფორმა ჭიკჭიკებს:

⁶⁰ ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986, გვ. 108

I სერია

1. ჭიკჭიკ-ებ-ს ის
2. ჭიკჭიკ-ებ-დ-ა ის
3. ჭიკჭიკ-ებ-დ-ე-ს ის
4. ი-ჭიკჭიკ-ებ-ს ის
5. ი-ჭიკჭიკ-ებ-დ-ა ის
6. ი-ჭიკჭიკ-ებ-დ-ე-ს ის

II სერია

7. ი-ჭიკჭიკ-ა მან
8. ი-ჭიკჭიკ-ო-ს მან

III სერია

9. უ-ჭიკჭიკ-(ნ)-ი-ა მას
10. ე-ჭიკჭიკ-(ნ)-ა მას
11. ე-ჭიკჭიკ-(ნ)-ო-ს მას

ამ ტიპის უღლებას მიჰყვებიან ფორმები: რაკრაკებს, ქასქასებს, ხასხასებს, კასკასებს, ბაგბაგებს, ლაწლაწებს, რაცრაცებს, ძაგძაგებს, ხარხარებს, ვასვასებს, ქაფქაფებს, კაშკაშებს, ქათქათებს, ჭახჭახებს, ვახვახებს, თახთახებს, ლახლახებს, რახრახებს, ცახცახებს, ჩახჩახებს; ჭიკჭიკებს, გიზგიზებს, ზიმზიმებს, ხითხითებს, ციმციმებს, კისკისებს, წიკწიკებს, ტიკტიკებს, ჟივჟივებს, ლივლივებს, ძიგძიგებს, ლიპლიპებს, ლივლივებს, ჟივჟივებს, ტივტივებს, წივწივებს, ჭივჭივებს; ფუსფუსებს, ბუტბუტებს, კუტკუტებს, ფუტფუტებს, გუზგუზებს, ჩუქჩუქებს, ლულლულებს, ნუნუნებს, ბუყბუყებს, ხუმხუმებს, ფურფურებს, ხურხურებს, კუჭკუჭებს, ჭუხჭუხებს, დუგდუგებს, რუკრუკებს, ჭუკჭუკებს, ბუნბუნებს, თუნთუნებს, რუნრუნებს,

ფუხფუხებს; კირკილებს, ქირქილებს; ქურქულებს, ღურღულებს, ჩურჩულებს; პარპალებს, ტარტალებს; კანკალებს, ტანტალებს, ყანყალებს, ჩანჩალებს, ცანცალებს, წანწალებს; თქონთქოლებს; კუნკულებს, სუნსულებს, ტუნტულებს; თქანთქარებს, ცანცარებს; ფარფატებს, ყურყუტებს; პარპაშებს, ფარფაშებს; ბარბაცებს; ღაღადებს; რიჟრაჟებს; ბაბანებს, კაკანებს, ქაქანებს, ღაღანებს, ყაყანებს, ჭაჭანებს; წიწინებს, ჭიჭინებს, ხიხინებს, ჯიჯინებს, ტიტინებს, ბიბინებს, ჟიჟინებს, სისინებს, ფიფინებს, ღიღინებს, ყიყინებს, ხვიხვინებს; ბუბუნებს, გუგუნებს, დუდუნებს, ზუზუნებს, წუწუნებს; ჯაჯღანებს, ტატყანებს; ტიტყინებს, ჭიჭყინებს, ჯიჯღინებს, ჭრიჭინებს; ჯუჯღუნებს, დუდღუნებს, ჭუჭყუნებს, შუმზუნებს, წუწკუნებს; წრუწუნებს; ტორტმანებს, გოგმანებს; კრიჭინებს, ხრიწინებს, ყროყინებს, ჯლიყინებს, ჭყიპინებს, წრიპინებს, ჭყლიპინებს, სლოკინებს, ტლიკინებს, ჭიხვინებს, ჩხიკვინებს, წიკვინებს, ხრიგინებს, ბუზღუნებს, ბურღუნებს, ღრუტუნებს, ფრუტუნებს, კრუტუნებს, ბღურტუნებს, კრუსუნებს, ბლუკუნებს, ბზუკუნებს, წკარუნებს, შხაპუნებს, ტყაპუნებს, წკაპუნებს, ჩხაკუნებს; ბანცალებს;

ასევე: კიალებს, ციალებს, ზრიალებს, კრიალებს, პრიალებს, ხრიალებს, ტრიალებს, გრიალებს, ღრიალებს, ბრიალებს, სრიალებს, წკრიალებს, ჩქრიალებს, ცქრიალებს, ჩხრიალებს, ბდღვრიალებს, ბჟღვრიალებს, ბრჭყვიალებს, ფთხრიალებს, ფრთხიალებს;

და კიდევ: აზროვნებს, მოქმედებს, ნეტარებს, ვაგლახებს, მეტყველებს, წინასწარმეტყველებს.

აღსანიშნავია, რომ ამ ფორმათაგან ზოგიერთი მყოფადის წრისა და II - III სერიის მწკრივებში ი- პრეფიქსთან ერთად დამატებით ზმნისწინსაც იყენებს: *დაიდრიალა*

დაიდრუტუნა

გადაიხარხარა

(ამის შესახებ უფრო ვრცელი მსჯელობა იხ. აქვე, შესავალში)

2. ზოგიერთი ფორმა (აქტივისაგან პირის კლებით მიღებული) უღლებისას ზმნისწინს მიმართავს. მათი უღლების პარადიგმა ასეთია:

I სერია

1. R-ებ-ს ის

2. R-ებ-დ-ა ის

3. R-ებ-დ-ე-ს ის
4. Prev-R-ებ-ს ის
5. Prev-R-ებ-დ-ა ის
6. Prev- R-ებ-დ-ე-ს ის

II სერია

7. (Prev)-R-ა მან
8. (Prev)-R-ო-ს მან

III სერია

9. (Prev)-უ- R-(ებ)-ო-ა მას
10. (Prev)-ე -R-(ებ)-ო-(ნ)-ა მას
11. (Prev)-ე-R-(ებ)-ო-(ნ)-ო-ს მას

I სერია

1. ა-ნათ-ებ-ს ის
2. ა-ნათ-ებ-დ-ა ის
3. ა-ნათ-ებ-დ-ე-ს ის
4. გა-ა-ნათ-ებ-ს ის
5. გა-ა-ნათ-ებ-დ-ა ის
6. გა-ა-ნათ-ებ-დ-ე-ს ის

II სერია

- 7.(გა)-ა-ნათ-ა მან
8. (გა)-ა-ნათ-ო-ს მან

III სერია

9. (გა)-უ-ნათ-ებ-ი-ა მას

10. (გა)-ე-ნათ-ებ-ი-ნ-ა მას

11. გა)-ე-ნათ-ებ-ი-ნ-ო-ს მას

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ დროს ზოგიერთ ზმნასთან (მაგ. *ანათებს – გაუნათებია*) -
ებ სუფიქსი შენარჩუნებულია, ზოგთან კი – არა. (შდრ. *აგნებს – მიუგნია*)

ასე იუღლება ფორმები: *აკაკუნებს, აგვიანებს, აჭარბებს, იძინებს, იღვიძებს – ის;*
ალოდინებს, სცოდებს, აგნებს - ის მას.

აქვე შემოდის *ახველებს* სტრუქტურის ის ფორმები, რომელთა სუბიექტიც
სახელობითში დგას: *ამთქნარებს, აბოყინებს, აბლოყინებს, აცემინებს, ახველებს,*
აზიდებს, აცხიკვებს - ის.

დატიური კონსტრუქციის ინვერსიულ ზმნებთან კი სპეციფიკური ვითარებაა: I-II
სერიის მწკრივებს ისინი ჩვეულებრივ, სხვა ხმოვანპრეფიქსული ფორმების მსგავსად
აწარმოებენ, განსხვავებას იძლევა III სერია, რომელიც ამ ჯგუფის ზმნებს არ
მოეპოვება.⁶¹შესაბამისად მათი უღლების პარადიგმა ასეთია:

I სერია

1. R-ებ-ს მას

2. R-ებ-დ-ა მას

3. R-ებ-დ-ე-ს მას

4. Prev-R-ებ-ს მას

5. Prev-R-ებ-დ-ა მას

6. Prev-R-ებ-დ-ე-ს მას

II სერია

7. (Prev)-R-ა მას

8. (Prev)-R-ო-ს მას

⁶¹ ნ. აბესაძე, სახელთა შეწყობა ბრუნვებში *აციებს* ტიპის ზმნებთან, ქსკს, I, თბ., 1972, გვ. 201

III სერია

9. _____

10. _____

11. _____

მაგალითისათვის ვაულოთ ზმნა *აცახცახებს* მას.

I სერია

1. ა-ცახცახ-ებ-ს მას

2. ა-ცახცახ-ებ-დ-ა მას

3. ა-ცახცახ-ებ-დ-ე-ს მას

4. ა-ა-ცახცახ-ებ-ს მას

5. ა-ა-ცახცახ-ებ-დ-ა მას

6. ა-ა-ცახცახ-ებ-დ-ე-ს მას

II სერია

7. ა-ა-ცახცახ-ა მას

8. ა-ა-ცახცახ-ო-ს მას

III სერია

9. _____

10. _____

11. _____

ამ ტიპის უღლებას მიჰყვება სამსაფეხურიანი განვითარების მქონე ფორმები: *აყივლებს, აცივ-აცხელებს, აჟრჟოლებს, აზმორებს, აცახცახებს, აძიგძიგებს, აძაგძაგებს,*

ახურებს - მას; ასევე ოთხსაფეხურიანი, ოღონდ მხოლოდ დატიური კონსტრუქციის ფორმები (ნომინატიური კონსტრუქციის ზმნებს, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, III სერიის წარმოებაც შეუძლიათ -ებ თემის ნიშნის შენარჩუნებით): ამთქნარებს, აბოყინებს, აბლოყინებს, აცემინებს, ახველებს, აზიდებს, აცხიკვებს - მას.

3. ზოგიერთ ფორმას მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები მოეპოვება. მათი უღლების პარადიგმა ასეთია:

I სერია

1. R-ებ-ს ის

2. R-ებ-დ-ა ის

3. R-ებ-დ-ე-ს ის

4. _____

5. _____

6. _____

II სერია

7. _____

8. _____

III სერია

9. _____

10. _____

11. _____

ვაუღლოთ ზმნა მღელვარებს:

I სერია

1. მღელვარ-ებ-ს ის

2. მღელვარ-ებ-დ-ა ის

3. მღელვარ-ებ-დ-ე-ს ის

4. _____

5. _____

6. _____

II სერია

7. _____

8. _____

III სერია

9. _____

10. _____

11. _____

ასე უღლება აქვთ ფორმებს: *მართლმსაჯულებს, მჭევრმეტყველებს, ზემოქმედებს, ხმიანებს, ყვავილოვნებს, მრისხანებს, ვაებს, მღვიძარებს, ხმოვანებს, იმედოვნებს, ბდვინვარებს, ბზინვარებს, მხურვალებს, მჭექარებს, მძვინვარებს, მჭმუნვარებს, მდინარებს, მდუმარებს, მწუხარებს, მჩქეფარებს, მღელვარებს, ბრწყინვალებს – ის; სასოებს, მორჩილებს, მსახურებს, მონებს – ის მას.* (ნასახელარი ზმნები)⁶²

4. გვხვდება პასივისებური წარმოებაც: (III სერიის გარეშე)

I სერია

⁶² მ. სუბიშვილი, სემანტიკისა და უღვლილების პარადიგმის მიმართების შესახებ მედიოაქტიურ ზმნებში, იკე, XXXV, თბ., 2005, გვ. 261; დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001, გვ. 113

1. R-ებ-ს ის მას
2. R-ებ-დ-ა ის მას
3. R-ებ-დ-ე-ს ის მას
4. ე-R-ებ-ა ის მას
5. ე-R-ებ-ოდ-ა ის მას
6. ე-R-ებ-ოდ-ე-ს ის მას

II სერია

7. ე-R-ა ის მას
8. ე-R-ო-ს ის მას

III სერია

9. _____
10. _____
11. _____

ასეთი ფორმას სიამოვნებს ის მას

I სერია

1. სიამოვნ-ებ-ს ის მას
2. სიამოვნ-ებ-დ-ა ის მას
3. სიამოვნ-ებ-დ-ე-ს ის მას
4. ე-სიამოვნ-ებ-ა ის მას
5. ე-სიამოვნ-ებ-ოდ-ა ის მას
6. ე-სიამოვნ-ებ-ოდ-ე-ს ის მას

II სერია

7. ე-სიაძოვნ-ა ის მას

8. ე-სიაძოვნ-ო-ს ის მას

III სერია

9. _____

10. _____

11. _____

5. გვაქვს ა- პრეფიქსიანი წარმოება:

I სერია

1. R-ებ-ს ის მას

2. R-ებ-დ-ა ის მას

3. R-ებ-დ-ე-ს ის მას

4. ა-R-ებ-ს ის მას

5. ა-R-ებ-დ-ა ის მას

6. ა-R-ებ-დ-ე-ს ის მას

II სერია

7. ა-R-ო მან მას

8. ა-R-ო-ს მან მას

III სერია

9. უ-R-ო-ა მას (მისთვის)

10. ე-R-ო- მას (მისთვის)

11. ე-R-ო-ს მას (მისთვის)

ასეთი ფორმაა ვნებს ის მას

I სერია

1. ვნ-ებ-ს ის მას
2. ვნ-ებ-დ-ა ის მას
3. ვნ-ებ-დ-ე-ს ის მას
4. ა-ვნ-ებ-ს ის მას
5. ა-ვნ-ებ-დ-ა ის მას
6. ა-ვნ-ებ-დ-ე-ს ის მას

II სერია

7. ა-ვნ-ო მან მას
8. ა-ვნ-ო-ს მან მას

III სერია

9. უ-ვნ-ი-ა მას (მისთვის)
10. ე-ვნ-ო მას (მისთვის)
11. ე-ვნ-ო-ს მას (მისთვის)

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს ერთი სპეციფიკური ზმნა, რომელიც აწმყო-მყოფადში ერთნაირ ფორმას გვიჩვენებს: *უყურებს ის მას*. რადგან ასეთი ტიპის მოვლენა ფუძედრეკად ზმნებთან უფრო ხშირია, დაწვრილებით ამაზე სწორედ ამ უკანასკნელებთან (V თავში) გვექნება საუბარი.

II თავი.

-ობ თემისნიშნისანი ზმნები

§3. -ობ თემისნიშნისანი ზმნები აგებულების მიხედვით

-ობ თემისნიშნისანი საშუალო გვარის ზმნათა რაოდენობა თანამედროვე ქართულში 600-ს აჭარბებს. ეს -ობ თემის ნიშნის დიდი პროდუქტიულობით აიხსნება. ის თავისუფლად აწარმოებს ახალ ფორმებს როგორც სახელადი, ასევე ზმნური ძირებიდან. ამისთვის ხელი უნდა შეეწყოს იმასაც, რომ, როგორც ზ. ჭუმბურიძე აღნიშნავს,⁶³ნასახელარ ზმნებთან -ებ თემის ნიშნის შემთხვევაში აწმყოს III პირის მხ. რიცხვის ფორმა (*ბატონ-ებ-ს = ბატონ-ობ-ს) დაემთხვეოდა სახელის მრ. რიცხვის მიცემითი ბრუნვის ფორმას (ბატონ-ებ-ი _ ბატონ-ებ-ს).

პირიანობის თვალსაზრისით აქ გვხვდება როგორც ერთპირიანი, ისე ორი და იშვიათად სამპირიანი ფორმებიც კი.⁶⁴ამათგან, ორპირიან ფორმებში წარმოდგენილია ხან ირიბი, ხან კი პირდაპირი ობიექტი. ეს უკანასკნელი (აქაც და სამპირიან ფორმებშიც), შემდეგ არის განვითარებული.⁶⁵ისიც აღსანიშნავია, რომ 30-იანი ზმნები ძირითადად ლაბილური ფორმებია: ისინი კონტექსტის მიხედვით ხან თხოულობენ 30-ს, ხან კი _ არა. ანუ ერთი ომონიმური ფორმა ითავსებს ორი მნიშვნელობის გამოხატვას:

მაგ. *შიშობს ის* (შემინებულია, ეშინია)

შიშობს ის მას (ეშინია რაღაცის)

ლაპარაკობს ის (საუბრობს)

ლაპარაკობს ის მას (ამბობს ის მას)

დარდობს ის (ნერვიულობს)

დარდობს ის მას (რაღაცაზე ფიქრობს, წუხს)

ცრუობს ის (იტყუება)

⁶³ ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986, გვ. 108

⁶⁴ ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმოზომი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980, გვ. 101

⁶⁵ რ. ენუქაშვილი, საშუალო გვარის ზმნები ძველ ქართულში, (საკანდიდატო დისერტ. ავტორეფერატი), თბ., 1974; ლ.ნოზაძე. მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, იკე, XIX, 1974. გვ. 49

ცრუობის მას (ტყუილს ამბობს)

მ. სუხიშვილის აზრით, ამ ტიპის ფორმებს პოტენციურად აქვთ 30-ის შეხამების უნარი, რაც ენაში კიდევაც აისახება.⁶⁶

გვხვდება რამდენიმე ფორმა, სადაც 30 იმდენად შეესისხლბორცა ზმნურ მნიშვნელობას, რომ ამ ფუძის ერთპირიანი ვარიანტები უკვე აღარ გვხვდება. ასეთი ფორმებია:

*ვარაუდობს ის მას**ნანობს ის მას**ქირაობს ის მას**გრძნობს ის მას**უკადრისობს ის მას*

3-პირიანი ფორმებიდან აღსანიშნავია:

*სწყალობს ის მას (მას)**(ს)ძღვნობს ის მას მას*

ისიც აღსანიშნავია, რომ 3-პირიანი ფორმების ნაცვლად ხშირად სულ სხვა ძირის აქტივები გამოიყენება: *ჩუქნის ის მას მას* (ნაცვლად ფორმისა *სძღვნობს*), *აძლევს ის მას მას* (ნაცვლად ფორმისა *სწყალობს*).

აქედან *სწყალობს* უფრო ხშირად ორპირიანი შინაარსის გამოსახატავად იხმარება (*ღმერთი სწყალობს*).

ლაბილურ ფორმებად იქცნენ პირის ნიშნის დაკარგვის შემდეგ ორპირიანი (ირიბობიექტიანი) ზმნებიც. ერთი და იგივე ფორმა გამოიყენება ერთპირიანი და ორპირიანი შინაარსის გამოსახატავად:

*მკითხაობს**დარაჯობს*

1. ის (მკითხავია)

1. ის (დარაჯია)

2. ის ქალს

2. ის სახლს

*მკურნალობს**თამადაობს*

1. ის (თავის თავს // მკურნალია)

1. ის (თამადაა)

2. ის პაციენტს

2. ის სუფრას

⁶⁶ მ. სუხიშვილი, გარდამავლობა, ერგატიულობა და გვარი ქართულში (სადოქტ. დისერტაცია), თბ., 1999, გვ. 115

ცალკე აღნიშვნის ღირსია -ულ სუფიქსიანი ფორმები, რომელთაც თითქმის ყველას აქვს პო. ამ ზმნათა რაოდენობა 20-ს აჭარბებს და მათ რიგი თავისებურება ახასიათებთ, რომელთაგან აღსანიშნავია:

1) (როგორც უკვე აღვნიშნეთ) პო-ის ქონა: *სესხულობს ის მას*;

2) აწმყოს ფუძეში -ულ სუფიქსის დამატება, რომელიც მყოფადის წრისა და II-III სერიის ფორმებში აღარ ჩანს: (*სესხულობს_ისესხებს_ისესხა*);⁶⁷

დ. მელიქიშვილის აზრით, აღნიშნული ზმნები (მაგ. *ისესხებს*) აქტივის სასუბიექტო ვერსიის აწმყოს მწკრივის ფორმებია, რომელთაც მყოფადის შინაარსი მიიღეს და საჭირო გახდა ახალი აწმყოს (*სესხულობს*) წარმოება.⁶⁸(ამათგან ზოგიერთს დღესაც შენარჩუნებული აქვს აწმყოს მნიშვნელობა: *იგებს/გებულობს _ გაიგებს _ გაიგო*).

აქტივებია უთუოდ ზმნისწინიანი (*იღებს/ღებულობს – აიღებს – აიღო*), მაგრამ არა - უზმნისწინო (*ნატრულობს – ინატრებს – ინატრა*) ფორმები.

ი/უ- პრეფიქსიანი მყოფადი, როგორც წესი, საშუალი გვარის ზმნებს ახასიათებთ. რატომ გვაქვს ის აქტივის ფორმებში? თუ ისინი ნამდვილად მოქმედებითი გვარის ზმნებია, რა უშლის ხელს მათ, რომ მყოფადი და წყვეტილი ზმნისწინით აწარმოონ? შეიძლება ითქვას – არაფერი. აქედან გამომდინარე, ესენი საშუალი გვარის ფორმები ყოფილა, რომელთაც პო განვიტარეს. ასეთი შემთხვევები კი მრავლად გვაქვს (მაგ. *დარდობს ის მას*). ეს და სხვა პირდაპირობიექტიანი ზმნები კი რომ ნამდვილად საშუალის ფორმებია, ამას ადასტურებს:

1. მყოფადის წრისა და II სერიის მწკრივების წარმოება ი- პრეფიქსით: *დარდობს – იდარდებს*;

2. ერთპირიანი ფორმების არსებობა ორპირიანი ფორმების გვერდით: *დარდობს ის / ის მას*.

ისიც აღსანიშნავია, რომ საშუალი გვარის ზმნებთან განვითარებული პო ხშირად კონკრეტული სახელი კი არ არის, როგორც ეს არის აქტივებთან (*აკეთებს ის საჭმელს, აშენებს ის სახლს, ხატავს ის სურათს*), არამედ აბსტრაქტული, ხშირად – მასდარი.⁶⁹

⁶⁷ ვ. კალანდაძე, *გებულობს, ღებულობს* ტიპის ზმნები თანამედროვე ქართულში, ქსკს, I, თბ., 1972

⁶⁸ დ. მელიქიშვილი ქართული ზმნის უღლების სისტემა, 2001. თბ. გვ. 167; აქტივებად არის მოჩნეული *ყიდულობს, კითხულობს* ზმნები ბ. ჯორბენაძესთანაც; იხ. ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმოზომი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980, გვ. 121

⁶⁹ რ. ენუქაშვილი, საშუალი გვარის ზმნები ძველ ქართულში, (საკანდიდატო დისერტ. ავტორეფერატი), თბ., 1974, გვ. 15; შ. აფრიდონიძე, ერგატიული და ფსევდოერგატიული

დარდობს ის (მეგობრის) ამბავს

ფიქრობს ის (სახლის) აშენებას

უკადრისობს ის (ოთახის) დალაგებას

გრძნობს ის ბედნიერებას

ხშირად ზმნას 30 პირი კი შეეწყობა ნაცვალსახელის სახით, მაგრამ ჭირს ამ ნაცვალსახელის შესაბამისი სახელით ჩანაცვლება (ან ამ დროს მთელი წინადადების მოყვანა ხდება საჭირო):

მაგ. *შიშობს ის მას (რას?)*

ცრუობს ის მას (რას?)

ლაპარაკობს ის მას (რას?)

როგორც ვხედავთ, ამ ტიპის ფორმებში ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული 30-ის მიღების პროცესი, თუმცა ზოგან ის ისე კარგად არის შეგუებული ზმნის შინაარსს, რომ ერთპირიანი ფორმა ამა თუ იმ ფუძისა აღარც კი გვხვდება.

რომ დავუბრუნდეთ *ნატრულობს_ინატრებს* ტიპის წარმოებას: რატომ აქვთ მათ - **ულ** სუფიქსიანი აწმყოში ფორმა? ვ. კალანდაძე აღნიშნავს,⁷⁰ რომ უღლების ახალი სისტემის ჩამოყალიბების შემდეგ, როცა ბევრი ზმნა II სერიაში სრულასპექტიანი დარჩა, (ზმნისწინის გარეშეც), ხოლო აწმყომ კი მყოფადის მნიშვნელობა შეიძინა (რადგან ისიც სრულასპექტიანი გახდა), აწმყოს ცარიელი ადგილის შევსება -**ილ** / -**ულ** სუფიქსიანი მომღეობის დახმარებით გახდა შესაძლებელი:

წყვეტილი: *ნახა, იკითხა, იყიდა*

მყოფადი: *ნახავს, იკითხავს, იყიდის*

აწმყო: *ნახულობს, კითხულობს, ყიდულობს*

ეს ვარაუდი ეჭვს არ იწვევს, მაგრამ საინტერესოა, რატომ არ გამოიყენეს უღლებისას ამ ფორმებმა ზმნისწინი სხვა ზმნათა მსგავსად და რატომ გახდნენ ისინი იძულებულნი, რომ უპრეფიქსო *ნახა, ნახავს* ტიპის წარმოება გამოეყენებინათ ამ დროს. საქმე ის არის, რომ უზმნისწინო და ზმნისწინიან ვარიანტებს შორის აქ შინაარსობრივი სხვაობაა. შდრ.

კონსტრუქციების შემქმნელი გარდაუვალი ზმნების მორფოსინტაქსის საკითხები, არნ. ჩიქოვას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1998, გვ. 15

⁷⁰ვ. კალანდაძე, *გებულობს, ღებულობს* ტიპის ზმნები თანამედროვე ქართულში, ქსკს, I, თბ., 1972, გვ. 169-172

ნახა – მონახა

ჰკითხა – წაკითხა

სთხოვა – მოსთხოვა

ზოგიერთი საშუალო გვარის ფორმა ისედაც ვერ მიიღებდა ზმნისწინს, მაგრამ მათ უფრო მარტივი გამოსავალი იპოვეს: უ- პრეფიქსიანი ფორმები მყოფადისათვის გამოიყენეს, ხოლო აწმყოში კი უპრეფიქსო ფორმები დაირთვეს:

აწმყო: *საყვედურობს*

მყოფადი: *უსაყვედურებს*

თუ აქტივთა მსგავსად დამთხვევის საშიშროება იქმნება, მხოლოდ მაშინ მიმართავს საშუალო -ულ სუფიქსიან მიმღეობას:

აწმყო: *ყიდ-ულ-ობ-ს (შდრ. ყიდ-ო-ს)*

მყოფადი: *ო-ყიდ-ო-ს (შდრ. გა-ყიდ-ო-ს)*

დაახლოებით იგივე ვითარებაა *ლოცავს* ტიპის ფორმებთან: *ლოცავს* ორპირიანი აქტივია, ერთპირიანი საშუალის გამოსახატავად კი ჩვენ აწმყოში გვჭირდება განსხვავებული ფორმა. სწორედ ამიტომ შეიქმნა *ილოცავს*, (ი- პრეფიქსი კარგად ეგუება საშუალის შინაარსს.)⁷¹ მაგრამ, როდესაც შემდეგ ეტაპზე საშუალო გვარის ზმნები ი-პრეფიქსიანი ფორმებს მყოფადის წრისათვის გამოიყენებენ, საჭირო გახდება ახალი წარმოება, რადგან *ო-ლოც-ავ-ს* ტიპის ზმნები მყოფადის (და II სერიის, ოღონდ აქ უთემისნიშნოდ) კუთვნილება გახდება. ამიტომ ენა მიმართავს სხვა ხერხს და -ულ სუფიქსის საშუალებით აწარმოებს საშუალო გვარის ერთპირიან ფორმას:

აქტ. *ლოცავს ის მას/დალოცავს ის მას*

მედ. *ლოცულობს ის/ილოცებს ის*

აქტ. **სესხავს ის მას*

მედ. *სესხულობს ის (მას)/ო-სესხ-ებ-ს ის მას*

რადგან **სესხავს* ფორმასთან პო გაჩნდა, (ან იყო თავიდანვე) -ულ სუფიქსიანი *სესხულობს* ერთპირიანი ფორმის გამოსახატავად გამოიყენა ენამ. მაგრამ ამ ერთპირიანმა ფორმამაც განივითარა პო, რის შემდეგაც დაიკარგა **სესხავს* ორპირიანი

⁷¹ საინტერესოა ამ მხრივ ივ. ქავთარაძის მიერ მოხმობილი მაგალითები: (ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954, გვ. 260)

რეკავს ის მას – ორპირიანი პო-იანი ფორმაა
ირეკს ის – ერთპირიანი ფორმაა (პო არ შეეწყობა)

ფორმა. (განსხვავებით *ლოცულობს* ფორმისაგან, რომელმაც შეინარჩუნა ერთპირიანობა.)

შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ მხოლოდ აქტივისა და საშუალის გასარჩევად კი არა, არამედ საშუალის ერთპირიანი და ორპირიანი ფორმების განსასხვავებლადაც ყოფილიყო საჭირო *-ულ* სუფიქსი ზოგიერთ ფორმასთან. კერძოდ, ამავე რიგის მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე *ინანის-ნანობს* ტიპის ზმნებთანაც.

სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული აზრის მიხედვით, *ი-* პრეფიქსი ამ ზმნებში თავიდანვე იყო და შემდეგ დაიკარგა.

ივ. ქავთარაძის აზრით, *ი-* პრეფიქსი უძველესი პრეფიქსია, რომელსაც თავდაპირველად დეიქტური ნაწილის ფუნქცია ჰქონდა, შემდეგ კი შეიძინა რეფლექსური, უკუქცევითი მნიშვნელობა. *ი-* პრეფიქსს მკვლევარი ორგანულად მიიჩნევს *ივინის, ინანის, ივაჭრის, იშიშვის* ტიპის საშუალი გვარის ფორმებში.⁷²

შემდეგ, როდესაც პრეფიქსული წარმოება სუფიქსურზე გადავიდა, *ი-* პრეფიქსიანი ფორმების გვერდით ჩამოყალიბდა უპრეფიქსო *მღერის, ნანობს, ბორგავს* ტიპის ფორმები. მეტიც, ივ. ქავთარაძე ვარაუდობს, რომ *ი-* პრეფიქსი შესაძლებელია დაკარგული იყოს თვით ისეთი ტიპის ფორმებშიც კი, რომლებიც ჩვენთვის მხოლოდ უპრეფიქსო წარმოებით არის ცნობილი. *ი-* პრეფიქსის აღდგენა მკვლევარს შესაძლებლად მიაჩნია – *დუმს* (შდრ. *ი-დუმ-ალ*), *შურს, დულს, წუხს* ფორმებშიც.

ი- პრეფიქსიანი ფორმები მიაჩნია ამოსავლად უპრეფიქსო ფორმებისათვის ლ. ნოზაძესაც.⁷³ მისი აზრით, *ი-* პრეფიქსი უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი ამგვარ ზმნათა აწმყოსა და ნამყო ძირითადის წყებისათვისაც. მკვლევარის აზრით, *ი-* პრეფიქსის დაკარგვა უნდა გამოეწვია ფონეტიკურ პროცესებს. *მეფობს-იმეფა* ტიპის წარმოება მიღებული უნდა იყოს *ივინის-ივინა* ტიპის წარმოებისაგან. ამ თეორიის სასარგებლოდ ლ. ნოზაძე მიუთითებს სხვა ქართველური ენების მონაცემებზეც (მეგრული, ჭანური, სვანური), სადაც ასევე გვაქვს *ი-* პრეფიქსიანი საშუალი გვარის აწმყოს ფორმები.

⁷² ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954, გვ. 274

⁷³ ლ. ნოზაძე, მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, იკვ, XIX, თბ., გვ. 36

ი- პრეფიქსი საშუალო გვარის ზმნებში შემდეგ დაკარგულად მიაჩნია ბ. ჯორბენაძესაც.⁷⁴ მისი აზრით, ძველი ქართულის, სხვა ქართველური ენებისა და ზოგი თანამედროვე დიალექტის მონაცემების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ტიპის ზმნებს ეს ი- პრეფიქსი მოეპოვებოდათ და შემდგომ დაკარგეს; უკუქცევითობის ი- პრეფიქსი დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო იმ ზმნებისათვის, რომელთაც საშუალო გვარის ფორმებს უწოდებენ. ამასთან, მკვლევარის აზრით, ზოგიერთმა მათგანმა უბრალოდ დაკარგა ი- (*ი-გლოვ-ს > გლოვ-ს*), ზოგმა წარმოების მოდელიც შეიცვალა (*ი-ნან-ი-ს > ნან-ობ-ს*), ზოგმა იცვალა ფორმა, მაგრამ შეინარჩუნა ი- პრეფიქსი (*ი-ცინ-ის > ი-ცინ-ებ-ს*), ზოგი კი ძველი წარმოებით შემოგვრჩა (*ი-სწრაფ-ვ-ი-ს*).

სხვა შემთხვევაში პრეფიქსიანი ფორმა მყოფადმა გამოიყენა: *სტვენ-ს _ ი-სტვენ-ს*.

ჩვენი აზრით კი, ამ ტიპის ფორმებში ი- პრეფიქსი შემდგომ უნდა გაჩენილიყო:

უპირველეს ყოვლისა, თუ ვივარაუდებთ *ი-მღერის > მღერის* პროცესს, უნდა დავასაბუთოთ, თუ რის გამო მოხდა ეს. ლ. ნოზაძე ვარაუდობს, რომ თემატური სუფიქსის დართვას უნდა გამოეწვია თავკიდური ხმოვნის მოკვეცა, ანუ რედუქცია იმ ხმოვნებისა, რომელთა ფუნქციაც დაჩრდილულია;⁷⁵ მაგრამ მაშინ ჩნდება კითხვა, რატომ არ იწვევს ეს ი-ს რედუქციას მყოფადის წრის მწკრივებში? ან რატომ იყო ძველ ქართულშივე ასე გავრცელებული ი- პრეფიქსიანი და თემატურიზნიანი *იმღერის, ინანის, ილოცავს*? მათი მეორეულობით ამის ახსნა (როგორც მკვლევარი ვარაუდობს), ვფიქრობთ, არაა დამაჯერებელია.

მეორეც, რა აუცილებელი იყო პრეფიქსი ამ ტიპის ფორმებში? საშუალო გვარის ზმნები უძველესი ზმნებია, რომელთათვისაც არ უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი რთული (სხვადასხვა აფიქსიანი) წარმოება. თუ გავითვალისწინებთ ბ. ჯორბენაძის მოსაზრებას, რომ ე.წ. საშუალო გვარის ზმნები იგივე მოქმედებითი გვარის ფორმებია, ოღონდ უკუქცევითი შინაარსისაა, მით უფრო ნაკლებ სავარაუდოა, რომ ერთი გვარის შიგნით საჭირო ყოფილიყო ფორმოზრივად გარჩევა გარდამავალი (აქტიური) და

⁷⁴ ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975, გვ. 80

⁷⁵ ლ. ნოზაძე, მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, იკე, XIX, თბ, 1974, გვ. 36; მისივე, ისევ მედიოაქტიური ზმნების შესახებ ქართულში, იკე, XXXV, თბ., 2001, გვ. 223

გარდაუვალი (მედიალური) ზმნებისა. ამ ფორმებს შორის (*წერ-ს ის მას და წუხ-ს ის*) სხვაობა მხოლოდ 30-ის უქონლობაა; აქედან მოდის მათი «უკუქცევითი» შინაარსიც. (თუმცა ბევრი ფორმა საერთოდ არ იძლევა ამგვარ გაგებას (მაგ. *ლაპარაკობს, ნანობს*) – ამიტომაც გახდა შესაძლებელი საშუალო გვარის ზმნებთან 30-ის ობიექტის დამატება.)

მაშ, რა არის ი- პრეფიქსი აღნიშნულ ფორმებში და რატომ დაიკარგა ის? თუ დავუკვირდებით იმ ზმნებს, რომელთაც ი- პრეფიქსი აწმყოშივე მოეპოვებათ (ან ძველ ქართულში ან ახალში, თუმცა, ახალში ამ ზმნათა რაოდენობა ბევრად მცირეა), აღმოვაჩინოთ, რომ მათ აბსოლუტურ უმრავლესობას (*ინანის, იცინის, ივაჭრის, იშიშვის, იგლოვს, ისტუნს, იმარხავს, ილოცავს, ილაღადებს, ინადირებს, იმღერის* – ესენი ძველ ქართულში ყველანი აწმყოს ფორმებია) მოეპოვება უპრეფიქსო ცალი (როგორც ახალ, ისე ძველ ქართულშიც) – *ნანობს, (და)სცინის, ვაჭრობს, შიშობს, გლოვობს, სტუნს, მარხავს, ლოცავს, ღაღადებს, ნადირობს, მღერის*. აქედან უპრეფიქსო ზმნათა უმრავლესობა ისევ საშუალო გვარის ფორმებია, ხოლო ორიოდ (*მარხავს, ლოცავს*) – მოქმედებითისა. სავარაუდოდ, ი-პრეფიქსიანი ფორმები სწორედ აქტივსა და საშუალებას, ერთი მხრივ; და საშუალის ფორმებს შორის, მეორე მხრივ, განსხვავების დასამყარებლად შეიქმნა. მოქმედებითსა (*ლოცავს, მარხავს*) და საშუალებას (*ილოცავს, იმარხავს*) შორის შინაარსობრივი სხვაობა აშკარაა, მაგრამ რა საჭირო იყო საშუალო გვარის შიგნით უპრეფიქსო და პრეფიქსიანი ვარიანტების (*ინანის/ნანობს*) არსებობა?

როგორც ცნობილია, საშუალო გვარის ზმნები წარმოშობით (და უმრავლესობა ახლაც) გარდაუვალი ფორმებია. მაგრამ 30-ის გაჩენა ჯერ კიდევ ძველ ქართულშივე ფართოდ გავრცელებული მოვლენაა: ამგვარად ერთ ფორმას ეკისრება გარდაუვალი და გარდამავალი შინაარსის გამოხატვა. ენა ცდილობს მათ შორის განსხვავების დამყარებას და ამისთვის ეძებს საშუალებას: -ა/-ე/-უ პრეფიქსებზე უკეთ კი მას ამ შემთხვევაში ი- პრეფიქსი ესადაგება, რომელსაც არც ზედმეტი პირი არ შემოჰყავს ზმნაში (პირიქით, აკლებს კიდევ პირს, განსხვავებით -ა/-ე/-უ პრეფიქსებისგან, რომელთაც პირზე მინიმუმების ფუნქცია მკვეთრად აქვთ ჩამოყალიბებული⁷⁶); და მისი უკუქცევითი შინაარსიც მეტნაკლებად ესადაგება საშუალის ერთპირიან ფორმებს.

⁷⁶ ბ. ჯორბენაძე, ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბ., 1983; მ. მაჭავარიანი, ქცევის კატეგორიის საკითხისათვის, იკე, XXII, თბ., 1980

არსებითად ამავე მოვლენასთან გვაქვს საქმე ე. წ. დეპონენსებთან: *ილანძღება*, *ივინება*, *იცოხნება*, *იმუქრება*, *ირქინება*, *ილიმება* (შდრ. *იცინის*), *იყეფება*, *იჭყიტება*, *რომლებიც*, *ფაქტიურად*, *აქტიური*, *ერთპირიანი* საშუალის ტოლფარდი ფორმებია.⁷⁷ სიმპტომატურია, რომ დროთა განმავლობაში ამ ფორმებსაც უჩნდებათ პირდაპირი ობიექტი: *იწერება* ის წერილს – *მოიწერა* მან წერილი;⁷⁸ აღსანიშნავია დეპონენსებისა და საშუალის ერთპირიანი ფორმების პარალელური გამოყენების შემთხვევები: *ივინება* = *ბილწსიტყვაობს*; *ილიმება* = *ილიმის/იცინის*; *იბღვირება* = *ქუშობს*.

მართალია, ძველ ქართულში სისტემური ხასიათი არა აქვს უპრეფიქსო და პრეფიქსიან ფორმებს შორის ასეთ სხვაობას:

<i>გლოვ-ი-ს</i>	}	<i>ი-გოოი-ს</i>	}	ის
<i>ნატრ-ი-ს</i>		<i>ი-ნატრ-ი-ს</i>		

მაგრამ ახალ ქართულში ერთპირიან ფორმებს ი-პრეფიქსიანი წარმოება ახასიათებს, ორპირიანებს კი - უპრეფიქსო:

ი-ნან-ი-ს ის (სინანულშია)⁷⁹

ნან-ობ-ს ის მას

ი-ხარ-ი-ს ის (ხარობს, გახარებულია)

ხარ-ობ-ს ის მას (თუმცა ამისი ერთპირიანი ფორმაც არსებობს)

ი-ნაღვლ-ი-ს ის (დაღონებულია)

ნაღვლ-ობ-ს ის მას

ი-ცინ-ი-ს ის

(*და*)-*ს-ცინ-ი-ს* ის მას (თუმცა აქ ობიექტი ირიბია და არა პირდაპირი)

ე.ი. ი- პრეფიქსიანი ერთპირიანი საშუალის ფორმები შეიქმნა მასსა და ამავე ფუძის უპრეფიქსო ორპირიან საშუალებას (ან მოქმედებითი გვარის ზმნებს) შორის განსხვავების დასამყარებლად.

⁷⁷ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 296-300; ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975, გვ. 129, 145, 160-170

⁷⁸ იხ. ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975, გვ. 145, 160

⁷⁹ ნიშანდობლივია, რომ *ინანის* ძველ ქართულშიც უმეტესად ერთპირიანია, *ნანობს* კი (უკვე ახალ ქართულში) იხმარება ორპირიანად.

ახალ ქართულში ი-პრეფიქსიანი ზმნები იშვიათად იხმარება. მეორე მხრივ, უპრეფიქსო ფორმებმა თავის თავზე აიღეს როგორც ერთპირიანი, ისე ორპირიანი შინაარსის გამოხატვა:

<i>ნანობს</i>	<i>ის/</i>	}
<i>მღერის</i>	<i>ის მას</i>	

ამათ მიჰყვებიან ფორმები, რომელთაც ი- პრეფიქსი აწმყოში არასდროს ჰქონიათ (ოღონდ აქ ობიექტი ირიბია). ასეთი ზმნაა მაგ:

მკითხაობს ის/ის მას

აწმყოს ი- პრეფიქსიანი ფორმების გადავარდნის ძირითადი მიზეზი უღლების ე.წ. «ბერძნული» სისტემიდან «სლავურ» სისტემაზე გადასვლა უნდა ყოფილიყო.⁸⁰ გარდა ამისა, ამავე დროს უნდა გასჩენოდა პრეფიქსიან ზმნებსაც პი და უპრეფიქსო (*ნანობს*) და პრეფიქსიან (*ინანის*) ფორმებს შორის შინაარსობრივი სხვაობა აღარ იქნებოდა სისტემებზე გატარებული.

აქედან გამომდინარე, ი- პრეფიქსი თავიდანვე კი არ ჰქონდა ამ ზმნებს აწმყო-წყვეტილში და შემდეგ კი არ დაიკარგა, არამედ გაჩნდა აწმყოში (ფორმების განსასხვავებლად) და წყვეტილსა და მყოფადში (მწკრივების საწარმოებლად).

რადგან ი- პრეფიქსიანი საშუალის ფორმები მყოფადის წრეს განეკუთვნა, აწმყოში *ი-ნან-ი-ს* ტიპის ზმნების არსებობა შეუძლებელი გახდა და ასეთი ფორმები ან საერთოდ გადავარდა ხმარებიდან, ან შეიცვალა სხვა წარმოებით (*ი-ლოც-ავ-ს > ლოც-ულ-ობ-ს*).

როგორც ამ თავის დასაწყისში უკვე აღვნიშნეთ, **-ობ** თემის ნიშანი აქტიურად აწარმოებს ახალ ფორმებს როგორც სახელადი, ასევე ზმნური ფუძეებიდან. ამის მიხედვით **-ობ** თემისნიშნიან ზმნებში რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა წარმოშობის (წარმოების) მიხედვით:

1. საკუთრივ ზმნური ძირები: *ნათობს, უბნობს, დუმობს, წვალობს, შოობს, გრძნობს, ცნობს, ბჭობს, ჩაგრობს, წვალობს (ს)ძულობს, შურობს, ჰყვარობს, ცდილობს, ფლობს, (ჰ)ყურობს, შვენობს, სწავლობს, ჭიდაობს, ბანაობს, ხტუნაობს, ყვინთაობს, ცურაობს, ქანაობს, გორაობს;*

2. ნასახელარი ძირები:

⁸⁰ შდრ. ლ. ნოზაძე, ისევ მედიოაქტიური ზმნების შესახებ ქართულში, იკე, XXXV, თბ., 2001, გვ. 223

ა) არსებით სახელთაგან ნაწარმოები:

1) მარტივი არსებითებისგან: *ომობს, მაიმუნობს, ლომობს, ლოთობს, ლექსობს, ლაშქრობს, კრუხობს, გვარობს, სახლობს, სარდლობს, რეჟისორობს, პურობს, პოეტობს, ფასობს, ქურდობს, ქორობს, მისნობს, მინდვრობს, ქეიფობს, მიზეზობს, ქალობს, ქადაგობს, ფირალობს, შეფობს, ყოჩობს, ძაღლობს, ცვარობს, ცეცხლობს, ჯიქობს, ჯიბგირობს, ჯეირნობს, ჯაშუშობს, ჯამბაზობს, ხულიგნობს, გუშაგობს, ორატორობს, გულობს, გმირობს, ვაჟობს, დირიჟორობს, დიპლომატობს, დარაჯობს, ოსტატობს, დალაქობს, ვერცხლობს, ვარდობს, დურგლობს, დიქტატორობს, თაღლითობს, თარჯიმნობს, თამადაობს, ზამთრობს, ზაფხულობს, ეშმაკობს, ერობს, ვეზირობს, კავალრობს, იურისტობს, იალაღობს, თავადობს, მუსიკობს, ნადიმობს, ნადირობს, ღონობს, ბურთაობს, თევზაობს, გუნდაობს, ხუროობს, მუშაობს, ლიტანიობს, მეტანიობს, პატრონობს, რედაქტორობს, ყარაულობს, ძმობს, ვიზიტობს, კავალრობს, ამხანაგობს, პარტნიორობს, მზეობს, ბუდობს, აქიმობს, არტისტობს, ამაგობს, ალაფობს, ავდრობს, ავაზაკობს, აბრაგობს, კერპობს, კეისრობს, კაცობს, ბიჭობს, ბინდობს, ბინადრობს, ბელადობს, ბუნტობს, ბატონობს, ბუნაგობს, ბანდიტობს, ბანაკობს, ბაღლობს, ბავშვობს, პედაგოგობს, პატრიოტობს, პარტიზანობს, ოჯახობს;*

2) წარმოქმნილ არსებითთაგან: *მამაკაცობს, დედაკაცობს, ქალბატონობს, დიასახლისობს, დედოფლობს, დიდკაცობს, დღესასწაულობს, თავკაცობს, შუაკაცობს, გლახაკობს, გულთმისნობს, ვაჟკაცობს, ავკაცობს, ადამიანობს, ბერიკაცობს, მღვდელთმთავრობს, ხევისბრობს, მთავრობს, მგზავრობს, მექრთამეობს, მეგზურობს, მეთაურობს, მეწისქვილეობს, მეცხვარეობს, მოციქულობს, მოგზაურობს, მომთაბარეობს, ლაქიაობს;*

ბ) ზედსართავ სახელთაგან ნაწარმოები:

1) ვითარებითი ზედსართავებისგან: *ბრიყვობს, ანცობს, ამაყობს, ბოროტობს, აზიზობს, ავობს, კვიმატობს, კეკლუცობს, ბეჯითობს, მამაცობს, ლაჩრობს, ლაღობს, ლამაზობს, სუსტობს, სულელობს, სასტიკობს, რეგვენობს, ტუტუცობს, მკაცრობს, ქუშობს, ქველობს, ფრთხილობს, ფლიდობს, ფიცხობს, ცელქობს, შორობს, ყოჩაღობს, ძვირობს, ცულლუტობს, ცივობს, ცეტობს, ჭარბობს, ხამობს, გიჟობს, ჯიუტობს, ხშირობს, დინჯობს, დიდობს, ოხუნჯობს, ვერაგობს, ზანტობს, კაპასობს, წყნარობს, წუწკობს, მუხანათობს, მუყაითობს, ცრუობს;*

2) მიმართებითი ზედსართავებისგან: *ბრაზიანობს, ათასფერობს, ავგულობს, გაიძვერობს, პირმცინარობს, მავნებლობს, მამეზღარობს, კუდიანობს, კუდაბზიკობს, გესლიანობს, მედიდურობს, სათუთობს, პირქუშობს, პირფერობს, უქნარობს, უფროსობს, უმადურობს, უკმეხობს, ქედმაღლობს, მორცხვობს, მტაცებლობს, მრუშობს, ჭკვიანობს, ჭირვეულობს, მძლავრობს, გულადობს, თავხედობს, ზვიადობს, ზარმაცობს, ერთგულობს, უცხოობს, მოძრაობს, ცნობილობს, სიტყვამახვილობს;*

გ) რიცხვით სახელთაგან ნაწარმოები: *პირველობს;*

დ) მიმღეობათაგან ნაწარმოები: *მკითხაობს, მბრძანებლობს, მკურნალობს, მსაჯულობს, მჭედლობს, მწყემსობს, მწერლობს, მრეცხაობს, მზრუნველობს, მფარველობს, მასწავლებლობს, მარხულობს, მათხოვრობს, მარჩიელობს, მეფობს, მეცნიერობს, მოყვრობს, მოღვაწეობს, საქმობს, სარგებლობს, სამართლობს, სადგურობს, საზრდობს, წინამძღოლობს, თავმჯდომარეობს;*

ე) პირველადი საწყისებისგან ნაწარმოები ფუძეგაორკეცებული ძირები, რომელთაც თითქმის ყველას **-ებ** თემისნიშნის ვარიანტიც მოეპოვება (ეს უკანასკნელი უფრო სალიტერატურო ფორმა უნდა იყოს):

როხროხობს, კივკივობს, ლიკლიკობს, კრიჭინობს, კოწიწობს, ტიკტიკობს, ფხაკუნობს, ფაფხურობს, ფარფაშობს, ფაციფუცობს, ფაცურობს;

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ზმნებიდან ყველას აქვს **-ებ** თემისნიშნის ვარიანტი (*როხროხებს, კივკივებს, ლიკლიკებს, კრიჭინებს, ტიკტიკებს*) ათიოდე ფორმის გარდა, რომლებიც მხოლოდ **-ობ** თემის ნიშნით არიან წარმოდგენილი. აქ ფონეტიკური ფაქტორი უნდა იყოს ჩარეული: თუ ინლაუტში **უ** ხმოვანი გვაქვს, ანლაუტში კი – ნებისმიერი სხვა, **-ებ** თემისნიშნის ნაცვლად ყოველთვის **-ობ** სუფიქსი გვექნება: *ფაფხურობს, ფაციფუცობს, ფაცურობს.*

ფუძის დაბოლოების მხრივ გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

1) თანხმოვანზე დაბოლოებული ფუძეები: *ბრაზობს, ამაყობს, ალაფობს, ბეჯითობს, კეკლუცობს, კაცობს, ქალობს, ოჯახობს, მამაცობს, ლიდერობს, სადგურობს, ფასობს, ქურდობს, ყბედობს, მუნჯობს, მოგზაურობს, ცულლუტობს, ჯაშუშობს, ნანობს, ნათობს, დიდგულობს, დედოფლობს, ოხუნჯობს, დარაჯობს, ზეიმობს, თამადობს, პატრონობს, წინამძღოლობს, მეგზურობს, დირიჟორობს, მეგობრობს, ექიმობს, მდივნობს, მკურნალობს, ქომავლობს;*

2) ხმოვანზე დაბოლოებული ფუძეები:

- a) -ა ხმოვანზე დაბოლოებული: ყვინთაობს, ყელყელაობს, მკითხაობს, ქანაობს, თაობს, ფარიკაობს, შოლტაობს, ყურყურმელაობს, ვაობს, ტლინკაობს, სხვაობს, სალაობს, რიკაობს, პრანჭიაობს, მასხარაობს, პეპლაობს, პამპულაობს, მამლაყინწაობს, ლექსაობს, ლაქიაობს, ლალაობს, ლაზღანდარაობს, კურდღლაობს, კოხტაობს, კოჭაობს, კოპწიაობს, კინკლაობს, კენჭაობს, კენწლაობს, ბუჩაობს, კეკელაობს, ბუქსაობს, ბუქნაობს, ბუტიაობს, ბურთაობს, ბანაობს, ასკინკილაობს, არარაობს, კაფიაობს, თევზაობს, ენაობს, დაობს, გუნდაობს, გორაობს, ჯიკაობს, ხტუნაობს, ნანაობს, ქირაობს, კმაობს, ჭყუმპალაობს, ჭორაობს, ჭიდაობს, წუწაობს, მუშაობს, ძიძგილაობს, მრეცხაობს, ცრუპენტელაობს, მოძრაობს, ციგურაობს, ციგაობს, ჩხირკედელაობს;
- b) -ე ხმოვანზე დაბოლოებული: ღრეობს, უზნეობს, პირმოთნეობს, თავმჯდომარეობს, ენამზეობს, რჩეობს, მნეობს, მზეობს, მხნეობს, მდებარეობს, მდგომარეობს, მეჭურჭლეობს, მეწისქვილეობს, მეწვრილმანეობს, მეცხვარეობს, მეშურნეობს, მეცადინეობს, მერყეობს, მეკობრეობს, მეველეობს, მევახშეობს, მედუქნეობს, მოთავეობს, მონაწილეობს, მომჭირნეობს, მომთაბარეობს, მომდინარეობს, მორიგეობს, მოღვაწეობს, მოსახლეობს;
- გ) -ი ხმოვანზე დაბოლოებული: თანიობს, ძიობს, ლაქიობს, ლათაიობს, ბაქიობს, ენატანიობს, მუტაციობს, ცერემონიობს, მეტანიობს, უარშიობს, ლიტანიობს;
- დ) -ო ხმოვანზე დაბოლოებული: უცხოობს, საზრდოობს, მარტოობს, ხუროობს, შოობს, შნოობს, წარმოობს, ჩქროობს, დროობს;
- ე) -უ ხმოვანზე დაბოლოებული: ჰგუობს, ცრუობს, ხუობს, ქსუობს, გველაძუობს;

აღსანიშნავია, რომ ი-ზე დაბოლოებული ზმნები ა ხმოვნის შეკვეცით არიან მიღებული:

ენატანი-ე – ენატანი-ობ-ს

ცერემონი-ე – ცერემონი-ობ-ს

მეტანი-ე – მეტანი-ობ-ს

ლაქი-ე – ლაქი-ობ-ს

ბაქი-ე – ბაქი-ობ-ს

ასე რომ, ესენი არსებითად ა-ხმოვანზე დაბოლოებული სახელებია, უცხო წარმოშობის ან ნაწარმოები სწორედ -ა სუფიქსით (ლიტანია, მუტაცია, მეტანია, ლიტანია, ლაქია, ერთი მხრივ, და ბაქია, ენატანია, მეორე მხრივ).

რაც შეეხება საკუთრივ ი ხმოვანფუძიან სახელებს, ასეთი ფორმები ქართულში ძალიან იშვიათია (ნასესხები) და მათგან ნაწარმოები **-ობ** თემისნიშნიანი ზმნები არ გვხვდება.

როგორც ვხედავთ, ა-ზე დაბოლოებული სახელები **-ობ** თემის ნიშნის დართვისას იკვეცებიან. (დასახელებულ ზმნათა გარდა ამ ფორმებს შეიძლება დავუმატოთ *ბაღნ-ობ-ს (ბაღან-ჟ), ბგერ-ობ-ს (ბგერ-ჟ), უქნარ-ობ-ს (უქნარ-ჟ), არსებ-ობ-ს (არსებ-ჟ), და-ობ-ს (დავ-ჟ), შრომ-ობ-ს (შრომ-ჟ)*).

იგივე შეიძლება ითქვას ე-ზე დაბოლოებულ ზმნებზეც: *ბუდ-ობ-ს (ბუდ-ჟ), მეფ-ობ-ს (მეფ-ჟ), ხელმწიფ-ობ-ს (ხელმწიფ-ჟ), მოყვრ-ობ-ს (მოყვარ-ჟ)*.

აქვე გვაქვს ფუძეუკვეცილი ა/ე დაბოლოებიანი და **-ობ** თემისნიშნიანი ფორმებიც:

ა: *მასხარაობს, პამპულაობს, ლაქიაობს, ლაზღანდარაობს, კობტაობს, კოპჩიაობს, კეკელაობს, ენაობს, გუნდაობს, ციგაობს;*

ე: *მორიგეობს, მეწისქვილეობს, მოღვაწეობს, მეკობრეობს, მეველეობს, მოსახლეობს, თავმჯდომარეობს, მოთავეობს, მიმდინარეობს, მდებარეობს, მდგომარეობს;*

რატომ იკვეცებიან ერთ შემთხვევაში ა/ე ხმოვნები და რატომ არა - მეორეში?

ფონეტიკური პროცესი იჩენს თავს თითქოს **მე-ე** აფიქსების შემთხვევაში. ნაწარმოები ფორმები (უმეტესად სწორედ **მე-ე** პრეფიქს-სუფიქსით) უკვეცილობისკენ იჩენენ მიდრეკილებას. (თუმცა, შდრ: *მოყვარე - მოყვრობს; ხელმწიფე - ხელმწიფობს*).

როგორც ცნობილია, მაწარმოებელი -ა ფუძის ბოლოკიდური ა-სგან განსხვავებით ხშირად არ იკვეცება, შდრ:

*დედოფალა – დედოფალათი (და არა *დედოფალით)*

*მასხარა – მასხარათი (და არა *მასხარით)*

*ცისარტყელა – ცისარტყელათი (და არა *ცისარტყელით).*

ასევე: *წითელათი (დაავადდა), შავთვალათი, ქერათი, ულვაშათი* და ა.შ. (მრავლობით რიცხვში ყველა ეს ფუძე იკვეცება: *დედოფალები, მასხარები, ცისარტყელები, შავთვალები, ქერები*). ამ ფორმების მსგავსად ხომ არ ინარჩუნებენ -ე ხმოვანს აღნიშნული ზმნები? *მოყვრობს, ხელმწიფობს* ფორმათა უკვეცილობა შეიძლება იმით ავხსნათ, რომ ისინი უკვე აღარ აღიქმებიან ნაწარმოებ სახელებად.

რაც შეეხება ა ხმოვანს, აქ მსგავს ვითარებას ვერ ვივარაუდებთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გვაქვს პარალელური *ბაქიობს – ბაქიაობს, მასხრობს – მასხარაობს, ლაქიობს – ლაქიაობს, კეკელობს – კეკელაობს, ციგობს – ციგაობს* ფორმები.

გარდა ამისა, ა-დაბოლოებიან ზმნებში გამოიყოფა ისეთი ჯგუფიც, სადაც -ა არც სახელიდან გადმოყოლილად შეიძლება მივიჩნიოთ (როგორც ეს არის *ლაქია – ლაქიაობს* ფორმაში) და არც ამოსავალი ზმნური ფუძიდან (მაგ. *ცურ-ავ-ს > ცურ-ა-ობ-ს*). ასეთი ფორმებია: *ყელყელაობს, ფარიკაობს, ყურყუმელაობს, კინკლაობს, ბანაობს, თევზაობს, ქირაობს, ჭყუმპალაობს, ჭიდაობს, ძიძგილაობს, ციგურაობს*; როგორ უნდა ავხსნათ ამ ფორმებში -ა ბოლოსართის არსებობა?

ერთი რიგის ზმნებში განსხვავებას -ა ბოლოსართიან და შეკვეცილ ფორმებს შორის ზმნური სემანტიკა იძლევა: როგორც გ. გოგოლაშვილიც აღნიშნავს,⁸¹ შეკვეცილი ფორმები ამოსავალი სახელით გამოხატულ მნიშვნელობასთან სრულ შესაბამისობაზე მიგვითითებს:

ლექსი – ლექსობს (კარგი ლექსია, შეიძლება თამამად ეწოდოს ლექსი),

ციგა – ციგობს (ციგის მოვალეობას «პირნათლად» ასრულებს),

შოლტი – შოლტობს (შოლტის მოვალეობას ასრულებს).

ამავე სახელებისაგან -ა ბოლოსართის შენარჩუნებით მიღებული ფორმები უკვე სულ სხვა შინაარსზე – ამოსავალი სახელით გამოხატული საგნით, მისი დახმარებით ჩადენილ, შესრულებულ მოქმედებაზე მიგვითითებს. შდრ:

ციგა – ციგაობს (ციგით სრიალებს)

ლექსი – ლექსაობს (ლექსით «მოქმედებს»)

შოლტი – შოლტაობს (შოლტით მოქმედებს)

გარდა ამისა, აღნიშნული ტიპის ზოგი ფორმის ასახსნელად ჩვენ სხვა, კერძოდ კი *ცურავს* ტიპის ფორმების გენეზისი დაგვეხმარება.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ *ცურ-ავ-ს / ცურ-ა-ობ-ს* ფორმებს შორის სემანტიკური სხვაობაა; რომ *ცურ-ა-ობ-ს მიღებულია ცურ-ავ-ს ზმნისაგან და* ამათგან:

1) *ცურ-ავ-ს* აღნიშნავს ხაზოვან და ერთჯერად მოქმედებას;

⁸¹ გ. გოგოლაშვილი, -ავ ელემენტთან მედიოაქტიურ ზმნათა შესახებ ქართულში, ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბ., 1980, გვ.61-62

2) *ცურ-ა-ობ-ს*⁸² გამოხატავს ერთ წერტილში რეფლექსური მოძრაობის მრავალჯერად, ინტენსიურ მოქმედებას; ამ ტიპის ფორმები “ზოგადი აწმყოს», «ზოგადი დროის» ფუნქციით გამოიყენებიან უფრო ხშირად.⁸³

სწორედ ერთ წერტილში რეფლექსური, მრავალჯერადი, ინტენსიური მოქმედებიდან მივდივართ «ზოგად აწმყომდე», რომელიც (მართალია, უკვე დროის დიდი პერიოდის) განმეორებად, ამა თუ იმ საგნისთვის დამახასიათებელ მოქმედებას გვიჩვენებს.

ასე რომ, ერთი მხრივ: *ბავშვი ზღვაში ცურაობს.* (აქეთ-იქით დაცურავს, მრავალგზის და უკუქცევით მოძრაობებს აკეთებს გარკვეულ მონაკვეთზე.)

მეორე მხრივ: *ბავშვი ყოველდღე ბასეინში ცურაობს.* (აქ შეიძლება ბავშვი ხაზოვან და ერთგზის, *ცურავს* ფორმით გამოხატულ მოქმედებას ასრულებდეს ყოველდღიურად, მაგრამ ეს მოქმედება მაინც უკუქცევითი და მრავალგზისია დროის დიდი მონაკვეთის (ერთი კვირის, თვის, წლის) განმავლობაში.)

როგორც ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს,⁸⁴ შემთხვევითი არ არის, რომ ამ დროს *-ობ* თემის ნიშანი გამოიყენება, რომელიც თავისი ფუნქციით აბსტრაქტულ სახელთა *-ობ-ა* სუფიქსს უკავშირდება; *-ობ* თემისნიშნისანი საშუალო გვარის ზმნებისათვის კი ეს მნიშვნელობა უცხო არ არის. (შეიძლება დავამატოთ, განსაკუთრებით, პარალელური ვარიანტების მქონე *ცურავს-ცურაობს* ტიპის ფორმებისათვის).

ასე რომ, ა-ზე დაბოლოებული ზმნების მეორე ნაწილში ხმოვნის უკვეცელობა იმით არის გამოწვეული, რომ ყველა ეს ფორმა განზოგადებულ, მრავალგზის, ინტენსიურ მოქმედებას გვიჩვენებს, რომელსაც სწორედ *ა-ობ* მაწარმოებელი შეეფერება. (ბუნებრივია, აქ *-ა(ვ)* ვერ მოიკვეცება; თემის ორივე ნიშანს (*-ავ* და *-ობ*) თავ-თავისი ფუნქცია აქვს.)

⁸² დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001, გვ.131

⁸³ ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975 გვ. 115, 202.

⁸⁴ იქვე.

ისეთ ფორმებში, სადაც -ა არც -ავ თემის ნიშნის ნაშთია და არც სახელიდან გადმოყოლილი ბოლოკიდურა ხმოვანი, ანალოგიასთან უნდა გვექონდეს საქმე: არ არის აუცილებელი ამავე ფუძის პარალელური -ავ თემისნიშნიანი ზმნების არსებობა⁸⁵(მით უმეტეს, რომ ზოგიერთ ფორმასთან ეს სრულიად წარმოუდგენელია: მაგ. ასეთებთან – *ყელყელობს, ყურყუმელობს, ჭყუმპალობს, ძიძგილობს, ციგურაობს, ჩხირკედელობს* – შინაარსიდან გამომდინარე მათ ვერ ექნებათ პარალელური, -ავ თემისნიშნიანი, ერთგზისი და ხაზოვანი ქმედების აღმნიშვნელი ფორმები). გამოდის, რომ ამ ზმნებს პირდაპირ აუღიათ «მზა» -ა-ობ სუფიქსი.

ა-ობ დაბოლოებიან ფორმებთან დაკავშირებით კიდევ ერთი საკითხია განსახილველი. სხვადასხვა მწკრივის წარმოებისას მათ ვ თანხმოვანი უჩნდებათ სხვადასხვა პოზიციაში. ვერ დავეთანხმებით ვარაუდს, რომლის თანახმადაც უკვეცელი ფორმები ვ-ს ჩაირთავენ, რომელიც იკარგება გარკვეულ პოზიციებში;⁸⁶ ვერც იმას, რომ *თევზაობს – ითევზავებს* ფორმებში ვ ანალოგიით ჩნდება.⁸⁷ ვ ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად ჩაერთვის მხოლოდ იმ ფორმებში, სადაც ამის საჭიროება არის (და კი არ იკარგება, არამედ არ ჩნდება, სადაც ეს საჭირო არ არის).

აქ ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი გარემოება: ვ ბგერა ჩნდება მხოლოდ **ა, ე, ო** ხმოვნების შემდეგ; **ი, უ** ხმოვნებთან ეს პროცესი (ვ-ს ჩართვა), როგორც წესი, არ ხდება (ხელოვნური და არაბუნებრივი ფორმები ჩანს: *იცრუ-ვ-ა, უ-ცრუ-ვ-ი-ა*).

მაგალითისათვის მოგვყავს ზმნები:

1) ა-ზე დაბოლოებული:

ქანა-ობ-ს – ი-ქანა-ვ-ებ-ს

ფარიკა-ობ-ს – ი-ფარიკა-ვ-ებ-ს

კინკლა-ობ-ს – ი-კინკლა-ვ-ებ-ს

ბანა-ობ-ს – ი-ბანა-ვ-ებ-ს

თევზა-ობ-ს – ი-თევზა-ვ-ებ-ს

ქირა-ობ-ს – ი-ქირა-ვ-ებ-ს

ჭყუმპალა-ობ-ს – ი-ჭყუმპალა-ვ-ებ-ს

ჭიდა-ობ-ს – ი-ჭიდა-ვ-ებ-ს

⁸⁵შდრ. ლ.ნოზაძე, მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, იკე, XIX, თბ, 1974, გვ. 26, IV სქოლიო

⁸⁶შდრ, იქვე, გვ. 26,

⁸⁷ დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001, გვ. 132

წუნა-ობ-ს _ ი-წუნა-ვ-ებ-ს

მუშა-ობ-ს – ი-მუშა-ვ-ებ-ს

აქ გამონაკლისი, შეიძლება ითქვას, არ გვაქვს.

2) ე-ზე დაბოლოებული:

მორიგე-ობ-ს _ ი-მორიგე-ვ-ებ-ს

მეკობრე-ობ-ს _ ი-მეკობრე-ვ-ებ-ს

თავმჯდომარე-ობ-ს _ ი-თავმჯდომარე-ვ-ებ-ს

მართალია ამ ტიპის ზმნებს საერთოდ უჭირთ მწკრივთა წარმოება, მაგრამ ორი ე გვერდიგვერდ, (ვ-ს გარეშე), რა თქმა უნდა, მაინც არ შეგვხვდებოდა.⁸⁸

3) ო-ზე დაბოლოებული:

საზრდო-ობ-ს _ ი-საზრდო-ვ-ებ-ს

მარტო-ობ-ს _ ი-მარტო-ვ-ებ-ს

დრო-ობ-ს _ ი-დრო-ვ-ებ-ს

შეადარე:

1) ი-ხმოვნისანი ფუძეები:

მეტანი-ობ-ს _ ი-მეტანი-ებ-ს

ლაქი-ობ-ს _ ი-ლაქი-ებ-ს

ენატანი-ობ-ს _ ი-ენატანი-ებ-ს

2) უ-ხმოვნისანი ფუძეები:

ჰგუ-ობ-ს _ ი-გუ-ებ-ს

ცრუ-ობ-ს _ ი-ცრუ-ებ-ს

გველაძუ-ობ-ს _ ი-გველაძუ-ებ-ს

ქსუ-ობ-ს _ უ-ქსუ-ებ-ს

აღსანიშნავია, რომ ამ ფორმებს (როგორც -ი, ისე -ე ხმოვნისანი) უჭირთ უღლება. მათი მყოფადისა და II სერიის მწკრივები ცოტა ხელოვნური ფორმებია. ოღონდ ეს ფონეტიკურ პროცესთან ან მათ შინაარსობრივ მხარესთან არ არის კავშირში. აღნიშნული ზმნები აწმყოშიც იშვიათად იხმარება და სხვა მწკრივის ფორმები მით უფრო უჩვეულოდ ხვდება ყურს).⁸⁹

⁸⁸ დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001, გვ. 131

⁸⁹ შდრ. მ. სუხიშვილი, სემანტიკისა და უღვლილების პარადიგმის მიმართების შესახებ მედიოაქტიურ ზმნებში, იკე, XXXV, თბ., 2005, გვ. 266

როგორც აღმოჩნდა, *ი/უ* ხმოვნებზე დაბოლოებული ფუძეები არ საჭიროებენ *ვ*-ს ჩართვას ხმოვანთგამყარად, მაგრამ ეს *ვ* აუცილებელია *ა, ე, ო* ხმოვნების შემდეგ. როგორც ცნობილია, *ი* და *უ* ხმოვნები ყველაზე მაღალი აწეულობის ხმოვნებია ქართულში. სწორედ ეს ფაქტორი უნდა განაპირობებდეს აღნიშნულ პროცესს. აქედან გამომდინარე, ამ ორ ჯგუფს შორის განსხვავების საფუძველი მხოლოდ ფონეტიკური ხასიათისა ყოფილა.

დასასრულს, უნდა აღვნიშნოთ რამდენიმე გამონაკლისი, რომელთა ახსნაც ადვილად ხერხდება.

არის რამდენიმე ზმნა, *ა* და *ე* ხმოვნებზე დაბოლოებული, რომელთაც, წესით, უნდა ჩაერთონ *ვ* ხმოვანთგამყარი რიგ პოზიციებში, მაგრამ ეს ასე არ ხდება. ზოგ ფუძეში ამის მიზეზი წინამავალი *ვ* არის, რომელიც დისიმილაციურად კარგავს მომდევნო (ჩართულ) *ვ*-ს (ან, საერთოდ, ხელს უშლის მის გაჩენას.) ასეთი ფორმებია:

ვა-ობ-ს > *ი-ვა-ებ-ს* (ისიც აღსანიშნავია, რომ მყოფადი ამ ფორმისა ძალიან ხელოვნურია)

მოთავე-ობ-ს > **უ-მოთავე-(ვ)-ებ-ს*: *ვ*, როგორც უკვე ვთქვით, იკარგება, ორი *ე* კი (აე კომპლექსისაგან განსხვავებით: *ი-ვა-ე-ბ-ს*) ერთად ვერ ჩერდება და ფონეტიკური პროცესის გამო მწკრივთა წარმოებაც ფერხდება.

ასევე, მოსალოდნელი *ი-მეცადინე-ვ-ებ-ს* ფორმის ნაცვლად (შდრ. აწმყო: *მეცადინე-ობ-ს*) გვაქვს *ი-მეცადინე-ბ-ს*. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ *მეცადინე-ობ-ს* < *მეცადინ-ობ-ს*.

სახელთაგან ნაწარმოებ ფორმებზე დამატებით შეიძლება ითქვას, რომ მარტივ არსებით სახელთან ნაწარმოები *-ობ* თემისნიშნისანი ზმნების უმრავლესობა (რომელთაგან ბევრი ცოტა ხელოვნური ფორმაც კია), აღნიშნავს ამოსავალი არსებითი სახელური ფუძით გამოხატულ შინაარსთან სრულ შესაბამისობას:

მაგ.: *კაცი კაცობს* (ნამდვილი კაცია)

კედელი კედლობს (კედლის ფუნქციას ასრულებს)

პატრიოტი პატრიოტობს (ნამდვილად პატრიოტია)

ზედსართავ სახელთაგან ნაწარმოები ფორმები აღნიშნავენ ზედსართავი სახელით გამოხატული თვისების მქონე პირისათვის დამახასიათებელ მოქმედებას:

*ცრუ – ცრუობს**ავი – ავობს**ცელქი – ცელქობს**ცულლუტი – ცულლუტობს*

ხელობის არსებით სახელთაგან ნაწარმოები ზმნები აღნიშნავენ, რომ სუბიექტი ამოსავალი სახელით გამოხატული ხელობის მქონე პირია და ამ ხელობისათვის დამახასიათებელ საქმიანობას ასრულებს:

თავმჯდომარე – თავმჯდომარეობს.

ანდა, სახელით გამოხატული პირის:

1) როლს ასრულებს დროებით,

2) ამ პირისთვის დამახასიათებელ მოქმედებებს ახორციელებს,

3) ცდილობს იყოს არსებითი სახელით გამოხატული პირი. (იხმარება დამცინავი კონტექსტით)

მაგალითად:

1) *მრეცხავი – მრეცხაობს*

2) *ჯაშუში – ჯაშუშობს*

3) *მწერალი – მწერლობს; პროფესორი – პროფესორობს (რას პროფესორობ?)*

აღსანიშნავია ამ მხრივ პარალელური ფორმები, სადაც -ა სუფიქსიანი ზმნები სწორედ მეორე მნიშვნელობით იხმარება:

შდრ. ლაქიობს – ლაქიაა

ლაქიაობს – ლაქიასავით იქცევა

ხშირად არსებითი სახელისაგან ნაწარმოები ფორმა ორ პირს შორის მიმართებას გვიჩვენებს:

მეგობარი – მეგობრობს ის მას (მეგობრობენ ისინი)

მოყვარე – მოყვრობს ის მას (მოყვრობენ ისინი)

-ავ თემისნიშნისანი ფორმებისგან ნაწარმოები -ობ თემისნიშნისანი ფორმები ახალ მნიშვნელობას გვიჩვენებენ (იხ. ამის შესახებ დაწვრილებით აქვე, გვ. 63-65)

§4. -ობ თემისნიშნისანი ზმნების უღლება

1. როგორც წესი, ერთპირიანი და ორპირიანი (ოღონდ პირდაპირობიექტიანი) საშუალო გვარის ზმნები მყოფადისა და II სერიის მწკრივების საწარმოებლად ი-პრეფიქსს იყენებენ, III სერიის მწკრივებს კი ინვერსიულად აწარმოებენ.⁹⁰ მოვიყვანოთ პარადიგმას, სადაც ფუძე, ტრადიციულად R-თი არის აღნიშნული.

I სერია

1.	R-ობ-ს	ის/ის მას
2.	R-ობ-დ-ა	ის/ის მას
3.	R-ობ-დ-ე-ს	ის/ის მას
4.	ი-R-ებ-ს	ის/ის მას
5.	ი-R-ებ-დ-ა	ის/ის მას
6.	ი-R-ებ-დ-ე-ს	ის/ის მას

II სერია

7.	ი-R-ა	მან/მან ის
8.	ი-R-ო-ს	მან/მან ის

III სერია

9.	უ-R-ი-ა	მას/მას ის
10.	ე-R-ა	მას/მას ის
11.	ე-R-ო-ს	მას/მას ის

ჩავსვათ შესაბამისი ზმნა:

I სერია

⁹⁰ ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986, გვ. 109

1. მეფ-ობ-ს ის
2. მეფ-ობ-დ-ა ის
3. მეფ-ობ-დ-ე-ს ის
4. ი-მეფ-ებ-ს ის
5. ი-მეფ-ებ-დ-ა ის
6. ი-მეფ-ებ-დ-ე-ს ის

II სერია

7. ი-მეფ-ა მან
8. ი-მეფ-ო-ს მან

III სერია

9. უ-მეფ-ი-ა მას
10. ე-მეფ-ა მას
11. ე-მეფ-ო-ს მას

ამ ტიპის უღლებას მიჰყვება ფორმები: სადილობს, ასპარეზობს, ამაყობს, დარდობს, ცოცხლობს, კიაფობს, კეკლუცობს, ავაზაკობს, პედაგოგობს, მარხულობს, მაიმუნობს, მათხოვრობს, მარჩიელობს, კუნტრუშობს, კოჭლობს, ლაპარაკობს, ლაყბობს, ლოთობს, ლაქლაქობს, სეირნობს, საუზმობს, მასხრობს, ფარისევლობს, უფროსობს, მეტიჩრობს, უკმეხობს, ტრაბახობს, ქურდობს, ქილიკობს, ქეიფობს, ფხიზლობს, ფიქრობს, ფაფხურობს, ცელქობს, ჩხუბობს, ჩქარობს, ჩალიჩობს, მოციქულობს, შრომობს, ყოჩაღობს, ყოყოჩობს, ყბედობს, მუსაიფობს, მკურნალობს, მსჯელობს, მოგზაურობს, ცხოვრობს, ცულლუტობს, ჭოჭმანობს, ჭირვეულობს, ხალისობს, ნერვიულობს, ჯიუტობს, ჯირითობს, ნებივრობს, ჯიბვირობს, ჯეჯილობს, ჯახირობს, ჯამუშობს, ნაღვლობს, ნეტარობს, ხულიგნობს, ნარნარობს, ნანობს, ომობს, გლოვობს, ვაჟკაცობს, დირიჟორობს, ოხუნჯობს, ვაჭრობს, ვახშმობს, დღესასწაულობს, თაღლითობს, თანამშრომლობს, თამადაობს, თავხედობს, თათბირობს, თაკილობს, თამაშობს,

ზარალობს, კაპასობს, კაკანობს, ზოზინობს, წვალობს, ხვანცალობს, ნადიმობს, ნადირობს, ხეირობს, მხიარულობს,⁹¹

მ. სუხიშვილის აზრით, *მეწისქვილეობს, გულადობს, ბუდობს* ფორმებს II სერია არ ეწარმოებათ. ⁹² ჩვენი აზრით, *გულადობს, ბუდობს ზმნებს* მათი იშვიათი ხმარების, *მეწისქვილეობს* ფორმას კი ფონეტიკური ფაქტორის გამო უფერხდება უღლება. თუმცა, რომელიმე, მაგ. *იმეწისქვილა* გრამატიკულად სწორი ფორმაა და შეიძლება პრაქტიკულადაც გამოიყენოს ვინმემ, თუ ამისი საჭიროება შეიქმნება.

ამავე ტიპის უღლებას მიჰყვება ზემოთ უკვე განხილული, მიმღობისაგან ნაწარმოები ფორმები: *ლოცულობს, სესხულობს, კადრულობს, პოულობს, კისრულობს*. (ბუნებრივია, -ულ სუფიქსი ამათ მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივებში აქვთ.)

როგორც წინა პარაგრაფში უკვე აღვნიშნეთ, **ა, ე, ო** ხმოვნებზე დაბოლოებული ფორმები უღლებისას ჩაირთავენ (ან აღიდგენენ -ავ თემისნიშნისეულ) ვ თანხმოვანს ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად. მოვიყვანთ ამ ტიპის ზმნებს უღლების პარადიგმასაც:

I სერია

1. R-ობ-ს
2. R-ობ-დ-ა
3. R-ობ-დ-ე-ს
4. ი- R-ვ-ებ-ს
5. ი- R-ვ-ებ-დ-ა
6. ი- R-ვ-ებ-დ-ე-ს

II სერია

⁹¹ თეორიულად დასაშვებია, მაგრამ ფონეტიკური მიზეზის გამო III სერიის წარმოება უჭირთ -ი/-უ ხმოვნებზე დაბოლოებულ ფორმებს: *ცრუობს* (უნდა ყოფილიყო **უცრუა*), *ლიტანიობს* (უნდა ყოფილიყო **ულიტანია*)

⁹² მ. სუხიშვილი, სემანტიკისა და უღვლილების პარადიგმის მიმართების შესახებ მედიაექტიურ ზმნებში, იკვ, XXXV, თბ., 2005, გვ. 265

7. ო- R-ვ-ა
8. ო- R-ვ-ო-ს

III სერია

9. უ- R-ვ-ო-ა
10. ე- R-ვ-ა
11. ე- R-ვ-ო-ს

I სერია

- | | | |
|----------------------|---------------------|------------------|
| 1. გორა-ობ-ს | მორიგე-ობ-ს | დრო-ობ-ს |
| 2. გორა-ობ-დ-ა | მორიგე-ობ-დ-ა | დრო-ობ-დ-ა |
| 3. გორა-ობ-დ-ე-ს | მორიგე-ობ-დ-ე-ს | დრო-ობ-დ-ე-ს |
| 4. ო-გორა-ვ-ებ-ს | ო-მორიგე-ვ-ებ-ს | ო-დრო-ვ-ებ-ს |
| 5. ო-გორა-ვ-ებ-დ-ა | ო-მორიგე-ვ-ებ-დ-ა | ო-დრო-ვ-ებ-დ-ა |
| 6. ო-გორ-ავ-ებ-დ-ე-ს | ო-მორიგე-ვ-ებ-დ-ე-ს | ო-დრო-ვ-ებ-დ-ე-ს |

II სერია

- | | | |
|-----------------|----------------|-------------|
| 7. ო-გორა-ვ-ა | ო-მორიგე-ვ-ა | ო-დრო-ვ-ა |
| 8. ო-გორა-ვ-ო-ს | ო-მორიგე-ვ-ო-ს | ო-დრო-ვ-ო-ს |

III სერია

- | | | |
|------------------|----------------|-------------|
| 9. უ-გორა-ვ-ო-ა | უ-მორიგე-ვ-ო-ა | უ-დრო-ვ-ო-ა |
| 10. ე-გორა-ვ-ა | ე-მორიგე-ვ-ა | ე-დრო-ვ-ა |
| 11. ე-გორა-ვ-ო-ს | ე-მორიგე-ვ-ო-ს | ე-დრო-ვ-ო-ს |

ასეთი ფორმებია:

1) -ა ხმოვანზე დაბოლოებული: *ყვინთაობს, მკითხაობს, ქანაობს, ფარიკაობს, ყურყუმელაობს, მასხარაობს, ლექსაობს, ლაზრანდარაობს, კოპჩიაობს, კინკლაობს, ბუქსაობს, ბუქნაობს, ბანაობს, თევზაობს, გუნდაობს, ჯიკაობს, ხტუნაობს, გლახაობს, ქირაობს, ჭყუმპალაობს, ჭიდაობს, წუწაობს, მიძგილაობს, ცურაობს, მოძრაობს, ციგურაობს;*

2) -ე ხმოვანზე დაბოლოებული: *მორიგეობს, მონაწილეობს, მოღვაწეობს, მეკობრეობს;*

3) -ო ხმოვანზე დაბოლოებული: *უცხოობს, საზრდოობს, დაობს, ხუროობს, შნობს, დროობს;*

ორპირიანი (და სამპირიანი, პირდაპირობიექტგანვითარებული) ფორმები უღლების აღნიშნულ სისტემას მისდევენ, ოღონდ ი- პრეფიქსის ნაცვლად უ- პრეფიქსს იყენებენ:⁹³

I სერია

1. R-ობ-ს	ის მას/ის მას მას
2. R-ობ-დ-ა	ის მას/ის მას მას
3. R-ობ-დ-ე-ს	ის მას/ის მას მას
4. უ-R-ებ-ს	ის მას/ის მას მას
5. უ-R-ებ-დ-ა	ის მას/ის მას მას
6. უ-R-ებ-დ-ე-ს	ის მას/ის მას მას

II სერია

7. უ-R-ა	მან მას/მან მას ის
8. უ-R-ო-ს	მან მას/მან მას ის

⁹³ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 470; ლ. ნოზაძე, მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, იკე, XIX, თბ., 1974, გვ. 29; დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001, გვ. 127

III სერია

- | | |
|-------------|---------------------------------|
| 9. უ-R-ო-ა | მას (მისთვის)/ მას (მისთვის) ის |
| 10. ე-R-ა | მას (მისთვის)/ მას (მისთვის) ის |
| 11. ე-R-ო-ს | მას (მისთვის)/ მას (მისთვის) ის |

I სერია

1. პატრონ-ობ-ს ის მას
2. პატრონ-ობ-დ-ა ის მას
3. პატრონ-ობ-დ-ე-ს ის მას
4. უ-პატრონ-ებ-ს ის მას
5. უ-პატრონ-ებ-დ-ა ის მას
6. უ-პატრონ-ებ-დ-ე-ს ის მას

II სერია

7. უ-პატრონ-ა მან მას
8. უ-პატრონ-ო-ს მან მას

III სერია

9. უ-პატრონ-ო-ა მას (მისთვის)
10. ე-პატრონ-ა მას (მისთვის)
11. ე-პატრონ-ო-ს მას (მისთვის)

ასე იუღლება ფორმები: *საცვედურობს, მეგობრობს, ღალატობს, მეთაურობს, მკურნალობს, შუამდგომლობს, წინამძღვრობს, დარაჯობს, თამადაობს, თაოსნობს, კარნახობს, მასპინძლობს, პასუხობს,*⁹⁴

ამავე უღლებას მიჰყვება ასევე **ა, ე, ო** ხმოვნებზე დაბოლოებული ორპირიანი ფორმებიც. (რა თქმა უნდა, კვლავ **ვ** თანხმოვნის ჩართვით).

I სერია

1. R-ობ-ს
2. R-ობ-დ-ა
3. R-ობ-დ-ე-ს
4. უ-R-ვ-ებ-ს
5. უ-R-ვ-ებ-დ-ა
6. უ-R-ვ-ებ-დ-ე-ს

II სერია

7. უ-R-ვ-ა
8. უ-R-ვ-ო-ს

III სერია

9. უ-R-ვ-ი-ა
10. ე-R-ვ-ა
11. ე-R-ვ-ო-ს

I სერია

1. მკითხა-ობ-ს თავმჯდომარე-ობ-ს

⁹⁴ ვ. კალანდაძე, *პასუხობს* ტიპის ზმნები თანამედროვე ქართულში, ქსკს, IV, თბ., 1981.

- | | |
|------------------------|--------------------------|
| 2. მკითხა-ობ-დ-ა | თავმჯდომარე-ობ-დ-ა |
| 3. მკითხა-ობ-დ-ე-ს | თავმჯდომარე-ობ-დ-ე-ს |
| 4. უ-მკითხა-ვ-ებ-ს | უ-თავმჯდომარე-ვ-ებ-ს |
| 5. უ-მკითხა-ვ-ებ-დ-ა | უ-თავმჯდომარე-ვ-ებ-დ-ა |
| 6. უ-მკითხა-ვ-ებ-დ-ე-ს | უ-თავმჯდომარე-ვ-ებ-დ-ე-ს |

II სერია

- | | |
|-------------------|---------------------|
| 7. უ-მკითხა-ვ-ა | უ-თავმჯდომარე-ვ-ა |
| 8. უ-მკითხა-ვ-ო-ს | უ-თავმჯდომარე-ვ-ო-ს |

III სერია

- | | |
|--------------------|---------------------|
| 9. უ-მკითხა-ვ-ი-ა | უ-თავმჯდომარე-ვ-ი-ა |
| 10. ე-მკითხა-ვ-ა | ე-თავმჯდომარე-ვ-ა |
| 11. ე-მკითხა-ვ-ო-ს | ე-თავმჯდომარე-ვ-ო-ს |

ამ ტიპისაა ა-ზე დაბოლოებული *კიკაობს* და ე-ზე დაბოლოებული *თავმჯდომარეობს* ფორმები. (ო-ზე დაბოლოებული ორპირიანი ზმნები არ გხვდება)

როგორც უღლებიდან ჩანს, აწმყოს **-ობ** სუფიქსი მყოფადში, როგორც წესი, **-ებ** სუფიქსში გადადის. ეს არ არის მხოლოდ **-ობ** თემის ნიშნის დამახასიათებელი თვისება: ზოგადად საშუალო გვარის ზმნები (ფუძედრეკადთთა გარდა) მყოფადში **-ებ** სუფიქსს გვიჩვენებენ. ეს ეხება როგორც **-ობ**, ისე **-ავ**, **-ი** თემისნიშნის და ასევე უთემისნიშნო ფორმებსაც. მაგ:

თამაშ-ობ-ს – ი-თამაშ-ებ-ს

გორ-ავ-ს – ი-გორ-ებ-ს

კოცნ-ი-ს – ა-კოცნ-ებ-ს

დულ-ს – ი-დულ-ებ-ს

უნდა ვივარაუდოთ, რომ ენა ცდილობს უღლების უნიფიცირებას, ამიტომ ის ერთ ყალიბში აქცევს მყოფადის ყველა ფორმას. ვერ დავეთანხმებით ა. შანიძეს,

რომლის აზრითაც, საშუალო გვარი მწკრივების საწარმოებლად მოქმედებითი გვარის სასუბიექტო და საობიექტო ვერსიის ფორმებს სესხულობს.⁹⁵

ვერ გავიზიარებთ ვერც ლ. ნოზაძის თვალსაზრისს, რომელიც ვარაუდობს, რომ აწმყოშივე იყო ამ ზმნებთან *ი-* პრეფიქსი და შემდეგ გადავიდა მყოფადის წრისა და II სერიის ფორმებში.⁹⁶

როგორც უკვე აღვნიშნეთ შესავალსა და წინა პარაგრაფებში, საშუალო ვერ მიიღებს მაპერფექტივებელ ზმნისწინს მყოფადის საწარმოებლად და ამიტომ ის მიმართავს ყველაზე უფრო შესაფერის *ი-/უ-* პრეფიქსებს. ის კი შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შემდეგ ეტაპზე საშუალო გვარის მყოფადის ფორმებზე აქტივის სათავისო/სასხვისო ქცევის ფორმები ახდენენ გავლენას. ანუ საშუალმა პირდაპირ კი არ აიღო აქტივის ფორმა, არამედ საკუთარი, *ი-/უ-* პრეფიქსდამატებული მყოფადი გააფორმა აქტივის შესაბამისი (სასუბიექტო და საობიექტო ვერსიის) ფორმების მსგავსად.

შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ *-ებ* სუფიქსის გამოჩენა მყოფადში საშუალის საობიექტო ვერსიის აწმყოს ფორმებისა და ნეიტრალური ვერსიის მყოფადის გასარჩევად ყოფილიყო აუცილებელი, მაგრამ საქმე ის არის, რომ სადაც ეს «საშიშროება» იქმნება, იქ საობიექტო ვერსიის ფორმები არ გვაქვს ან პირიქით. მაგ:

წუხ-ს – უ-წუხ-ს – ამას არა აქვს *უ-*პრეფიქსით ნაწარმოები მყოფადის ფორმები,
ჯაშუშობს – უჯაშუშებს – ამას არ აქვს საობიექტო ვერსია.

აღნიშნული წესი კონკრეტულად *-ობ* თემისნიშნაზ ზმნებშიც სისტემებრ არის გატარებული, მაგრამ გვაქვს 20-ოდე გამონაკლისი, რომელთა ახსნა ადვილად ხერხდება. ესენია როგორც ერთპირიანი, ისე ორპირიანი ზმნები (პ0-იანიც და ირ0-იანიც).⁹⁷

1) ერთპირიანი ფორმებია (მათთან ერთად მოვათავსეთ პირდაპირობიექტგანვითარებული ზმნებიც, რადგან ისინიც *ი-* პრეფიქსით აწარმოებენ მყოფადისა წრისა და II სერიის მწკრივებს): *ზმობს ის, ბრძნობს ის, ხმობს ის, ღრმობს ის, ბჭობს ის, ცნობს ის (მას), გრძნობს ის (მას);*

⁹⁵ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 470

⁹⁶ შდრ. ლ. ნოზაძე, მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, იკე, XIX, თბ., 1974, გვ. 36, 50

⁹⁷ ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986, გვ. 110

- 2) ორპირიანი ფორმები: (3)ხმობს ის მას, უთანაგრძნობს / თანაუგრძნობს ის მას,⁹⁸,
(3)მტრობს ის მას, (ს)ძმობს ის მას, (3)ქმრობს ის მას, (ს)ძღვნობს ის მას (მას);

თუ დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ ყველა ეს ფორმა -**ობ** თემის ნიშნის უმარცვლო ფუძეზე დართვით არის მიღებული. (თავისებური ზმნებია თანაუგრძნობს/უთანაგრძნობს, რომლებიც უ- პრეფიქსით არიან წარმოდგენილი აწმყოში. აქ უ-ს პირზე მითითების ფუნქცია ეკისრება.) საკმარისია აღვადგინოთ შეკუმშული ხმოვანი, რომ -**ობ** თემის ნიშანი მაშინვე -**ებ** თემის ნიშნით შეიცვლება:

(3)ქმრ-ობ-ს ის მას _ უ-ქმრ-ობ-ს ის მას

მაგრამ

(3)ქმარ-ობ-ს ის მას _ უ-ქმარ-ებ-ს ის მას

ასევე

ბრძნ-ობ-ს ის _ ი-ბრძნ-ობ-ს ის

მაგრამ

ბრძენ-ობ-ს ის _ ი-ბრძენ-ებ-ს ის

საგულისხმოა ისიც, რომ ამ ტიპის ფორმებთან წყვეტილში (შესაბამისად II კავშირებითსა და II თურმეობითშიც) III პირის მხოლოდობით რიცხვში მოსალოდნელი -**ა**-ს ნაცვლად -**ო** გვხვდება: (ერთადერთი გამონაკლისია ძღვნობს – უძღვნა)

თამაშ-ობ-ს _ ი-თამაშ-ე

გორა-ობ-ს _ ი-გორა-ვ-ე

(3)პატრონ-ობ-ს _ უ-პატრონ-ე

მაგრამ

გრძნ-ობ-ს _ ი-გრძნ-ე

ცნ-ობ-ს _ ი-ცნ-ე

(3)ხმ-ობ-ს _ უ-ხმ-ე

(3)მტრ-ობ-ს _ უ-მტრ-ე

(ს)ძმ-ობ-ს _ უ-ძმ-ე

(3)ქმრ-ობ-ს _ უ-ქმრ-ე

(შდრ. ა-ა-გ-ო, შე-ა-ქ-ო, მი-უ-გ-ო ტიპის ფორმები)

⁹⁸ იხ. ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986, გვ. 87

როგორც ა. შანიძე აღნიშნავს,⁹⁹ როდესაც წყვეტილში III პირის ნიშნად -ა-ს ნაცვლად -ო არის, ამ დროს ფუძე ყოველთვის უმარცვლოა; გ. გოგოლაშვილი კი ამბობს,¹⁰⁰ რომ საჭიროა კიდევ ერთი პირობა – ე წყვეტილის ნიშნად.

აღნიშნული ზმნები ორივე პირობას აკმაყოფილებენ:

ვ-უხმ-ე მე მას – უ-ხმ-ო მან მას

ორიოდე ფორმა გვიჩვენებს მხოლოდ უნიშნო წყვეტილს, ისინი ხმოვანს ფუძეში აღიდგენენ:

ვ-ი-გრძენ-ი, ვ-ი-ცან-ი

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ტიპის ფორმებთან მყოფადის წრის მწკრივებში -ობ თემის ნიშნის -ებ თემის ნიშნით შეცვლას ხელს უშლის ფონეტიკური ფაქტორი, რაც გამოწვეულია ამ ზმნათა ფუძის უმარცვლო გახმოვანებით.

ამ ტიპის ფორმებთან კიდევ რამდენიმე საინტერესო მოვლენა იჩენს თავს; ბევრ მათგანს პირდაპირი ობიექტი აქვს შეძენილი: *გრძნობს ის მას*.

ასევე აღსანიშნავია *ხმ-ობ-ს* ფუძის უ-პრეფიქსიანი ფორმა, სადაც უ- ხმოვანს დეიქტური ფუნქცია აქვს: *უ-ხმ-ობ-ს ის მას*. ეს ფორმა თანაბრად გამოხატავს აწმყოსაც და მყოფადსაც.

აწმყო: *დედა დგას და უ-ხმ-ობს (ეძახის) ბავშვს*.

მყოფადი: *დედა მოვა და უხმობს (დაუძახებს) ბავშვს*.

წყვეტილი: *უ-ხმ-ო (დაუძახა) მან მას*.

გვაქვს ზმნისწინიანი ვარიანტიც, რომელიც უ- პრეფიქსიანი ფორმის მსგავსად თანაბრად გამოხატავს აწმყოსაც და მყოფადსაც.

აწმყო: *მო-უ-ხმ-ობ-ს (ეძახის) ის მას*.

მყოფადი: *მო-უ-ხმ-ობ-ს (დაუძახებს) ის მას*.

წყვეტილი: *მო-უ-ხმ-ო (დაუძახა) მან მას*.

აქ ფორმა ზმნისწინს იმიტომ იყენებს, რომ სხვა გზა აღარ რჩება მწკრივების საწარმოებლად (უ- პრეფიქსი მას აწმყოშივე აქვს); გარდა ამისა, ზმნისწინის არსებობას ხელს არ უშლის პირდაპირი ობიექტის უქონლობა. აქ სულ სხვაგვარი ვითარებაა:

⁹⁹ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 430

¹⁰⁰ გ. გოგოლაშვილი, სუბიექტური მესამე პირის -ო სუფიქსის შესახებ თანამედროვე ქართულში, ქსკს, IV, თბ., 1981, გვ. 94; მისივე, დრო-კილოთა II სერიის ფორმები ახალ ქართულში, თბ., 1984, გვ. 42-47;

აწმყოს ზმნისწინიანი ფორმა (სადაც ზმნისწინს მაპერფექტივებელი ძალა არა აქვს და ამიტომ კარგად ეგუება საშუალო გვარის ფორმას) კისრულობს მყოფადის გამოხატვასაც. შეიძლება ვივარაუდოთ პირის კლებაც.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ეს ზმნები (-ობ თემისნიშნისანი ფორმები ნულოვანი გახმოვანებით) წყვეტილის I-II პირებში აღიდგენენ დაკარგულ (შეკუმშულ) ხმოვნებს:

ი-გრძნ-ო / ვ-ი-გრძნ-ი, ი-გრძნ-ი

ი-ცნ-ო / ვ-ი-ცნ-ი, ი-ცნ-ი

უ-ძღვ-ნ-ა / ვ-უ-ძღვენ-ი, უ-ძღვენ-ი

გრძნობს ფორმასაც აქვს უ-პრეფიქსიანი ვარიანტი აწმყოში – *უ-გრძნ-ობ-ს (მას გული)*, სადაც უ- ასევე დეიქტური ხმოვანია. (შდრ. *უ-ხმ-ობ-ს.*) ეს ფორმა გამოხატავს აწმყოსაც და მომავალსაც (უკანასკნელს უფრო ძნელად):

გული ცუდს უგრძნობს. (აწმყ. / მყოფ.)

აქვს წყვეტილიც:

გულმა ცუდი უგრძნო.

ისიც ნათელია, რომ ფორმა 3-პირიანია: *უ-გრძნ-ობ-ს ის მას მას* (გული კაცს ცუდს).

უ-ხმ-ო/მო-უ-ხმ-ო ფორმებისგან განსხვავებით, *უგრძნობს* ზმნას ზმნისწინიანი წყვეტილი არა აქვს.

გარდა ამისა, ამ ტიპის ფორმებს აქვთ ტენდენცია III სერიის მწკრივებში ვ თანხმოვნის გაჩენისა: *უ-გრძ-ვ-ნ-ი-ა, უ-ც-ვ-ნ-ი-ა, უ-ბრძ-ვ-ნ-ი-ა* (ვ გადასმულია). ვფიქრობთ, აქ ვ ბევრი თანხმოვნის ერთად თავმოყრის გამო გამოწვეულ წარმოთქმის სიძნელეს აადვილებს, რომელიც განსაკუთრებით III სერიაში იჩენს თავს.

ახლა უკვე შეგვიძლია წარმოვადგინოთ უმარცვლო ძირის მქონე -ობ თემისნიშნისანი ზმნების უღლების პარადიგმები.

I სერია

1. R-ობ-ს
2. R-ობ-დ-ა
3. R-ობ-დ-ე-ს
4. ი/უ-R-ობ-ს

5. ი/უ-R-ობ-დ-ა

6. ი/უ-R-ობ-დ-ე-ს

II სერია

7. ი/უ-R-ო

8. ი/უ-R-ო-ს

III სერია

9. უ-R-ო-ა

10. ე-R-ო

11. ე-R-ო-ს

ჩავსვით შესაბამისი ფორმები:

I სერია

- | | |
|--------------------|-----------------|
| 1. გრძნ-ობ-ს | (3)მტრ-ობ-ს |
| 2. გრძნ-ობ-დ-ა | (3)მტრ-ობ-დ-ა |
| 3. გრძნ-ობ-დ-ე-ს | (3)მტრ-ობ-დ-ე-ს |
| 4. ი-გრძნ-ობ-ს | უ-მტრ-ობ-ს |
| 5. ი-გრძნ-ობ-დ-ა | უ-მტრ-ობ-დ-ა |
| 6. ი-გრძნ-ობ-დ-ე-ს | უ-მტრ-ობ-დ-ე-ს |

II სერია

- | | |
|---------------|-----------|
| 7. ი-გრძნ-ო | უ-მტრ-ო |
| 8. ი-გრძნ-ო-ს | უ-მტრ-ო-ს |

III სერია

9. უ-გრძ(ვ)ნ-ი-ა	უ-მტრ-ი-ა
10. ე-გრძნ-ო	ე-მტრ-ო
11. ე-გრძნ-ოს	ე-მტრ-ო-ს

ამ უღლებას მიჰყვება ფორმები: *ბრძნობს, ცნობს, ხმობს, ღრმობს, ბჭობს _ის; ხმობს, თანაუგრძნობს, ძმობს, ქმრობს _ ის მას.*

გამონაკლისია ფორმა *სძღვნობს ის მას მას*, რომელიც მყოფადში **-ობ** თემის ნიშანს არ გვიჩვენებს:

სძღვნობს ის მას მას – უძღვნის ის მას მას

ამასთანავე, მყოფადის **-ი** სუფიქსი თემის ნიშნადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ:

უ-ძღვნ-ი-ს _ უ-ძღვნ-ი-დ-ა _ უ-ძღვნ-ი-დ-ე-ს

გარდა ამისა, **უ-** პრეფიქსიანმა ფორმამ აწმყოს მნიშვნელობა მიიღო (სპეციფიკური მნიშვნელობით: *მის სახელზე აკეთებს, მისდამი პატივისცემის ნიშნად აკეთებს, _ უძღვნის მასწავლებლის ხსოვნას ამ წიგნს*) და მწკრივთა წარმოება ზმნისწინით დაიწყო. თანამედროვე ქართულში სწორედ ეს პარადიგმა გავრცელებული:

უძღვნის ის მას მას _ მი-უძღვნის ის მას მას _ მი-უძღვნა მან მას ის _ მი-უძღვნია ის მას (მისთვის)

2. ბევრ ზმნას უჭირს აწმყოს წრის გარდა სხვა მწკრივების წარმოება.¹⁰¹ ამისათვის რაიმე ხელისშემშლელი ფონეტიკური ფაქტორი არ არსებობს. თვითონ ფორმა არის აწმყოშივე იშვიათად ხმარებული და მით უმეტეს ხელოვნური და არაბუნებრივი ჩანს ამ ზმნების სავარაუდო მყოფადის წრისა თუ II-III სერიის მწკრივები; იმდენად, რომ ასეთი ფორმების (აწმყოს წრის გარდა სხვა მწკრივების) აღდგენა თეორიულადაც კი არ ხერხდება. (აქ ისიცა გასათვალისწინებელი, რომ დიდი საჭიროება ამისა არც არის).

ასეთი ფორმებია: *მდებარეობს ის, მდგომარეობს ის, მომდინარეობს ის, იჭვნეულობს ის, მტკივნეულობს ის, შიშნეულობს ის, კვებულობს ის, თაყვანობს ის მას, ხმობილობს ის მას, ცნობილობს ის მას, ცვლილობს ის მას, ფლობს ის მას, მძლეობს ის მას, (ს)ჭარბობს ის მას, (ს)წყალობს ის მას, შვენობს ის მას, (3)ყურობს ის*

¹⁰¹ ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986, გვ. 110

მას, სტუმრობს ის მას, (3)ფერობს ის მას, სწუნობს ის მას, ყრილობს ის მას, იმედულობს ის/ის მას, იმედეულობს ის/ის მას;¹⁰²

ამ ფორმათა უღლების პარადიგმა ასე შეიძლება წარმოვადგინოთ.

I სერია

1. R-ობ-ს ის (მას)
2. R-ობ-დ-ა ის (მას)
3. R-ობ-დ-ე-ს ის (მას)
4. _____
5. _____
6. _____

II სერია

7. _____
8. _____

III სერია

9. _____
10. _____
11. _____

I სერია

1. მდგომარე-ობ-ს
2. მდგომარე-ობ-დ-ა

¹⁰²მდრ. მ. სუხიშვილი, სემანტიკისა და უღვლილების პარადიგმის მიმართების შესახებ მედიოაქტიურ ზმნებში, იკე, XXXV, თბ., 2005, გვ. 265

3. მდგომარე-ობ-დ-ე-ს

4. _____

5. _____

6. _____

II სერია

7. _____

8. _____

III სერია

9. _____

10. _____

11. _____

3. ერთადერთი **-ობ** თემისნიშნისა ზმნა, რომელიც მწკრივთა წარმოებისას პასივისებურად აფორმებს ფუძეს, არის *ცდილობს ის მას*. გარდა ამისა, ის **-ილ** სუფიქსს მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივებში გვიჩვენებს, წყვეტილში აღდგება ა ხმოვანი.

I სერია

1. R-ობ-ს ის მას

2. R-ობ-დ-ა ის მას

3. R-ობ-დ-ე-ს ის მას

4. ე-R-ებ-ა ის მას

5. ე-R-ებ-ოდ-ა ის მას

6. ე-R-ებ-ოდ-ე-ს ის მას

II სერია

7. ე-R-ა ის მას

8. ე-R-ო-ს ის მას

III სერია

9. (R-ა ის მას)

10. (R-იყ-ო ის მას)

11. (R-იყ-ო-ს ის მას)

ვაუღლოთ თვითონ ზმნა:

I სერია

1. ცდილ-ობ-ს ის მას

2. ცდილ-ობ-დ-ა ის მას

3. ცდილ-ობ-დ-ე-ს ის მას

4. ე-ცდ-ებ-ა ის მას

5. ე-ცდ-ებ-ოდ-ა ის მას

6. ე-ცდ-ებ-ოდ-ე-ს ის მას

II სერია

7. ე-ცად-ა ის მას

8. ე-ცად-ო-ს ის მას

III სერია

9. (ცდილ-ა ის მას)

10. (ცდილ-იყ-ო ის მას)

11. (ცდილ-იყ-ო-ს ის მას)

ცალკე უნდა გამოვეყოთ რამდენიმე თავისებური ზმნა:

1) *სწავლობს* მყოფადში სხვა ზმნათაგან განსხვავებით **-ებ** სუფიქსს არ გვიჩვენებს: *ი-სწავლ-ი-ს* (ძველ ქართულში იყო *ი-სწავ-ებ-ს*).

2) *თანაუგრძნობს/უთანაგრძნობს* პარალელური ვარიანტები აწმყოსა და მყოფადის გამოხატვას (თითოეული ცალ-ცალკე) ერთი და იმავე ფორმით ახერხებს:

აწმყო: ის *აქ არის* და *მას თანაუგრძნობს/უთანაგრძნობს*.

მყოფადი: ის *მოვა* და *მას თანაუგრძნობს/უთანაგრძნობს*.

3) თავისებური ზმნაა *კითხულობს ის/ის მას*. **-ულ** სუფიქსიან ფორმათა უღლებას მიჰყვება იგი, როდესაც *ეკითხება-ს* (ოღონდ 30-ის გარეშე) შინაარსს გამოხატავს; მაგრამ ზმნისწინს დაირთავს, როდესაც მეორე მნიშვნელობით გამოიყენება:¹⁰³

აწმყო. *კითხულობს ის/ის მას კითხულობს ის მას (წიგნს)*

მყოფადი. *იკითხავს ის/ის მას წაიკითხავს ის მას (წიგნს)*

წყ. *იკითხა მან/მან ის წაიკითხა მან იგი (წიგნი)*

სტანდარტული ვითარებაა: როგორც კი 30 მყარად შემოდის ზმნაში (და რაც მთავარია, ფორმა ამავედროულად იცვლის მნიშვნელობას), მწკრივთა წარმოებისას ზმნისწინი გამოიყენება. შდრ:

ი-კითხ-ა მან, თუ ვინ იყო სახლში.

წა-ი-კითხ-ა მან წიგნი

¹⁰³ გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, თბ., 1988, გვ. 90

III თავი.

-ავ თემისნიშნიანი ზმნები

§5. -ავ თემისნიშნიანი ზმნები აგებულების მიხედვით

-ავ თემის ნიშანი ზოგადად ძალიან გავრცელებული მაწარმოებელია და ამ მხრივ არც საშუალო გვარის ზმნებია გამონაკლისი. -ებ და -ობ თემის ნიშნების შემდეგ ის ყველაზე ხშირად გამოიყენება ფუძეთა აფიქსად. -ავ თემისნიშნიან საშუალო გვარის ზმნათა რაოდენობა თანამედროვე ქართულში 100-ს აჭარბებს.

-ავ თემისნიშნიანი ზმნები არიან ერთპირიანები, ორპირიანები (როგორც ირიბ, ისე პირდაპირობიექტიანი); აქვე შემოდის რამდენიმე სტატიკური შინაარსის ზმნა (*სძინავს, ღვიძავს*), ზმნისწინიანი ფორმები (ეს ფუძეები ზმნისწინის გარეშე არ გვხვდება);

შინაარსის მიხედვით -ავ თემისნიშნიან საშუალო გვარის ზმნებში გამოიყოფა:

- 1) ხობვის, მიწაზე ოთხით მოძრაობის, გაჭირვებით სიარულის აღმნიშვნელი ფორმები: *ხობავს, ცოცავს, ჩოჩავს, ღოღავს, ბობღავს, თოთხავს, ფოფხავს, ბორღღავს, პორტყავს, ფორთხავს*; (ერთი ფუძისაგან უნდა იყოს მიღებული: *ბორღღავს / ფორთხავს / პორტყავს; ბობღავს / ფოფხავს*).
- 2) ერთ ადგილზე მოძრაობის გამომხატველი ზმნები: *გორავს, ბრუნავს, კოტავს, ბორგავს, ტოკავს, როკავს, ცმუტავს, ცმუკავს, ხტუნავს, ბრუნავს, ბუქნავს, ცქმუტავს*;
- 3) ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი ფორმები: *ყინავს, ჟინჟლავს, ჟინჟლღავს, ღვაფავს, თქორავს, ქირსლავს, ქროლავს, თქორავს, ფიფქავს, შხუმფლავს, ხომკაკლავს*; (სავარაუდოდ, ესენი წარმოშობით ყველანი მოქმედებითი გვარის ზმნებია, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი).
- 4) ანთია-ს იდენტური შინაარსის (ნათების ინტენსივობის მიხედვით განსხვავებული) ზმნები: *ბჟუტავს, ჟოლავს, ჩუჟავს, ბღვინავს*;

- 5) გარკვეული ხმიანობის გამომხატველი (ხმაბამვითი), უმეტესად წარმოშობით ფუძედრეკადი ფორმები: *ფშვინავს, ბღვინავს, გმინავს, ჭრინავს, ფთხვინავს, ქსინავს, ბღღვინავს, ბრღვინავს, ბრღღვინავს, დვრინავს, გრგვინავს, კუთავს;*
- 6) სხვადასხვა სულიერი მდგომარეობის (უმეტესად უარყოფითი, მწუხარების) გამომხატველი ზმნები: *გმინავს, დრტვინავს, ჭმუნავს, შფოთავს;*
- 7) სიტხის მოძრაობის აღმნიშვნელი ფორმები: *ჟონავს, ღვენთავს, წვეთავს.*

ჩვენი აზრით, ამათგან ზოგიერთი წარმოშობით ორპირიანი აქტივია, საშუალოდან კი S-ური პირიც უჩინარდება: *ყინავს ის მას > ყინავს (ის), ჟინჟლავს ის მას > ჟინჟლავს (ის), ფიფქავს ის მას > ფიფქავს (ის).*

ბევრი ფუძედრეკადი ფორმა დღეს უკვე -ავ თემისნიშნიან ზმნათა რიგშია: *ფშვენს > ფშვინავს, ბღღვენს > ბღღვინავს.*

აქვეა სტატიკური შინაარსის: *სძინავს მას, ღვიძავს მას, ჰყავს ის მას, ახლავს ის მას, ნიშნავს ის მას, ესავს ის მას, ნებავს ის მას.*

§6. -ავ თემისნიშნიან ზმნათა უღლება

1. ზოგადად, -ავ თემისნიშნიანი ზმნები საშუალო გვარის მედიოაქტივ ზმნათა უღლებას მიჰყვება: -ავ თემის ნიშანს -ებ-ით იცვლის, მყოფადისა წრისა და II სერიის მწკრივებს ი- პრეფიქსით აწარმოებს. უღლების პარადიგმა ასე გამოიყურება:

I სერია

1. R-ავ-ს	ის
2. R-ავ-დ-ა	ის
3. R-ავ-დ-ე-ს	ის
4. ი-R-ებ-ს	ის
5. ი-R-ებ-დ-ა	ის
6. ი-R-ებ-დ-ე-ს	ის

II სერია

7. ი-R-ა მან
8. ი-R-ო-ს მან

III სერია

9. უ-R-ი-ა მას
10. ე-R-ა მას
11. ე-R-ო-ს მას

გორაკს ზმნის შემთხვევაში უღლებს პარადიგმა ასეთი იქნება:

I სერია

1. გორა-ავ-ს ის
2. გორ-ავ-და ის
3. გორ-ავ-დე-ს ის

4. ი-გორ-ებ-ს ის
5. ი-გორ-ებ-და ის
6. ი-გორ-ებ-დე-ს ის

II სერია

7. ი-გორ-ა მან
8. ი-გორ-ო-ს მან

III სერია

9. უ-გორ-ი-ა მას
10. ე-გორ-ა მას

11. ე-გორ-ო-ს მას

ამ უღლებას მიჰყვებიან ფორმები: *ელავს, ცურავს, სუნთქავს, ფეთქავს, ხობავს, ბობღავს, ღოღავს, ბოღავს, ცეკვავს, ბრუნავს, ცოცავს, ზრუნავს, ბზინავს, თოთხავს, დრტვინავს, ხრჩოღავს, ფოფხავს – ის*.¹⁰⁴

ბევრ ფორმას უჭირს მყოფადის წრისა და II-III სერიის წარმოება. ეს არ უკავშირდება რაიმე ფონეტიკურ ფაქტორს. უბრალოდ, აწმყოს წრის გარდა სხვა მწკრივებში ეს -ავ თემისნიშნაანი (განსაკუთრებით სპეციფიკური შინაარსის, მხოლოდ ესა თუ ის სახელი რომ მოუდის S-დ, მაგ. *ჟონავს წყალი*) ზმნები ძალიან იშვიათად იხმარება და ჩვენ კი შეიძლება ყალიბის მიხედვით ვაწარმოოთ ფორმა, მაგრამ ის ხელოვნური იქნება. განსაკუთრებით ჭირს მყოფადის წარმოება – ყურს ჭრის ამ მწკრივის ასეთი ფორმები: *ი-როკ-ებ-ს (როკ-ავ-ს), ი-შფოთ-ებ-ს (შფოთ-ავ-ს), ი-ჟინჟლ-ებ-ს (ჟინჟლავს), ი-ჟონ-ებ-ს (ჟონავს)*.

2. ბევრი ზმნა აწმყოშივე იშვიათად იხმარება და ბუნებრივია, რომ მათ სხვა მწკრივები კიდევ უფრო რთულად ეწარმოებათ: ძნელია შეგუება ახალ, მით უმეტეს, ამა თუ იმ მაწარმოებლებიან (*ი-/უ-* პრეფიქსი, *-ებ* თემის ნიშანი) ფორმასთან. ასეთი ზმნებია: *ბღვინავს, ბობავს, ჭრინავს, პორტყავს, ფრთონავს, შვრინავს, ჩუჟავს, ღვაფავს, შხუმფლავს, ხოშკაკლავს* და სხვები. (*შფოთავს* ტიპის ზმნებისაგან განსხვავებით, ამათ ხელოვნურადაც კი ვერ ეწარმოებათ მწკრივები).

ვერ აწარმოებენ მწკრივებს ასევე ორპირიანი სტატიკური შინაარსის ფორმებიც: *ახლავს, ნიშნავს, ესავს, ნებავს – ის მას*.

ასევე მწკრივნაკლი ფორმებია: *ობრავს, ბოღავს, რეკავს, წინწკლავს – ის, სცოღავს ის / ის მას*.¹⁰⁵

ამავე რიგში შემოდის ერთი აქტივისგან მიღებული ფორმა: (*ყინავს ის მას >*) *ყინავს (ის)*.

სავარაუდოდ *მო-ყინ-ავ-ს (ის)* ან *ი-ყინ-ებ-ს* (შდრ. მსგავსი შინაარსის: *თოვს – ითოვებს / მოთოვს*) არ დასტურდება. ისიც აღსანიშნავია, რომ საშუალება S-ც

¹⁰⁴ აქედან ზოგიერთს სხვანაირი უღლებაც აქვს, იხ. აქვე, გვ. 95

¹⁰⁵ *სცოღავს* ერთპირიან, სტატიკური შინაარსის (დამნაშავეა, არასწორად იქცევა) ფორმას მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები მოეპოვება, მაგრამ ორპირიანობის შემთხვევაში იგი ზმნისწინით აწარმოებს ყველა მწკრივს.

გაუჩინარებულია, რაც საერთოდ დამახასიათებელია ბუნების მოვლენის ამსახველი ფორმებისთვის (შდრ. *თოვს (ის)*, *წვიმს (ის)*, *ბარდნის (ის)*).

ამ ფორმების უღლების პარადიგმა ასეთია:

I სერია

- | | |
|---------------|-------------|
| 1. R-ავ-ს | ის / ისმას |
| 2. R-ავ-დ-ა | ის / ის მას |
| 3. R-ავ-დ-ე-ს | ის / ის მას |
| 4. _____ | |
| 5. _____ | |
| 6. _____ | |

II სერია

7. _____
8. _____

III სერია

9. _____
10. _____
11. _____

I სერია

- | | |
|------------------|--------|
| 1. ა-ხლ-ავ-ს | ის მას |
| 2. ა-ხლ-ავ-დ-ა | ის მას |
| 3. ა-ხლ-ავ-დ-ე-ს | ის მას |
| 4. _____ | |
| 5. _____ | |

6. _____

II სერია

7. _____

8. _____

III სერია

9. _____

10. _____

11. _____

3. ერთი წყება ზმნებისა მწკრივების საწარმოებლად ი- პრეფიქსის ნაცვლად ზმნისწინს მიმართავს. ასეთი ფორმებია: *ძმარავს ის მას* და *ჟონავს, ცურავს, სუნთქავს, სცოდავს*¹⁰⁶ ზმნები (ამ უკანასკნელებს ი- პრეფიქსიანი უღლებაც მოეპოვებათ.)

ძმარავს მოქმედებითი გვარის ზმნისაგან პირის კლებით მიღებული ფორმაა: *ძმარავს ის მას > ძმარავს მას*. ეს იმავე ტიპის მოვლენაა, რაც -ებ თემისნიშნიანი *აკანკალებს მას, ახველებს მას* ზმნების შემთხვევაში გვექონდა, ოღონდ აქ აქტივისათვის საშუალო არ არის ამოსავალი. (შდრ. ერთი მხრივ, *კანკალებს ის > აკანკალებს ის მას > აკანკალებს მას*; და მეორე მხრივ, *ძმარავს ის მას > ძმარავს მას*).

რადგან ზმნა წარმოშობით აქტივია, უღლებისასაც აქტივს მისდევს (ზმნისწინს დაირთავს მყოფადის წრისა და II სერიის მწკრივებში), ოღონდ III სერიის წარმოება უჭირს:

I სერია

1. R-ავ-ს მას

¹⁰⁶ იხ. აქვე, გვ. 94 სქოლიო №105

- 2. R-ავ-დ-ა მას
- 3. R-ავ-დ-ე-ს მას

- 4. Prev-R-ავ-ს მას
- 5. Prev-R-ავ-დ-ა მას
- 6. Prev-R-ავ-დ-ე-ს მას

II სერია

- 7. Prev-R-ა მას
- 8. Prev-R-ო-ს მას

III სერია

- 9. _____
- 10. _____
- 11. _____

I სერია

- 1. ძმარ-ავ-ს მას
- 2. ძმარ-ავ-დ-ა მას
- 3. ძმარ-ავ-დ-ე-ს მას
- 4. და-ძმარ-ავ-ს მას
- 5. და-ძმარ-ავ-დ-ა მას
- 6. და-ძმარ-ავ-დ-ე-ს მას

II სერია

- 7. და-ძმარ-ა მას
- 8. და-ძმარ-ო-ს მას

III სერია

9. _____

10. _____

11. _____

რაც შეეხება დანარჩენ ფორმებს (*ჟონავს, ცურავს, სუნთქავს, სცოდავს*): სავარაუდოდ, ესენიც აქტივიდან პირის კლებით უნდა იყვნენ მიღებულნი, მაგრამ ამათი საშუალის ფორმა არაინვერსიულია, S სახელობითში დგას. (შდრ. ასევე, სხვა უღლების, მაგრამ მსგავსი ისტორიის ზმნა, სადაც სუბიექტიც გაუჩინარდა: *ყინავს ის წყალს > ყინავს (ის) – ყინვაა.*)

საპირისპირო ვითარება (საშუალი პ0-ის დამატებით > აქტივი) ნაკლებ სავარაუდოა. მართალია, საშუალი გვარის ფორმებს პ0 ხშირად უვითარდებათ, მაგრამ ეს უღლების ზმნისწინიან ტიპზე გადასვლას არ იწვევს; და თუ იწვევს, ზმნისწინი ი-პრეფიქსიან ფორმას ემატება:

შდრ. *ტირ-ი-ს > ი-ტირ-ებ-ს > და-ი-ტირ-ა (მან იგი)*

როდესაც ზმნებმა საშუალის მნიშვნელობა მიიღეს და ერთპირიანები გახდნენ, ი-პრეფიქსიანი წარმოებაც განივითარეს:

ცურავს ის წყალს (კვეთს ის წყალს) > ცურავს ის (აწმყო)

გა-ცურ-ავ-ს ის წყალს
ი-ცურ-ებ-ს ის } მყოფადი

(აქ მექანიკურად ერთპირიანი და ორპირიანი ზმნები გაიმიჯნა ერთმანეთისაგან).

სუნთქავს ის მას > სუნთქავს ის (აწმყო)

და-სუნთქ-ავ-ს ის მას
ი-სუნთქ-ებ-ს ის } მყოფადი

(აქაც გარჩეულია ერთპირიანი და ორპირიანი ფორმები).

**ჟონავს ის მას > ჟონავს ის (აწმყო)*

გა-ჟონ-ავ-ს ის (მას)
*ი-ჟონ-ებ-ს ის ** } მყოფადი

(*ი-ჟონ-ებ-ს* უსრული ასპექტისაა, *გაჟონავს* – სრული).

*ცოტა ხელოვნური ფორმაა, მაგრამ თეორიულად მაინც შესაძლებელი.

სხვაობა ამ 3 ფორმას შორის ის არის, რომ *გაჟონავს*, წესით, ორპირიანი აქტივის პარადიგმა უნდა იყოს, მაგრამ ამჟამად ის ერთპირიანი *ჟონავს* ზმნის სრული ასპექტის საწარმოებლად გამოიყენება; ხოლო *ცურავს* და *სუნთქავს* ფორმები კი ზმნისწინით მხოლოდ ორპირიანი (პირდაპირობიექტიანი) ზმნების უღლებსას იხმარება. ამავდროულად, *გაცურავს* პირდაპირობიექტიანი ფორმა უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე – *იცურებს*. (თუმცა თვითონ პი არც აქ არ ჩანს).

საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს *ფეთქავს* ზმნა. ის მწკრივებს ჩვეულებრივ, ი- პრეფიქსით აწარმოებს, თავისთავად ი- პრეფიქსიანი ფორმა კი ორი მნიშვნელობის გამოხატვას ითავსებს – უსრული და სრული (ერთგზისი) ქმედებისა.

შდრ. (*გული*) *ფეთქავს* – *იფეთქებს* – *იფეთქა* – *უფეთქია*.

აქ მყოფად-წყვეტილში უსრული მოქმედება გვაქვს.

მაგრამ

იფეთქებს ცეცხლი – *იფეთქა ცეცხლმა*.

აქ კი ერთგზისი წყვეტილ მოქმედებაზე საუბარი, მაგრამ ამ ფორმას აწმყო არა აქვს – *ფეთქავს* არ უნდა იყოს ამ პარადიგმის.

თავისებური ზმნებია: *გაქუსლავს*, *გაკურცხლავს* (ის), რომელთაც აწმყო ფორმები არ მოეპოვებათ. სამაგიეროდ, ისინი ჩვეულებრივ აწარმოებენ სხვა მწკრივებს, მათ შორის III სერიას – *-ავ* თემის ნიშნით. ეს ბუნებრივიცაა, რადგან აღნიშნული ფორმები აქტივისებურ უღლებას გვიჩვენებენ. სავარაუდოდ ისინი აქტივები არიან კიდევაც წარმოშობით.

I სერია

1. _____

2. _____

3. _____

4. Prev-R-ავ-ს ის

5. Prev-R-ავ-დ-ა ის

6. Prev-R-ავ-დ-ე-ს ის

II სერია

7. Prev-R-ა მან

8. Prev-R-ო-ს მან

III სერია

9. Prev-უ-R-ავ-ს მას

10. Prev-ე-R-ა მან

11. Prev-ე-R-ო-ს მას

I სერია

1. _____

2. _____

3. _____

4. გა-ქუსლ-ავ-ს ის

5. გა-ქუსლ-ავ-დ-ა ის

6. გა-ქუსლ-ავ-დ-ე-ს ის

II სერია

7. გა-ქუსლ-ა მან

8. გა-ქუსლ-ო-ს მან

III სერია

9. გა-უ-ქუსლ-ავ-ს მას

10. გა-ე-ქუსლ-ა მას

11. გა-ე-ქუსლ-ო-ს მას

რატომ არა აქვთ ამ ფორმებს აწმყო? (სავარაუდო *ქუსლავს, *კურცხლავს არ დასტურდება.) რადგან ეს ზმნები მოძრაობის (და თან მხოლოდ ხაზოვანი, ერთი წერტილისკენ მიმართული) გამომხატველი ფორმებია, მათ აწმყოშივე სჭირდებათ ზმნისწინი (შდრ. *მირბის, მიდის*). ამიტომ აწმყოსა და მყოფადს შორის სხვაობის დამყარება სხვა რამემ უნდა იტვირთოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ომონიმის თავიდან ასაცილებლად რჩება უფრო აქტუალური მყოფადის ფორმა. (გარდა ამისა, არაა დიდი საჭიროება ამათი აწმყოს წრის მწკრივების არსებობისა, თორემ შეიძლებოდა *მირბის* ფორმის მსგავსად წარმოებულყო: *მი-რბ-ი-ს – მი-ი-რბ-ენ-ს / *გა-ქუსლ-ავ-ს (აწმყ.) – *გა-ი-ქუსლ-ებ-ს (მყოფ.)*)

საინტერესო ვითარებას გვიჩვენებენ წარმოშობით ფუძედრეკადი ზმნები *ხვრინავს, ფშვინავს, ბრდღვინავს, ფრინავს, ბზინავს*. პირველ ოთხ ზმნას უთემისნიშნო ვარიანტიც აქვს (*ხვრენს, ფშვენს, ბრდღვენს, ფრენს*), ამიტომ მყოფადი მათ სწორედ ამ ფუძით ეწარმოებათ (*იხვრენს, იფშვენს, იბრდღვენს, იფრენს* და არა **იხვრინებს, *იფშვინებს, *იბრდღვინებს, *იფრინებს*); მაგრამ რადგან **ბზენს* ფორმა თანამედროვე ქართულში არ გვაქვს, *ბზინავს* ზმნა სწორედ ხმოვნის შეუცვლელად და -ებ თემის ნიშნით აწარმოებს მყოფადს: *ბზინავს_იბზინებს*.

4. დასასრულს, უნდა დავასახელოთ რამდენიმე ზმნა (*სძინავს, ღვიძავს – მას; ჰყავს ის მას*), რომლებიც მწკრივებს პასივისებურად აწარმოებენ. მათი უღლების პარადიგმა ასე გამოიყურება.

I სერია

1. R-ავ-ს ის მას/მას
2. (R-ავ-დ-ა ის მას/მას)
3. (R-ავ-დ-ე-ს ის მას/მას)
4. ე-R-ებ--ა ის მას/მას
5. ე-R-ოდ-ა ის მას/მას
6. ე-R-ოდ-ე-ს ის მას/მას

II სერია

7. ე-R-ა ის მას/მას

8. ე-R-ო-ს ის მას/მას

III სერია

9. R-ებ-ი-ა ის მას/მას

10. R-ებ-ოდ-ა ის მას/მას

11. R-ებ-ოდ-ე-ს ის მას/მას

ვაუღლოთ (ჰ)ღვიძავს მას.

I სერია

1. (ჰ)ღვიძ-ავ-ს მას

2. ((ჰ)ღვიძ-ავ-დ-ა მას)

3. ((ჰ)ღვიძ-ავ-დ-ე-ს მას)

4. ე-ღვიძ-ებ-ა მას

5. ე-ღვიძ-ებ-ოდ-ა მას

6. ე-ღვიძ-ებ-ოდ-ე-ს მას

II სერია

7. ე-ღვიძ-ა მას

9. ე-ღვიძ-ო-ს მას

III სერია

9. (ჰ)ღვიძ-ებ-ი-ა მას

10. (ჰ)ღვიძ-ებ-ოდ-ა მას

11. ჰ)ღვიძ-ებ-ოდ-ე-ს მას

ჰყავს ფორმას ჩვეულებრივ ეწარმოება უწყვეტელი და აწმყოს კავშირებითი, ხოლო *ჰღვიძავს*, *სძინავს* ზმნებისათვის მწკრივის ეს ფორმები (*ჰღვიძავდა*, *ჰღვიძავდეს*, *სძინავდა*, *სძინავდეს*) უფრო დიალექტურია. ამავდროულად წყვეტილი *ელვიძა*, *ეძინა* საჭიროების შემთხვევაში მშვენივრად გამოხატავს უწყვეტელის შინაარსსაც. შდრ.

მე რომ ოთახში შევედი, ის წერდა, იკინოდა, მას ეძინა, ელვიძა.

IV თავი.

-ი თემისნიშნისანი ზმნები

§7. -ი თემისნიშნისანი ზმნები აგებულების მიხედვით

აქ სხვებთან ერთად შემოდის ფართო მოხმარების *დის/ვალ* ფუძის ფორმები, ასევე ბევრი თავისებური (მათ შორის სტატიკური შინაარსის) ზმნა.

აქვეა ი- პრეფიქსიანი იშვიათი ხმარების არქაული ფორმები, რომელთა უპრეფიქსო ვარიანტებია უფრო მეტად გავრცელებული: *ინანის*, *ინაღვლის*, *იმღერის*, *იმწარის*, *ინატრის*.¹⁰⁷

-ი თემისნიშნისანი ზმნებში გვხვდება როგორც ერთპირიანი – *მიდის* ის, ისე ორპირიანი – *კოცნის ის მას*, ასევე პირგაუჩინარებული (რა თქმა უნდა, ბუნების მოვლენების ამსახველი) – *ბარდნის (ის)* ფორმები.

მიდის იმ უიშვიათეს ფორმათაგანია საშუალო გვარის ზმნებში, რომელსაც მხოლოდ ზმნისწინიანი აწმყო მოეპოვება.¹⁰⁸

§8. -ი თემისნიშნისანი ზმნების უღლება

¹⁰⁷ ამათ შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. აქვე, გვ. 51-56

¹⁰⁸ გ. გოგოლაშვილი, დრო-კილოთა II სერიის ფორმები ახალ ქართულში, თბ., 1984, გვ. 63-67

უღლებს მხრივ -ი თემისნიშნისანი ზმნები ძალიან ჭრელ სურათს გვაჩვენებენ. გარდა ამისა, საშუალო გვარის ფორმებისათვის ასე დამახასიათებელი ტრადიციული ი-/უ- პრეფიქსიანი მყოფად-წყვეტილი აქ თითქმის არ გვხვდება.

1. ერთი რიგის ფორმებს საერთოდ არ მოეპოვება აწმყოს წრის გარდა სხვა მწკრივები. მათი უღლებს პარადიგმა ასე გამოიყურება:

I სერია

1. R-ი-ს ის
2. R-ი-დ-ა ის
3. R-ი-დ-ე-ს ის
4. _____
5. _____
6. _____

II სერია

7. _____
8. _____

III სერია

9. _____
10. _____
11. _____

I სერია

1. ბარდნ-ი-ს (ის)
2. ბარდნ-ი-დ-ა (ის)

3. ბარდ-ნ-ი-დ-ე-ს (ის)

4. _____

5. _____

6. _____

II სერია

7. _____

8. _____

III სერია

9. _____

10. _____

11. _____

ამავე რიგისაა ფორმები: *ყოვნის ის, უდრის ის მას, ზრზნის (ის) მას*; აქვე შემოდინა ი- პრეფიქსიანი იშვიათი ხმარების ფორმები: *ინანის, ინაღვლის, იმღერის, იმწარის, ინატრის*;

2. ზოგიერთი (სპეციფიკური სტრუქტურის) ფორმა უღლებისას ა- პრეფიქსიან წარმოებას მისდევს.¹⁰⁹ ამ ზმნათა უღლების პარადიგმა ასეთია:

I სერია

1. R-ნ-ი-ს ის მას

2. R-ნ-ი-დ-ა ის მას

3. R-ნ-ი-დ-ე-ს ის მას

¹⁰⁹ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 525; ლ. ნოზაძე, მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, იკე, XIX, 1974, გვ. 30

- 4. ა-R-ებ-ს ის მას
- 5. ა-R-ებ-დ-ა ის მას
- 6. ა-R-ებ-დ-ე-ს ის მას

II სერია

- 7. ა-R-ა მან მას
- 8. ა-R-ო-ს მან მას

III სერია

- 9. უ-R-ნ-ო-ა მას (მისთვის)
- 10. ე-R-ნ-ა მას (მისთვის)
- 11. ე-R-ნ-ო-ს მას (მისთვის)

I სერია

- 1. კოც-ნ-ი-ს ის მას
- 2. კოც-ნ-ი-დ-ა ის მას
- 3. კოც-ნ-ი-დ-ე-ს ის მას
- 4. ა-კოც-ებ-ს ის მას
- 5. ა-კოც-ებ-დ-ა ის მას
- 6. ა-კოც-ებ-დ-ე-ს ის მას

II სერია

- 7. ა-კოც-ა მან მას
- 8. ა-კოც-ო-ს მან მას

III სერია

9. უ-კოც-ნ-ი-ა მას (მისთვის)

10. ე-კოც-ნ-ა მას (მისთვის)

11. ე-კოც-ნ-ო-ს მას (მისთვის)

ასეთი ფორმა ორია: *სჯობნის, კოცნის (ის მას)*. მათ ის თავისებურებაც ახასიათებს, რომ **ნ** ჩაერთვით აწმყოს წრისა და III სერიის მწკრივებში. სტრუქტურა ერთია: *cvc* (თან *v* ორივე შემთხვევაში **ო** ხმოვანია).

3. ზოგიერთი ფორმა პასივის უღლებას მიჰყვება. მათი მწკრივთა პარადიგმა ასე გამოიყურება:

I სერია

1. R-ოფ-ნ-ი-ს ის მას
2. R-ოფ-ნ-ი-დ-ა ის მას
3. R-ოფ-ნ-ი-დ-ე-ს ის მას
4. ე-R-ოფ-ა ის მას
5. ე-R-ოფ-ოდ-ა ის მას
6. ე-R-ოფ-ოდ-ე-ს ის მას

II სერია

7. ე-R-ო ის მას
8. ე-R-ო-ს ის მას

III სერია

9. ჰ-R-ოფ-ნ-ი-ა ის მას
10. ჰ-R-ოფ-ნ-ოდ-ა ის მას

11. ჰ-R-ოფ-ნ-ოდ-ე-ს ის მას

ასეთი ფორმაა *ჰყოფნის*:

I სერია

1. ჰ-ყ-ოფ-ნ-ი-ს ის მას
2. ჰ-ყ-ოფ-ნ-ი-დ-ა ის მას
3. ჰ-ყ-ოფ-ნ-ი-დ-ე-ს ის მას
4. ე-ყ-ოფ-ა ის მას
5. ე-ყ-ოფ-ოდ-ა ის მას
6. ე-ყ-ოფ-ოდ-ე-ს ის მას

II სერია

7. ე-ყ-ო ის მას
8. ე-ყ-ო-ს ის მას

III სერია

9. ჰ-ყ-ოფ-ნ-ი-ა ის მას
10. ჰ-ყ-ოფ-ნ-ოდ-ა ის მას
11. ჰ-ყ-ოფ-ნ-ოდ-ე-ს ის მას

და ბოლოს: მწკრივში ფუძის მონაცვლეობასა და კიდევ ბევრ სხვა თავისებურებას გვიჩვენებს ფორმები: *დ-ი-ს*, *და/მი/მი-დ-ი-ს*, *ა-ს-დ-ი-ს*, *უ-ვ-ლ-ი-ს* და სხვ., რომელთა ისტორიისა და უღლების საკითხები ცალკე მსჯელობისა და განხილვის საგანია, ამიტომ აქ მოვიყვანო ყველაზე მეტად გავრცელებული *მიდის* ფორმის პარადიგმას:

I სერია

1. მი-დ-ი-ს ის
2. მი-დ-ი-ოდ-ა ის
3. მი-დ-ი-ოდ-ე-ს ის
4. მი/მო/წა-ვ-ა ის
5. მი/მო/წა-ვიდ-ოდ-ა ის
6. მი/მო/წა-ვიდ-ოდ-ე-ს ის

II სერია

7. მი/მო/წა-ვიდ-ა ის
8. მი/მო/წა-ვიდ-ე-ს ის

III სერია

9. მი/მო/წა-სულ-ა ის
10. მი/მო/წასულ-იყ-ო ის
- 11 მი/მო/წა-სულ-იყ-ო-ს ის

V თავი.

ფუძედრეკადი ზმნები

§9. ფუძედრეკადი ზმნების აგებულება

ფუძედრეკადი ზმნების რაოდენობა ბევრი არ არის და ისინი სხვადასხვა ბოლოკიდური თანხმოვნით წარმოგვიდგებიან.¹¹⁰

¹¹⁰ ვ. თოფურია, ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის, თსუ შრ., III, თბ., 1936, გვ. 227-233; გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბ., 1966, გვ. 171; ფ. ერთელიშვილი,

- 1) ყველაზე გავრცელებულია -ენ დაბოლოება: *ფრენს, სტვენს, რქენს, ფშვენს, ფრთენს, ქშენს, ღრენს, სწყენს, ბწყენს;*
- 2) -ერ: *მზერს, უცქერს, უბღვერს;*
- 3) -ეტ: *ჭვრეტს, ჩხვლეტს, ჩქმეტს;*
- 4) -ემ: *ჰგვრემს, თვლემს;*
- 5) -ეჩ: *კბეჩს;*
- 6) -ევ: *(მო)სთრევს;*

რამდენიმე ზმნა უმეტესად უ- პრეფიქსით გვხვდება, სადაც უ- თითქოს შეხორცებულია ძირს და მას ობიექტურ პირზე მითითების ფუნქცია აკისრია: *უ-ცქერს, უ-ჭვრეტს, უ-მზერს, უ-სტვენს, უ-ბღვერს, უ-სმენს - ის მას.*¹¹¹

თუმცა, ამათგან რამდენიმეს აქვს პარალელური (უ- პრეფიქსიანი და უპრეფიქსო) ვარიანტები – *სტვენს_უსტვენს, ჭვრეტს_უჭვრეტს*. პრეფიქსიან ფორმებთან შედარებით ამავე ძირისაგან ნაწარმოები უპრეფიქსო ზმნები ერთი პირის კლებას გვიჩვენებენ: *სტვენს ის (მას) > უ-სტვენს ის მას (მას).*

უ- პრეფიქსიანი ვარიანტები სხვა თემისნიშნიან თუ უთემისნიშნო ფორმებსაც აქვთ, მაგრამ *უმზერს* ტიპის ფუძედრეკად ზმნებში ეს უ- იმდენად არის შესისხლხორცებული ძირს, რომ ფორმას მნიშვნელობაა აქვს შეცვლილი და, გარდა ამისა, უპრეფიქსოდ იშვიათად იხმარება.

ასევე აღსანიშნავია პარალელური ფუძედრეკადი და -ავ თემისნიშნიანი ფორმები: *ფრენს-ფრინავს, ქშენს-ქშინავს, ფშვენს- ფშვინავს.*¹¹² (სალიტერატურო ენაში უფრო -ავ თემისნიშნიანი ვარიანტებია გავრცელებული.)

§10. ფუძედრეკადი ზმნების უღლება

ფუძედრეკადი ზმნები უღლების რამდენიმე ტიპს გვიჩვენებენ:

1. ზმნათა უმრავლესობა საშუალო გვარის ფორმებში ყველაზე გავრცელებულ ი- /უ- პრეფიქსიან წარმოებას მიჰყვება, ოღონდ ყველა სხვა (თემისნიშნიანი თუ

ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბ., 1970, გვ. 99;

¹¹¹ ლ. ნოზაძე, მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, იკე, XIX, თბ., 1974, გვ. 30

¹¹² ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986, გვ. 118; ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975, გვ. 115

უთემისნიშნო) ფორმათაგან განსხვავებით, მყოფადის წრის მწკრივებში ეს ზმნები არ საჭიროებენ -ებ სუფიქსს.¹¹³ გარდა ამისა, აღნიშნული ფორმები I სერიის მწკრივებსა და II – III თურმეობითებში ე გახმოვანებით იხმარება, დანარჩენ მწკრივებში კი - ი გახმოვანებით. მათი უღლების პარადიგმა ასე გამოიყურება:

I სერია

1. R-ს ის
2. R-დ-ა ის
3. R-დ-ე-ს ის
4. ი-R-ს ის
5. ი-R-დ-ა ის
6. ი-R-დ-ე-ს ის

II სერია

7. ი-R-ა მან
8. ი-R-ო-ს მან

III სერია

9. უ-R-ი-ა მას
10. ე-R-ა მას
11. ე-R-ო-ს მას

ამ უღლებას მიჰყვება ფორმები: *ქმენს, ღრენს, სტვენს, ფრენს.*

I სერია

1. ქმენ-ს ის

¹¹³ ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986, გვ. 118

2. ქშენ-დ-ა ის
3. ქშენ-დ-ე-ს ის
4. ი-ქშენ-ს ის
5. ი-ქშენ-დ-ა ის
6. ი-ქშენ-დ-ე-ს ის

II სერია

7. ი-ქშინ-ა მან
8. ი-ქშინ-ო-ს მან

III სერია

9. უ-ქშენ-ი-ა მას
10. ე-ქში-ნ-ა მას
11. ე-ქშინ-ო-ს მას

ორპირიან ფორმებთან უ- პრეფიქსიანი წარმოება გვაქვს:¹¹⁴

I სერია

1. R-ს ის მას
2. R-დ-ა ის მას
3. R-დ-ე-ს ის მას
4. უ-R-ს ის მას
5. უ-R-დ-ა ის მას

¹¹⁴იხ. ამასთან დაკავშირებით: ლ. ნოზაძე, მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, იკე, XIX, თბ., 1974, გბ. 29, 47.

6. უ-R-დ-ე-ს ის მას

II სერია

7. უ-R-ა მან მას

8. უ-R-ო-ს მან მას

III სერია

9. უ-R-ო-ა მას (მისთვის)

10. ე-R-ა მას (მისთვის)

11. ე-R-ო-ს მას (მისთვის)

ვაუღლოთ ფორმა *ჩხვლეტს ის მას (მას)*.

I სერია

1. ჩხვლეტ-ს ის მას (მას)

2. ჩხვლეტ-დ-ა ის მას (მას)

3. ჩხვლეტ-დ-ე-ს ის მას (მას)

4. უ-ჩხვლეტ-ს ის მას (მას)

5. უ-ჩხვლეტ-დ-ა ის მას (მას)

6. უ-ჩხვლეტ-დ-ე-ს ის მას (მას)

II სერია

7. უ-ჩხვლიტ-ა მან მას (ის)

8. უ-ჩხვლიტ-ო-ს მან მას (ის)

III სერია

9. უ-ჩხვლეტ-ი-ა მას (მისთვის) (ის)
10. ე-ჩხვლიტ-ა მას (მისთვის) (ის)
11. ე-ჩხვლიტ-ო-ს მას (მისთვის) (ის)

ამ ტიპისაა ფორმები: *კბეჩს, ჩქმეტს, ბჭკენს, რქენს _ ის მას.*

რამდენიმე უ-პრეფიქსიანი ზმნა აწმყოსა და მყოფადში პარალელურად იხმარება, რადგან ფორმათა განსასხვავებლად მათ საშუალება აღარ რჩებათ. (უღლებისათვის განკუთვნილი უ-პრეფიქსი უკვე აწმყოშივე აქვთ). ასეთი ზმნებია: *უცქერს, უშზერს, უჭვრეტს _ ის მას.* ამ ფორმებს I თურმეობითში უ-პრეფიქსი აღარ დაერთვის ფონეტიკური მიზეზის გამო (ორ უ-ს რომ არ მოეყარა ერთად თავი). მათი უღლების პარადიგმა ასეთია:

I სერია

1. R-ს ის მას
2. R-დ-ა ის მას
3. R-დ-ე-ს ის მას
4. R-ს ის მას
5. R-დ-ა ის მას
6. R-დ-ე-ს ის მას

II სერია

7. R-ა მან მას
8. R-ო-ს მან მას

III სერია

9. R-ი-ა მას (მისთვის)
10. ე-R-ა მას (მისთვის)
11. ე-R-ო-ს მას (მისთვის)

I სერია

1. უცქერ-ს ის მას
2. უცქერ-დ-ა ის მას
3. უცქერ-დ-ე-ს ის მას

4. უცქერ-ს ის მას
5. უცქერ-დ-ა ის მას
6. უცქერ-დ-ეს ის მას

II სერია

7. უცქირ-ა მან მას
8. უცქირ-ო-ს მან მას

III სერია

9. უცქერ-ია მას (მისთვის)
10. ე-ცქირ-ა მას (მისთვის)
11. ე-ცქიროს მას (მისთვის)

2. ზოგიერთი ფორმა უღლებიას აქტივთა პარადიგმას მიჰყვება _ მწკრივების საწარმოებლად ზმნისწინს იყენებს. ესენი, ძირითადად, უ- პრეფიქსიანი ფორმებია, რომლებსაც, ჯერ ერთი, სხვა გზა აღარ რჩებათ მწკრივების საწარმოებლად, და მეორეც _ მათ პირდაპირი ობიექტი აქვთ შეძენილი და ესეც ხელს უწყობს აქტივისებურ უღლებას. (შდრ. ერთპირიანი, უობიექტო *უცქერს* ტიპის ზმნები, რომლებიც 30-ის არქონის გამო ზმნისწინიან წარმოებას ვერ ახერხებენ). ასეთი ფორმებია: *უსტვენს ის მას (მას)*, *უსმენს ის მას*.

I სერია

1. R-ს ის მას (მას)
2. R-დ-ა ის მას (მას)
3. R-დ-ე-ს ის მას (მას)
4. Prev-R-ს ის მას (მას)
5. Prev-R-დ-ა ის მას (მას)
6. Prev-R-დ-ე-ს ის მას (მას)

II სერია

7. Prev-R-ა მან მას (ის)
8. Prev-R-ო-ს მან მას (ის)

III სერია

9. Prev-უ-R-ი-ა მას (მისთვის) (ის)
10. Prev-ე-R-ა მას (მისთვის) (ის)
11. Prev-ე-R-ო-ს მას (მისთვის) (ის)

ვაუღლოთ უსტვენს:

I სერია

1. უ-სტვენ-ს ის მას (მას)
2. უ-სტვენ-დ-ა ის მას (მას)
3. უ-სტვენ-დ-ე-ს ის მას (მას)
4. და-უ-სტვენ-ს ის მას (მას)
5. და-უ-სტვენ-დ-ა ის მას (მას)
6. და-უ-სტვენ-დ-ე-ს ის მას (მას)

II სერია

7. და-უ-სტვინ-ა მან მას (ის)

8. და-უ-სტვინ-ო-ს მან მას (ის)

III სერია

9. და-უ-სტვენ-ი-ა მას (მისთვის) (ის)

10. და-ე-სტვინ-ა მას (მისთვის) (ის)

11. და-ე-სტვინ-ო-ს მას (მისთვის) (ის)

განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებენ *ჭვრეტს*, *თვლემს* ფორმები, რომელებიც პირდაპირ ზმნისწინს დაირთავენ ფუძეზე (ხმოვანპრეფიქსის გარეშე): *ჭვრეტს_განჭვრეტს*.¹¹⁵უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ზმნები წარმოშობით აქტივებია, ამიტომაც მათ მხოლოდ ზმნისწინი გამოიყენეს მწკრივთა წარმოებისას. ამ ფორმათა უღლების პარადიგმა ასეთია:

I სერია

1. R-ს ის მას

2. R-დ-ა ის მას

3. R-დ-ე-ს ის მას

4. Prev-R-ს ის მას

5. Prev-R-დ-ა ის მას

6. Prev-R-დ-ე-ს ის მას

II სერია

7. Prev-R-ა მან ის

8. Prev-R-ო-ს მან ის

III სერია

¹¹⁵ შდრ. დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001, გვ. 85

9. Prev-უ-R-ი-ა ის მას

10. Prev-ე-R-ა ის მას

11. Prev-ე-R-ო-ს ის მას

I სერია

1. ჭვრეტ-ს ის მას

2. ჭვრეტ-დ-ა ის მას

3. ჭვრეტ-დ-ე-ს ის მას

4. გან-ჭვრეტ-ს ის მას

5. გან-ჭვრეტ-დ-ა ის მას

6. გან-ჭვრეტ-დ-ე-ს ის მას

II სერია

7. გან-ჭვრიტ-ა მან ის

8. გან-ჭვრიტ-ო-ს მან ის

III სერია

9. გან-უ-ჭვრეტ-ი-ა მას ის

10. გან-ე-ჭვრიტ-ა მას ის

11. გან-ე-ჭვრიტ-ო-ს მას ის

3. ზოგიერთ ფორმას მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები მოეპოვება. მათი უღლების პარადიგმა ასეთია:

I სერია

1. R-ს ის მას

2. R-დ-ა ის მას

3. R-დ-ე-ს ის მას

4. _____

5. _____

6. _____

II სერია

7. _____

8. _____

III სერია

9. _____

10. _____

11. _____

ასეთი ფორმებია: ჰგვრემს ის მას, (მო)სტრევს ის მას.

I სერია

1. ჰგვრემ-ს ის მას

2. ჰგვრემ-დ-ა ის მას

3. ჰგვრემ-დ-ე-ს ის მას

4. _____

5. _____

6. _____

II სერია

7. _____

8. _____

III სერია

9. _____

10. _____

11. _____

4. გვაქვს ა-პრეფიქსიანი წარმოებაც:

I სერია

1. R-ს ის მას

2. R-დ-ა ის მას

3. R-დ-ე-ს ის მას

4. ა- R-ს ის მას

5. ა- R-დ-ა ის მას

6. ა- R-დ-ე-ს ის მას

II სერია

7. ა-R-ა მან მას

8. ა- R-ო-ს მან მას

III სერია

9. უ-R-ო-ა მას (მისთვის)

10. ე-R-ა- მას (მისთვის)

11. ე-R-ო-ს მას (მისთვის)

ასეთი ფორმაა სწყენს ის მას.

I სერია

1. ს-წყენ-ს ის მას
2. ს-წყენ-დ-ა ის მას
3. ს-წყენ-დ-ე-ს ის მას
4. ა-წყენ-ს ის მას
5. ა-წყენ-დ-ა ის მას
6. ა-წყენ-დ-ე-ს ის მას

II სერია

7. ა-წყინ-ა მან მას
8. ა-წყინ-ო-ს მან მას

III სერია

9. უ-წყენ-ი-ა მას (მისთვის)
10. ე-წყინ-ა მას (მისთვის)
11. ე-წყინ-ო-ს მას (მისთვის)

VI თავი

უთემისნიშნო ზმნები

§11. უთემისნიშნო ზმნების აგებულება

უთემისნიშნო ზმნებში ორი დიდი ჯგუფი გამოიყოფა:

1. ფორმები, რომელთაც აწმყოში მწკრივის ნიშნად -ი მოუდით,

2. ფორმები, რომელთაც აწმყოში ნიშანი არა აქვთ.¹¹⁶

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

I ჯგუფი

აწმყოში -ი დაბოლოებიანი ზმნები

-ი დაბოლოებიანი უთემისნიშნო (უმეტესად ერთპირიანი) ფორმების საკმაოდ დიდ ჯგუფში შემოდინან სხვადასხვა სტრუქტურისა თუ პირიანობის მქონე ზმნები. მათი უმრავლესობა ერთი ან ორმარცვლიანი ფორმებია:

1. ერთმარცვლიანები: *ზის, ძრწის, კრთის, ქრის, ფრთხის, ხტის, რბის;*

2. ორმარცვლიანები: *იღვწის, ტირის, კნავის, კივის, ჭყივის, ყმუის, ღმუის, ზმუის, ყვავის, ტყუის, არის, ყვირის, კვნესის, ღვივის, მღერის;*

ამასთან, შინაარსის მხრივ ორი დიდი ჯგუფი შეიძლება გამოიყოს:

1. გარკვეული ხმიანობის გამომხატველი ფორმები: *ივინის, ყვირის, კვნესის, ტირის, ხვნემის, ღნავის, ჭყივის, ყმუის, ზმუის, ბღავის, ჩხავის, მღერის;*

2. მოძრაობის ან მდგომარეობის აღმნიშვნელი ზმნები: *ძრწის, კრთის, ქრის, თრთის, ხტის, (მი)რბის, ზის;*

წინა თავებში უკვე ხშირად ნახსენები *ინატრის, ინანის* ტიპის ფორმებისაგან განსხვავებით, ორი ი-პრეფიქსიანი (ოღონდ უთემისნიშნო: შდრ. *ი-ნან-ი-ს / ი-ნან-ი-დ-ა* და *ი-ცინ-ი-ს / ი-ცინ-ოდ-ა*) ფორმა დღესაც აქტიურად იხმარება. ესენია: *ივინის* და *იბრძვის - ის*. შეიძლება ამის ახსნაც: ამათი ერთპირიანი ფორმების არსებობის საჭიროება დიდია. (ეს საჭიროება არ იყო *ი-ნატრ-ი-ს* ტიპის ფორმებთან). ორპირიანი უპრეფიქსო ვარიანტებისაგან განსხვავებით ისინი სულ სხვა შინაარსს გამოხატავენ. შდრ:

ნატრობს ის (მას) / ი-ნატრის ის მას)

მაგრამ

¹¹⁶ არნ ჩიქობავას მოსაზრების მიხედვით, -ი სუფიქსი დაკარგული უნდა იყოს *ღუმს* ტიპის ფორმებშიც – იხ. არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბ., 1948, გვ. 107

ბრძავს ის მას (ძვ. ქართული) / ი-ბრძვის ის

(და)სცინის ის მას / ი-ცინის ის

სიმპტომატურია ამ ფორმების გვერდით ე-პრეფიქსიანი ფორმების არსებობაც:

ბრძავს / ი-ბრძვის / ე-ბრძვის

(და)სცინის / ი-ცინის / ე-ცინის (დიალექტური)

შდრ:

ნატრობს / ი-ნატრის / _____

II ჯგუფი

ზმნები, რომელთაც აწმყოს ნიშანი არა აქვთ

ამ ზმნათა რაოდენობაც საკმაოდ ბევრია. ძირითადად ესენიც ერთი ოან ორმარცვლიანი ფორმებია:

1. ერთმარცვლიანები: *ძგერს, ჟღერს, წვიმს, ქუხს, დუმს, წუხს, თოვს, ყეფს, დგას, წევს, დევს, ღირს, სძულს, სჯობს, სურს, შურს, დუმს, ჩანს, ჭირს;*

2. ორმარცვლიანები: *ღელავს, გალობს, სუფევს, ახსოვს, უყვარს, უკვირს, უჭირს, უღირს, უმძიმს;*

პირიანობის მხრივ გვხვდება როგორც ერთპირიანი, ისე ორპირიანი (მათ შორის 30-იანი) ფორმები:

1. ერთპირიანი: *ჟღერს, ქუხს, ღელავს, ჩქეფს, წუხს, ყეფს, თოვს, დგას, წევს, დევს, დუმს, ჩანს, ყარს, ჭირს – ის;*

2. ორპირიანი: *უყვარს, ახსოვს, სძულს, ჰგავს, აქვს, სწადს, სჯობს, სურს, უმძიმს, უკვირს, უღირს – ის მას;*

ბევრია უ-პრეფიქსიანი ზმნა (ამ მაწარმოებლის გარეშე ეს ფორმები არ იხმარება): *უჭირს, უშავს, უმძიმს, უკვირს – ის მას.* ესენი, როგორც წესი, სტატიკური ფორმებია.

შინაარსის მიხედვით აქაც შეიძლება გამოიყოს:

ა) გარკვეული ხმინაობის გამომხატველი ზმნები: *ყეფს, ჩქეფს;*

ბ) ბუნების მოვლენების ამსახველი (როგორც წესი, სუბიექტგაუჩინარებული) ფორმები: *თოვს, წვიმს, ქუხს, ელავს;*

ორივე ჯგუფში (-ი სუფიქსიანშიც და უსუფიქსოშიც) ძალიან ბევრია თავისებური ზმნა, რომელთაც უფრო დაწვრილებით უღლებიას განვიხილავთ. მათ შორისაა სხვადასხვა პრეფიქსით გაფორმებული (მხოლოდ ამ წარმოებით ცნობილი) ზმნა:

1. ე-პრეფიქსიანი: ე-სმის, ე-ძახის, ე-რჩის, ე-ლტვის, ე-ლის;¹¹⁷
2. ი-პრეფიქსიანი; ი-ძახის, ი-სმის, ი-ლტვის;
3. უ-პრეფიქსიანი; უ-ძახის, უ-ძღვის.

§12 უთემისნიშნო ზმნათა უღლება

I ჯგუფი

-ი სუფიქსიან ფორმებში უღლების მხრივ რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა:

1. ერთი წყება ზმნებისა საშუალისათვის დამახასიათებელ უღლებას მიჰყვება: -ებ თემის ნიშანს დაირთავს მყოფადში, პრეფიქსად კი იმავე მყოფადსა და II სერიაში ი-აქვს, III სერიასაც ინვერსიულად აწარმოებს. ერთადერთი განსხვავება სხვა თემისნიშნიანი, ფუძედრეკადი თუ უთემისნიშნო (მაგრამ უსუფიქსოაწმყოიანი) ფორმებისგან ის არის, რომ ამ ტიპის (და საერთოდ -ი მწკრივისნიშნიან) ფორმებს სავრცობად -დ სუფიქსის ნაცვლად -ოდ მოუდის.¹¹⁸ ამ ტიპის ფორმათა უღლების პარადიგმა ასე გამოიყურება:

I სერია

1. R-ი-ს ის /ის მას
2. R-ოდ-ა ის /ის მას
3. R-ოდ-ე-ს ის /ის მას
4. ი-R-ებ-ს ის /ის მას
5. ი-R-ებ-დ-ა ის /ის მას
6. ი-R-ებ-დ-ე-ს ის /ის მას

¹¹⁷ ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975, გვ. 170

¹¹⁸ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 417

II სერია

7. ი-R-ა მან/მან ის

8. ი-R-ო-ს მან /მან ის

III სერია

9. უ-R-ი-ა- მას / მას ის

10. ე-R-ა მას /მას ის

11. ე-R-ო-ს მას /მას ის

მაგალითისათვის ვაუღლოთ ზმნა *ყვირის*.

I სერია

1. ყვირ-ი-ს ის

2. ყვირ-ოდ-ა ის

3. ყვირ-ოდ-ე-ს ის

4. ი-ყვირ-ებ-ს ის

5. ი-ყვირ-ებ-დ-ა ის

6. ი-ყვირ-ებ-დ-ე-ს- ის

II სერია

7. ი-ყვირ-ა მან

8. ი-ყვირ-ო-ს მან

III სერია

9. უ-ყვირ-ი-ა მას

10. ე-ყვირ-ა მას

11. ე-ყვირ-ო-ს მას

ამ ტიპის უღლებას მიჰყვება: *იღწვის, კვნესის, ტირის, მღერის, ყვირის, ჭყვირის, ხვნეშის* ზმნები.

რატომ გვაქვს **-ოდ** და არა **-ოდ?** სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი, რომ **-ოდ** სავრცობი აწმყოში **-ი** სუფიქსს გულისხმობს.¹¹⁹

იღწვის ფორმა უღლებისას შეკუმშულ ხმოვანს აღიდგენს: *იღწვის / იღვაწებს / იღვაწა / უღვაწია*.

ზოგიერთი ზმნა (*თრთის, ძრწის*) მყოფადისა და II–III სერიის მწკრივების საწარმოებლად, უდაოდ, მასდარის ფუძეს იყენებს.¹²⁰ მხოლოდ *ტირის* ტიპის რამდენიმე ფორმასთან გვაქვს თითქოს უღლებისას უმასდარო წარმოება. ამ ზმნებთან დაკავშირებით ლ. ნოზაძე ყურადღებას ამახვილებს მათი ფუძის დაბოლოებაზე – **რ** თანხმოვანზე. მკვლევარის აზრით, შეიძლება ეს **რლ** კომპლექსი (**ი-ტირ-(ი)ლ-ა*) იყოს ფონეტიკურად მიუღებელი ქართულისათვის; მაგრამ იქვე მას მოჰყავს *საცქერლად, სამღერლად, სატირლად* ტიპის მაგალითები თავისივე ვარაუდის საწინააღმდეგოდ.¹²¹ მაგრამ შეიძლება დავუშვათ, რომ ფონეტიკური გარემო *საცქერლად* ტიპის ფორმებში სხვაა, ვიდრე *იტირა* ტიპის წარმოებაში; ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ერთ შემთხვევაში (*სამღერლად*) **რლ** კომპლექსი მისაღები იყოს ენისათვის, მეორე შემთხვევაში (**ი-ტირ-ილ-ა* > **ი-ტირ-ლ-ა* > *ი-ტირ-ა*) კი – არა.

იქ, სადაც **რლ** კომპლექსი არ იქმნება და მაინც მარტივი ფუძე გვაქვს, მასდარი გვაძლევს გამოცანის გასაღებს. შდრ:

ი-კვნეს-ებ-ს – *კვნესა*

ი-ხვნეშ-ებ-ს – *ხვნეშა*

ი-მღერ-ებ-ს – *სიმღერა*

¹¹⁹ გ. როგავა, ნამყო უსრულის **-ოდ** სუფიქსის შედგენილობისათვის ქართულში, იკვ, VI, თბ., 1954; ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973, თბ., გვ. 417.

¹²⁰ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 473; ლ. ნოზაძე, მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, იკვ, XIX, თბ., 1974, გვ. 27

¹²¹ იქვე, გვ. 28; დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001, გვ. 97

ყველა სხვა შემთხვევაში უღლებიასა -ი სუფიქსიანი ფორმა მასდარის ფუძეს მიმართავს. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ:

ა) ერთი წყება ზმნებისა (-**ოლ** სუფიქსიანი მასდარის მქონე) უღლებიასა -**ოლ** სუფიქსს მიმართავს: *ძრწ-ი-ს / ი-ძრწ-ოლ-ა / უ-ძრწ-ოლ-ი-ა*. ამ ტიპისაა: კრთის, თრთის, ქრის, კრკის, იბრძვის.¹²²

ბ) ზოგიერთი ფორმა -**ილ** სუფიქსს უნდა ირთავდეს (მასდარის მიხედვით), მაგრამ -ი იკვეცება, ამასთან -**ოდ** სუფიქსთან ამ ფუძეების ძირეული ვ-ც იკარგება:

კივ-ი-ს / კი(ვ)-ოდ-ა / ი-კივ-ლ-ებ-ს / ი-კივ-ლ-ა / უ-კივ-ლ-ი-ა

ამ ტიპის ფორმებია: *ღივის, ჭყივის, ჯღავის, ბღავის, ჩხავის, კნავის, ჩივის*.

ამათგან ზოგიერთი ფორმის (მაგ. *კივის, ჭყივის*) მყოფადისა და II-III სერიის ფორმები გადმოსცემენ როგორც ერთგზის, წყვეტილ, ასევე განგრძობით, უწყვეტელ შინაარსსაც:

შდრ. *ი-კივ-ლ-ებ-ს / ი-კივ-ლ-ა / უ-კივ-ლ-ი-ა*:

1) *ერთი იკივლს და გაათავა* – ერთგზისი.

2) *იკივლა, იკივლა და გაჩერდა* – მრავალგზისი.

გ) ერთი ტიპის ზმნები (**უ-ზე** დაბოლოებულნი) -**ილ** სუფიქსისეული **ლ-ს** გარდა ვ სონორსაც ჩაირთავენ უღლებიასა:¹²³

ფუ-ი-ს / ი-ფუ-ვ-ლ-ებ-ს / ი-ფუ-ვ-ლ-ა / უ-ფუ-ვ-ლ-ი-ა

ამ ტიპისაა: *ზმუის, ზუის, ღმუის, ყმუის, შზუის, ფზუის*. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ვ თანხმოვნის ჩართვა **ლ-ს** მეზობლობით გამოწვეული ფონეტიკური პროცესის შედეგია.

ფ. ერთელიშვილს ვ თანხმოვანთგამყარად მიაჩნია და ეს მაგალითები განხილული აქვს, როგორც ღია მარცვლის დახურულ მარცვლად ქცევის ტენდენცია.¹²⁴

ზ. ჭუმბურიძის აზრით, *ბზუის* ტიპის ფორმებში ვ იკარგება აწმყოში, მყოფადის წრეში კი კვლავ აღდგება **ლ-ს** წინ. ა. გ. აღნიშნული ფორმები -**უვ** დაბოლოებიანი ფორმებია. (შდრ. -**ივ** დაბოლოებიანი *წივის* ტიპის ზმნები).¹²⁵

¹²² ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986, გვ. 118

¹²³ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 478

¹²⁴ ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბ., 1970, გვ. 286

¹²⁵ ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986, გვ. 118

დ. მელიქიშვილის აზრით, ვ შემდეგ არის ჩართული არა მარტო უ-ზე დაბოლოებულ ბზუს ტიპის საწყისის ფორმებში, არამედ ვ-ილ სუფიქსის წინ გაჩნდა ბლავის, კივის ტიპის (აქაც ჯერ საწყისის) ფორმებშიც.¹²⁶

აღნიშნულ ზმნებთან დაკავშირებით შ. აფრიდონიძე აღნიშნავს, რომ გვაქვს პარალელური წარმოება:

ი-შხუ-ვ-ლ-ებ-ს _ ი-შხუ-ილ-ებ-ს

დადგენილია ამ პარალელური ფორმების ხმარების კანონზომიერებაც (ორთოგრაფიული ლექსიკონის საფუძველზე):

1) ვ თანხმოვნის წარმოება გვაქვს:

ა) თუ ბოლოკიდურ უ ხმოვანს წინ მ სონანტი უძღვის: *იემუვლებს*.

ბ) მომენტობრივი ასპექტის გამოხატვისას: *დაიბზუვლებს*.

2) შეუკუმშავი ფორმა გვაქვს სხვა დანარჩენ შემთხვევებში: *იშხუილებს* (მ სონანტი არა გვაქვს), *გაიბზუილებს* (დიურატიული ასპექტია).¹²⁷

აღსანიშნავია, რომ ამ ზმნებიდან კივის ტიპის ფორმათა მსგავსად ზოგის (მაგ. *დმუსის, შხუსის*) უწყვეტლის ფორმაც ითავსებს ერთგზისი და მრავალგზისი მოქმედების გადმოცემას:

1) *ერთი იშხუვლა და გაათავა* – ერთგზისი.

2) *იშხუვლა, იშხუვლა და გაჩერდა* – მრავალგზისი.

დ) აქვე აღსანიშნავია უღლებისას ზმნისწინის დამატება *დაიკივლა, დაიყვირა, დაიტირა, დაიმღერა* ფორმებში. აქაც ზმნისწინის დართვას ხელს უნდა უწყობდეს პო-ის ან მისი ფარდი (*ერთი*) სახელის დამატება ზმნის პირებში.

შდრ.: *ერთი _ დაიკივლა, დაიყვირა, დაიტირა, დაიმღერა*.

ზოგადად, აღნიშნული ფორმების უღლების პარადიგმა შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

I სერია

¹²⁶ დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001, გვ. 96

¹²⁷ შ. აფრიდონიძე, უ ხმოვანზე ფუძეგათავებულ ზმნათა უღლებასთან დაკავშირებული ნორმატიული საკითხები ქართულში, იკე, XXVII, თბ., 1988.

1. R-ი-ს ის
2. R-ოდ-ა ის
3. R-ოდ-ე-ს ის
4. ი-(მასდარის ფუძე)-ებ-ს ის
5. ი-(მასდარის ფუძე)-ებ-დ-ა ის
6. ი-(მასდარის ფუძე)-ებ-დ-ე-ს ის

II სერია

7. ი-(მასდარის ფუძე)-ა მან
8. ი-(მასდარის ფუძე)-ო-ს მან

III სერია

9. უ-(მასდარის ფუძე)-ი-ა მას
10. ე-(მასდარის ფუძე)-ა მას
11. ე-(მასდარის ფუძე)-ო-ს მას

2. მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები მოეპოვებათ ფორმებს: *ელის, ერჩის, ესმის*,¹²⁸ *ეძახის, ელტვის, ილტვის, ისმის, უძღვის, შვენის, ყვავის*;

აქედან *ერჩის, ეძახის* ზმნები უწყვეტელში -დ სავრცობიან ვარიანტსაც გვიჩვენებენ:¹²⁹ *ერჩ-დ-ა, ეძახ-დ-ა*. ამასთან *ეძახის* ფორმა ხშირად იყენებს *უძახის* ფორმის პარადიგმას:

*ეძახის*¹³⁰ *ის მას – დაუძახებს ის მას – დაუძახა მან მას – დაუძახებია მას (მისთვის).*

¹²⁸ *მოესმა* (წყვეტილი) *მოესმის* ფორმის პარადიგმაა.

¹²⁹ ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975, გვ. 182; მისივე, ქართული ზმნის ფორმოზომი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980, გვ. 294

ამათვე რიგშია იმღერის ფორმაც, რომელსაც სავრცობად -დ მოუდის (შდრ. მღერ-ი-ს _ მღერ-ოდ-ა).¹³¹

ამათი უღლების პარადიგმა ასეთია:

I სერია

1. R-ი-ს ის
2. R-ოდ/დ-ა ის
3. R-ოდ/დ-ე-ს ის
4. _____
5. _____
6. _____

II სერია

7. _____
8. _____

III სერია

9. _____
10. _____
11. _____

ვაუღლოთ ფორმა ყვავის:

I სერია

1. ყვავ-ი-ს ის

¹³⁰ ეძახის ფორმას შეიძლება II სერიის მწკრივებიც (დიალექტურად) ეწარმოოს (ბევრი ეძახა, მაგრამ ვერ გააგონა).

¹³¹ იმღერებს-იმღერა მღერის ფორმის პარადიგმაა და არა იმღერის ფორმისა.

2. ყვა-ოდ-ა ის

3. ყვა-ოდ-ე-ს ის*

4. _____

5. _____

6. _____

II სერია

7. _____

8. _____

III სერია

9. _____

10. _____

11. _____

* ვ იკარგება ო-სთან მეზობლობაში.

3. თავისებური ზის, არის ფორმები პასივისებურ უღლებას მიჰყვებიან სხვადასხვაგვარი ცვლილებით. მათი უღლების პარადიგმა, პირობითად, ასეთი იქნება:

I სერია

1. R-ი-ს ის

2. _____

3. _____

4. ი-R-ებ-ა ის

5. ი-R-ებ-ოდ-ა ის

6. ი-R-ებ-ოდ-ე-ს ის

II სერია

7. ი-R-ა ის

8. ი-R-ე-ს ის

III სერია

9. (მიმღ.ფუძე)-ა ის

10. (მიმღ.ფუძე)-იყო ის

11. (მიმღ.ფუძე)-იყო-ს ის

ვაუღლოთ ფორმა ზის:

I სერია

1. ზ-ი-ს ის

2. _____

3. _____

4. ი-ჯდ-ებ-ა ის

5. ი-ჯდ-ებ-ოდ-ა ის

6. ი-ჯდ-ებ-ოდ-ე-ს ის

II სერია

7. ი-ჯდ-ა ის

8. ი-ჯდ-ე-ს ის

III სერია

9. მჯდარ-ა ის

10. მჯდარ-იყ-ო ის

11. მჯდარ-იყო-ს ის

უღლები ცალკე ტიპად ვერ გამოვყოფთ (რადგან *ივინის* ფორმას უზმნისწინო მყოფადიც აქვს, *ილიმის* ზმნა კი თანამედროვე ქართულში აღარ იხმარება: მას *ილიმება* ენაცვლება), მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ *ილიმის*, *ივინის* ფორმები უღლებიას ზმნისწინს მიმართავენ – *გაივინებს*, *გაილიმებს*. ამათ ი- აწმყოშივე აქვთ და მყოფადის წრის მწკრივების საწარმოებლად სხვა გზის ძიება უწევთ. შდრ. *იბრძვის* ფორმა, რომელსაც *-ოლ* სუფიქსის დახმარებით აწმყოსა და მყოფადს შორის საკმარისი განსხვავების დამყარება შეუძლია:

ი-ბრძ-ვ-ი-ს – *ი-ბრძ-ოლ-ებ-ს*

მაგრამ

ი-ვინ-ი-ს – *ი-ვინ-ებ-ს*

*ივინებს*¹³² იშვიათად იხმარება, რადგან აწმყოსა და მყოფადის ფორმებს შორის საკმარის სხვაობას ვერ ამყარებს. გარდა ამისა, ზმნისწინიანი წარმოებისათვის ხელი უნდა შეეწყოს პო-ის ფარდი სახელის არსებობას, რომლის ფუნქციასაც ამ შემთხვევაში მოქმედების შედეგი, თვითონ *სიცილი*, *ღიმილი* (სახეზე) უნდა ასრულებდეს.

თავისებურ ზმნათა რიგშია ფორმები: *იძახის*, *უძახის*. აღსანიშნავია, რომ:

1) ამ ზმნებთან ხშირად არის წარმოდგენილი პო: *უძახის ის მას მას* (მოიხსენიებს ამა თუ იმ სახელით).

2) ეს ზმნები *-ოდ/-დ* სავრცობს პარალელურად იყენებენ: *უ-ძახ-დ-ა* – *უ-ძახ-ოდ-ა*. უფრო სალიტერატუროდ მიჩნეულია *-დ* სავრცობიანი ფორმები (*უ-ძახ-დ-ა*).¹³³

შეიძლება დავსვათ კითხვა: ხომ არ არის *-დ* სავრცობის ხმარების გააქტიურების მიზეზი სხვა საშუალო გვარის ზმნებთან გათანაბრების ტენდენცია? ბ. ჯორბენაძე ამგვარ ვითარებას ვარაუდობდა *ვრ-ი-ს* / *ვრ-ოდ-ა* (*წვიმს*), მაგრამ არა – *ე-ძახ-ი-ს* / *ე-ძახ-დ-ა* ტიპის ფორმებთან.¹³⁴

¹³² *ი-ვინ-ა* (წყვეტ.) უფრო ხშირად გამოიყენება.

¹³³ ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975, გვ. 182

¹³⁴ მისივე, ქართული ზმნის ფორმოზომიერ და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980, გვ. 294

3) ეს ზმნები ზმნისწინით აწარმოებენ მყოფადის წრის მწკრივებს, მაგრამ პარალელური (ოდენპრეფიქსული და ზმნისწინიანი) ფორმები გვაქვს II სერიაში: *უძახა/დაუძახა; იძახა/დაიძახა*. (მაგ. ბევრი უძახა, მაგრამ ვერ გააგონა).

საინტერესოა, რომ ამათი რიგის *ეძახის* ფორმებს ვერ აწარმოებს.¹³⁵

II ჯგუფი

1. აწმყოში უსუფიქსო ფორმების დიდი ნაწილი მწკრივთა წარმოებისას საშუალო გვარის უღლებას მისდევს: -*ებ* თემის ნიშანი მყოფადში, *ი-/-უ-* პრეფიქსები მყოფადის წრისა და II სერიის მწკრივებში, III სერიის წარმოება – ინვერსიულად.¹³⁶ უღლების პარადიგმა ასე გამოიყურება:

I სერია

1. R-ს ის
2. R-დ-ა ის
3. R-დ-ე-ს ის
4. ი-R-ებ-ს ის
5. ი-R-ებ-დ-ა ის
6. ი-R-ებ-დ-ე-ს ის

II სერია

7. ი-R-ა მან
8. ი-R-ო-ს მან

III სერია

¹³⁵ იხ. აქვე, გვ. 129-130

¹³⁶ ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986, გვ. 117

9. უ-R-ი-ა მას

10. ე-R-ა მას

11. ე-R-ო-ს მან

ასე იუღლება, მაგალითად, ზმნა *დულს*:

I სერია

1. დულ-ს ის

2. დულ-დ-ა ის

3. დულ-დ-ე-ს ის

4. ი-დულ-ებ-ს ის

5. ი-დულ-ებ-დ-ა ის

6. ი-დულ-ებ-დ-ე-ს ის

II სერია

7. ი-დულ-ა მან

8. ი-დულ-ო-ს მან

III სერია

9. უ-დულ-ი-ა მას

10. ე-დულ-ა მას

11. ე-დულ-ო-ს მას

ამ ტიპისაა ფორმები: *ქუხს, წუხს, ღელავს, ჟღერს, გალობს, თოვს, ყეფს, შხეფს*.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ:

ა) *ღელავს* ფუძე იკუმშება: *ღელავს / იღელვებს / იღელვა / უღელვია*.

ბ) რამდენიმე ფორმა უღლებისას პრეფიქსთან ერთად ზმნისწინსაც დაიმატებს ხოლმე. ასეთი ზმნებია: *ყევს* (*დაიყეფებს, დაიყევა, დაუყეფია*), *ქუხს* (*დაიქუხებს, დაიქუხა, დაუქუხია*), *ჟღერს* (*გაიჟღერებს, გაიჟღერა, გაუჟღერია*). ჩვენ ეს მოვლენა წინა თავებში ახსნილი გვაქვს და აქ ამაზე აღარ შევჩერდებით.

გ) *წვიმს* და *თოვს* ფორმები ორგვარ უღლებას გვიჩვენებენ: პრეფიქსიანს (ი-პრეფიქსი) და ზმნისწინიანს. (დაწვრილებით ეს მოვლენაც წინა თავებში გვაქვს აღწერილი, იხ. გვ.11-12). მათი უღლების სურათი ასეთია:

<i>ი-თოვ-ებ-ს</i>	<i>მო-თოვ-ს</i>
<i>ი-თოვ-ა</i>	<i>მო-თოვ-ა</i>
<i>უ-თოვ-ი-ა</i>	<i>მო-უ-თოვ-ი-ა</i>
<i>ასევე</i>	
<i>ი-წვიმ-ებ-ს</i>	<i>მო-წვიმ-ს</i>
<i>ი-წვიმ-ა</i>	<i>მო-წვიმ-ა</i>
<i>უ-წვიმ-ი-ა</i>	<i>მო-უ-წვიმ-ი-ა</i> ასევე

(ზმნისწინიანი *მოწვიმს* ფორმა უფრო იშვიათი ხმარებისაა.)

2. ზმნათა ერთი რიგი პასივისებურ უღლებას გვიჩვენებს, ოღონდ II სერიის მწკრივების წარმოება უჭირს, როგორც ეს ჯერ კიდევ ა. შანიძემ აღნიშნა.¹³⁷

უღლების პარადიგმა ასეთია:

I სერია

1. R-ი-ს ის მას
2. R-დ-ა ის მას
3. R-დ-ე-ს ის მას
4. ე-R-ებ-ა ის მას
5. ე-R-ებ-ოდ-ა ის მას
6. ე-R-ებ-ოდ-ე-ს ის მას

¹³⁷ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 485.

II სერია

7. _____

8. _____

III სერია

9. (ჰ)-R-ებ-ი-ა ის მას

10. (ჰ)-R-ებ-ოდ-ა ის მას

11. (ჰ)-R-ებ-ოდ-ე-ს ის მას

ასე იუღლება ფორმები: ღირს ის, უყვარს, ახსოვს, სძულს, ჰგავს, სთნავს, აქვს _ ის მას.
(იმ თავისებურებებზე, რომლებიც საყოველთაოდ არის ცნობილი, ყურადღებას აღარ გავამახვილებთ.)

I სერია

1. უყვარ-ს ის მას

2. უყვარ-დ-ა ის მას

3. უყვარ-დ-ე-ს ის მას

4. ე-ყვარ-ებ-ა- ის მას

5. ე-ყვარ-ებ-ოდ-ა ის მას

6. ე-ყვარ-ებ-ოდ-ე-ს ის მას

II სერია

7. _____

8. _____

III სერია

9. ჰ-ყვარ-ებ-ია ის მას

10. ჰ-ყვარ-ებ-ოდ-ა ის მას

11. ჰ-ყვარ-ებ-ოდ-ე-ს ის მას

ამათგან, *ჰგავს* ფორმა დაირთავს: -ებ სუფიქსის წინ -ან სუფიქსს, თავში მ- პრეფიქსს და თან იკუმშება: *ჰ-გავ-ს / ე-მ-გვ-ან-ებ-ა / ჰ-გვ-ან-ებ-ი-ა*.¹³⁸

ორი ზმნა II სერიის მწკრივებსაც აწარმოებს. ეს ფორმებია: *სწყინს და მოსწონს*. ამათი უღლების პარადიგმა ასეთია:

სწყინს / ეწყინება / ეწყინა / სწყენია.

მოსწონს / მოეწონება / მოეწონა / მოსწონებია.

არსებითად, ამავე უღლებას (პასივისებურს) მისდევს ერთი წყება ზმნებისა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მყოფადისა და II სერიის მწკრივებში ი- პრეფიქსი აქვთ ე-ს ნაცვლად. ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან წინა ორპირიანი ფორმებისგან განსხვავებით აქ ერთპირიანი ზმნები გვაქვს. გარდა ამისა, ამათ აკლიათ უწყვეტელი და უწყვეტლის კავშირებითი, მაგრამ აქვთ II სერიის ფორმები.

I სერია

1. R-ს ის

2. _____

3. _____

4. ი- R-ებ-ა ის

5. ი-R-ებ-ოდ-ა ის

6. ი-R-ებ-ოდ-ე-ს ის

II სერია

7. ი-R-ა ის

8. ი-R-ე-ს ის

¹³⁸ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ, 1973, გვ. 534

III სერია

9. R-ა ის

10. R-იყ-ო ის

11. R-იყო-ს ის

ასეთი ფორმებია: *დგას, წევს, დევს*. თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელი თავისებურებები კარგად არის ცნობილი და აქ მათზე ყურადღლებას აღარ შევაჩერებთ. ვაუღლოთ თვითონ ზმნა:

I სერია

1. დგა-ს ის

2. _____

3. _____

4. ი-დგ-ებ-ა ის

5. ი-დგ-ებ-ოდ-ა ის

5. ი-დგ-ებ-ოდ-ე-ს ის

II სერია

7. ი-დგ-ა ის

8. ი-დგ-ე-ს ის

III სერია

9. მ-დგ-არ-ა ის

10. მ-დგ-არ-იყ ო ის

11. მ-დგ-არ-იყო-ს ის

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ II სერიის ფორმები – წყვეტილი და I კავშირებითი ხშირად იხმარება (შეიძლება ითქვას, უფრო ხშირადაც კი) შესაბამისად უწყვეტლისა და უწყვეტლის კავშირებითის შინაარსის გადმოსაცემად;¹³⁹ ასეთი პარალელური გამოყენებაა:

ბავშვი ფეხზე იდგა და კანკალებდა.

ძროხა იწვა და იზმორებოდა. (უწყვეტლის შინაარსი)

რა თქმა უნდა, გვაქვს I სერიის A შესაფერისი კონტექსტიც;

(ბავშვი) იდგა, იდგა, იკანკალა და წავიდა.

(ძროხა) იწვა, იწვა, იზმორა და წავიდა. (წყვეტილის შინაარსი)

3. რიგი ზმნებისა საერთოდ ვერ აწარმოებს აწმყოს წრის გარდა სხვა მწკრივებს. ამათ, როგორც წესი, მკვეთრად გამოხატული სტატიკური შინაარსი აქვთ. ასეთი ფორმებია: *ხურს, დუმს, ჩანს სუფევს, ყარს, მწიფს – ის; შურს, უჭირს, უმძიმს, უკვირს, სურს, სჭირს, სჯობს – ის მას*,¹⁴⁰ *(არა) უშავს (ის) მას*; ამათი უღლების პარადიგმა ასეთია:

I სერია

1. R-ს ის / ის მას
2. R-დ-ა ის / ის მას
3. R-დ-ე-ს ის / ის მას
4. _____
5. _____
6. _____

II სერია

7. _____
8. _____

¹³⁹ დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001, გვ. 55

¹⁴⁰ შდრ. სჯობნის ფორმა: სჯობნის ის მას – დინამიკური შინაარსისა და სჯობს ის მას – სტატიკური შინაარსისა;

III სერია

9. _____

10. _____

11. _____

I სერია

1. შურ-ს ის მას.

2. შურ-დ-ა ის მას

3. შურ-დ-ე-ს ის მას

4. _____

5. _____

6. _____

II სერია

7. _____

8. _____

III სერია

9. _____

10. _____

11. _____

თავისებური ზმნაა აქტივიდან მიღებული *სცემს ის მას* (<*სცემს ის მას მას*), რომლის აწმყოსა და მყოფადის ფორმები ერთმანეთს ემთხვევა. უპრეფიქსო და უზმნისწინოა წყვეტილიც. უღლების პარადიგმა ასეთია:¹⁴¹

¹⁴¹ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ, 1973, გვ. 550

I სერია

1. R-ს ის მას
2. R-დ-ა ის მას
3. R-დ-ე-ს ის მას
4. R-ს ის მას
5. R-დ-ა ის მას
6. R-დ-ე-ს ის მას

II სერია

7. R-ა მან მას
8. R-ო-ს მან მას

III სერია

9. უ-R-ი-ა მას იგი
10. ე-R-ა მას იგი
11. ე-R-ო-ს მას იგი

ვაუღლოთ თვითონ ზმნა:

I სერია

1. სცემ-ს ის მას
2. სცემ-დ-ა ის მას
3. სცემ-დ-ე-ს ის მას
4. სცემ-ს ის მას
5. სცემ-დ-ა ის მას
6. სცემ-დ-ე-ს ის მას

II სერია

7. სცემ-ა მან მას

8. სცემ-ო-ს მან მას

III სერია

9. უ-ცემ-ი-ა მას იგი

10. ე-ცემ-ა მას იგი

11. ე-ცემ-ო-ს მას

დასკვნები და ზოგადი დებულებები

საშუალო გვარის ზმნების სტრუქტურისა და უღლების თავისებურებების განხილვის შემდეგ გაირკვა, რომ:

საშუალო გვარის ზმნების რიგში ერთიანდება სხვადასხვა წარმოშობისა და სტრუქტურის ფორმები:

1. "საკუთრივ" საშუალო, წარმოშობითვე ერთპირიანი ფორმები: *დულს ის;*
 2. მოქმედებითი გვარისგან პირის კლებით მიღებული ერთპირიანი ფორმები: *ახველებს მას;*
 3. უძველესი ფორმაციის გარდაუვალი ერთ და ორპირიანი ფორმები: *ზის ის, უყვარს ის მას;*
 4. ნასახელარი ერთ და ორპირიანი ფორმები: *მეფობს ის, პატრონობს ის მას;*
 5. გარდამავალი ორპირიანი (და სამპირიანიც) ფორმები, სადაც პირდაპირი ობიექტი შემდეგ არის განვითარებული: *ნანობს ის მას / ინანა მან ის;*
- რაც შეეხება სუღლებას:

ზმნათა უმრავლესობა ასეთ სურათს გვიჩვენებს: **ი-/უ-** პრეფიქსები მყოფადსა წრისა და II სერიის მწკრივებში, მყოფადის წრეში მხოლოდ **-ებ** თემის ნიშანი, III სერიის წარმოება – ინვერსიულად. ასეთი უღლებისაა, მაგალითად, დულს ფორმა:

დულ-ს ის

ი-დულ-ებ-ს ის

ი-დულ-ა მან

უ-დულ-ი-ა მას

ამ წესისგან გამონაკლისს აჩვენებს მხოლოდ:

ა) გაუხმოვანებელი ძირის მქონე **-ობ** თემისნიშნისანი ზმნები (რომლებიც მყოფადის წრის მწკრივებში ინარჩუნებენ **-ობ** თემის ნიშანს);

ბ) ხმოვანმონაცვლე ფუძეები, რომლებიც უთემისნიშნოდ აწარმოებენ აღნიშნულ მწკრივებს.

ა, ე, ო ხმოვნებზე დაბოლოებული **-ობ** თემისნიშნისანი ზმნები უღლებისას ვ თანხმოვანს ჩაირთავენ:

ქანა-ობ-ს _ ი-ქანა-ვ-ებ-ს

მორიგე-ობ-ს _ ი-მორიგე-ვ-ებ-ს

დრო-ობ-ს _ ი-დრო-ვ-ებ-ს

არის ტენდენცია, აღნიშნული ტიპის უღლების წარმოებისას დამატებით გამოყენებულ იქნას ზმნისწინი. ეს მოვლენა მაშინ იჩენს თავს, როდესაც მიდრეკილებაა ზმნურ ფორმაში პირდაპირი ობიექტის გაჩენისა. მაგ:

ტირ-ი-ს ის _ ი-ტირა მან _ წამო-ი-ტირა მან ის

ამ შემთხვევაში პირდაპირი ობიექტის როლს ასრულებს ნაცვალსახელი *ერთი* (იგულისხმება – *იტირა, გაათავა “ერთი ტირილი”*)

როდესაც უღლებისას **ი-/უ-** პრეფიქსების ნაცვლად თავს იჩენს მხოლოდ ზმნისწინი, მაშინ კი თითქმის ყოველთვის დამტკიცებით შეიძლება ითქვას, რომ ფორმა წარმოშობით აქტიური ზმნაა და უღლებაც აქტივიდან აქვს გადმოყოლილი. ასეთი შეიძლება იყოს როგორც აწმყოში უპრეფიქსო (ანუ საშუალის სტრუქტურის), ისე სხვადასხვა პრეფიქსიანი (ხშირად **ა-** თავსართიანი) ფორმებიც. მაგ:

ცურავს ის (მას) _ გა-ცურავს ის (მას)

ა-ხველებს მას _ და-ახველებს მას

შედარებით მცირე რაოდენობა საშუალო გვარის ზმნებისა პასივისებურ უღლებას მისდევს. ამ ზმნათა უმრავლესობა უთემისნიშნო ფორმებია. ასეთია, მაგალითად, *დგას*, რომლის უღლებაც შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

დგას / იდგება / იდგა / მდგარა

გვხვდება ა- პრეფიქსიანი წარმოებაც: *ჯობნის-აჯობებს-აჯობა-უჯობნია*.

გარდა ამისა, უთემისნიშნო და განსაკუთრებით პასივისებური უღლების მქონე ფორმები რიგ თავისებურებებს გვიჩვენებენ როგორც მწკრივთა წარმოება-არწარმოების (ზოგს II სერია არა აქვს, ზოგს კი უწყვეტელი და უწყვეტლის კავშირებითი), ასევე უღლებისას სხვადასხვა ფონეტიკური ცვლილების (პრეფიქს-სუფიქსების დამატება, კუმშვა) სახით.

ზოგადად, საშუალო გვარის ზმნებში გაერთიანებულია სხვადასხვა სტრუქტურის, წარმოშობის, პირიანობისა და უღლების მქონე ზმნები.

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, თბ., 1950-1964
2. ქართული ენის ინვერსიული ლექსიკონი, თბ., 1967
3. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970
4. ხანმეტი ტექსტები, თბ., 1984
5. ნ. აბესაძე, სახელთა შეწყობა ბრუნვებში *აცეებს* ტიპის ზმნებთან, ქსკს, I, თბ., 1972
6. ნ. ანდლულაძე, კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბ., 1968
7. ანტონ I, ქართული ღრამმატიკა, თბ., 1885
8. ა. არაბული, მესამე სერიის ნაკვეთულთა წარმოება და მნიშვნელობა ძველ ქართულში, თბ., 1984
9. ა. არაბული, ქართული ზმნის ფორმანტთა სემანტიკური ანალიზისათვის, მაცნე, IV, თბ., 1992
10. რ. ასათიანი, ზმნურ პრეფიქსულ ხმოვანთა ფუნქციონალური კვალიფიკაცია ქართველურ ენებში, საქ. მეცნ. აკად. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, III, თბ., 1987

11. რ. ასათიანი, გვარის მორფოლოგიური კატეგორია ქართულსა და ქართველურ ენებში, ტიპოლოგიური ძიებანი, თბ., 1991
12. შ. აფრიდონიძე, უ ხმოვანზე ფუძეგათავებულ ზმნათა უღლებასთან დაკავშირებული ნორმატიული საკითხები ქართულში, იკე, XXVII, თბ., 1988.
13. შ. აფრიდონიძე, ინვერსიის სტილისტური დანიშნულებისათვის, თსუ შრ., 143, ენათმეცნიერება, №4, თბ., 1974
14. შ. აფრიდონიძე, ერგატიული და ფსევდოერგატიული კონსტრუქციების შემქმნელი გარდაუვალი ზმნების მორფოსინტაქსის საკითხები, არნ. ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1998
15. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949
16. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბ., 1966
17. ლ. ბარამიძე, ზოგიერთი ტიპის მემველზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში, თსუ ძვ. ქართ. ენის კათ. შრ., 9, თბ., 1964
18. ლ. ბარამიძე, ვნებითი გვარის ზმნათა აწმყოს დაბოლოებისათვის ძველ ქართულში, თსუ ძვ. ქართ. ენის კათ. შრ., 23, თბ., 1980
19. ლ. ბარამიძე, საწყისი ძველ ქართულში, თსუ ძვ. ქართ. ენის კათ. შრ., 23, თბ., 1980
20. გაიოზ რექტორი, ქართული დრამმატიკა, თბ., 1970
21. თ. გამყრელიძე, ზმნის “პირიანობა” და “ვალენტობა”, რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბ., 2000
22. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965
23. ლ. გეგუჩაძე, მყოფადის მნიშვნელობათათვის ქართულში ჰიპოტაქსურ კონსტრუქციათა საფუძველზე, ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბ., 1980
24. ლ. გეგუჩაძე, ერთი ტიპის ზმნათა გარდამავლობისა და გვარის საკითხისათვის, საენათმეცნიერო ძიებანი, VI, თბ., 1997

25. ლ. გეგუჩაძე, კონტექსტის მნიშვნელობისათვის მწკრივთა დროულ-კილოურ შესაძლებლობათა რეალიზაციისას, (კრებ.) ვარლამ თოფურია – 100, თბ., 2001
26. ბ. გიგინეიშვილი, ძველი ქართული ენის გრამატიკიდან, მრავალთავი, XIV, თბ., 1987
27. თ. გიორგობიანი, უკუქცევითობა, საშუალი გვარი ბერძნულში და სათავისო ქცევა ქართულში, საენათმეცნიერო ძიებანი, VI, თბ., 1997
28. თ. გიორგობიანი, ზმნის ძირითადი კატეგორიები ბერძნულში, თბ., 1998
29. თ. გიორგობიანი, ბერძნული ზმნა ძველქართულ თარგმანებში, თბ., 2005
30. გ. გოგოლაშვილი, შერეული პარადიგმები ნამყო ძირითადის წარმოებაში, ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები, თბ., 1978
31. გ. გოგოლაშვილი, -ავ ელემენტთან მედიაქტიურ ზმნათა შესახებ ქართულში, ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბ., 1980.
32. გ. გოგოლაშვილი, სუბიექტური მესამე პირის –ო სუფიქსის შესახებ თანამედროვე ქართულში, ქსკს, IV, თბ., 1981
33. გ. გოგოლაშვილი, დრო-კილოთა II სერიის ფორმები ახალ ქართულში, თბ., 1984
34. გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, თბ., 1988
35. გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია, ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონი, თბ., 1989
36. აკ. დავითიანი, ზმნის გარდამავლობისა და გვარის სწავლება, ქელს, I, თბ., 1969
37. ს. დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961
38. რ. ენუქაშვილი, საშუალი გვარის საკითხისათვის ქართულში, ქელს, II, თბ., 1973
39. რ. ენუქაშვილი, საშუალი გვარის ზმნები ძველ ქართულში, (საკანდიდატო დისერტ. ავტორეფერატი), თბ., 1974
40. რ. ენუქაშვილი, საშუალი გვარის ზმნათა პირიანობის საკითხისათვის, ძვ. ქართ, ენის კათ. შრ., 27, თბ., 1988

41. ლ. ენუქიძე, ვალენტობის ცნება ენათმეცნიერებაში, ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში, თბ., 1978
42. ფ. ერთელიშვილი, რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში, I, ჰიპოტაქსის საკითხები, თბ., 1963
43. ფ. ერთელიშვილი, ქცევის საკითხისათვის ქართულში, თსუ შრ., 114, თბ., 1965
44. ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბ., 1970
45. თ. ზურაბიშვილი, მიცემითისა და სახელობითის გაქვავებულ ფორმათა გამოყენება დროის გამოხატვისას, ქსკს, II, თბ., 1979
46. ვ. თოფურია, ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის, თსუ შრ., III, თბ., 1936
47. ვ. თოფურია, III ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, III, თბ., 1942
48. ვ. თოფურია, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, III, თბ., 1942
49. ვ. თოფურია, ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში, იკე, VII, თბ., 1955
50. ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვათწარმოებიდან, VI, კომპოზიტი, ქესს, თბ., 1958
51. ვ. თოფურია, შრომები, III, თბ., 1979
52. გრ. იმნაიშვილი, ქართული ზმნის გვარის კატეგორიის შესწავლის ისტორიიდან, იკე, XXIX, თბ., 1990
53. ივ. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, თბ., 1970, 1971
54. ივ. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, ზმნა ძველ ქართულში, I-II, მაინის ფრანკფურტი, 1996
55. ვ. კალანდაძე, *გებულობს, ლებულობს* ტიპის ზმნები თანამედროვე ქართულში, ქსკს, I, თბ., 1972

56. ვ. კალანდაძე, *პასუხობს* ტიპის ზმნები თანამედროვე ქართულში, ქსკს, IV, თბ., 1981
57. ლ. კვაჭაძე, ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1973
58. ი. კიკნაძე, III პირის მრავლობითობის გამოხატვისათვის თანამედროვე ქართულში, დიალექტოლოგიური კრებული, თბ., 1987
59. ლ. კიკნაძე, ძირეული და ნასახელარი ზმნები ქართულში, თსუ შრ., 28, თბ., 1946
60. ლ. კიკნაძე, ზმნის ოთხპირიანობისათვის ქართულში, კომ. აღზრდა, 18, 9, თბ., 1957
61. ნ. ლოლაძე, სტატიკურ ზმნათა ფორმოზოვი და სემანტიკური კლასიფიკაციისათვის ქართველურ ენებში (საკანდ. დისერტაციის ავტორეფერატი), თბ., 1995
62. ნ. ლოლაძე, გრძნობა-აღქმის ზმნები ქართულში, იკე, XXXV, თბ., 2005
63. ქ. ლომთათიძე, ნაშთები III პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში, თსუ შრ., 6, თბ., 1938
64. ქ. ლომთათიძე, «თბება» ტიპის ზმნათა ისტორიისათვის ქართულში, იკე, IV, თბ., 1953
65. გ. მაჭავარიანი, ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში (საკანდ. დისერტ. ავტორეფერატი), თბ., 1953
66. გ. მაჭავარიანი, გრძლიობის, ასპექტისა და დროის მიმართება თანამედროვე ქართულში, «მიმომხილველი», 1-9, თბ., 1972
67. გ. მაჭავარიანი, ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში, ქესს, IV, თბ., 1974
68. გ. მაჭავარიანი, კაუზატივის კატეგორია ქართველურ ენებში, იკე, XXVII, თბ., 1988
69. მ. მაჭავარიანი, ქცევის კატეგორიის საკითხისათვის, იკე, XXII, თბ., 1980
70. მ. მაჭავარიანი, ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა, თბ., 1987
71. დ. მელიქიშვილი, «მიჭირს» ზმნა და მასწავლებლის გასაჭირი, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, IV, თბ., 1978

72. დ. მელიქიშვილი, მოქმედებითი გვარის ზმნის უღლების სისტემა თანამედროვე ქართულში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, I, თბ., 1979
73. დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის სინტაქსური მექანიზმის აღწერისათვის, საენათმეცნიერო ძიებანი, IV, თბ., 1980
74. დ. მელიქიშვილი, ინვერსია ქართულ ზმნაში, დიაქრონიული და სინქრონიული ასპექტით, ა. ჩიქობავას 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1998
75. დ. მელიქიშვილი, ზმნის სტრუქტურა და კონსტრუქცია ქართულ ენაში დიათეზებისა და გვარების თეორიის კონტექსტში, (კრებ.) ვარლამ თოფურია _ 100, თბ., 2001
76. დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001
77. ნ. ნათაძე, III სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში, იკე, VII, თბ., 1955
78. ნ. ნათაძე, III სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში, იკე, VIII, თბ., 1956
79. მ. ნიკოლაიშვილი, გვარის კატეგორიისათვის ქართულში, საენათმეცნიერო ძიებანი, XVI, თბ., 2004
80. ლ. ნოზაძე, მედიაოქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, იკე, XIX, თბ., 1974
81. ლ. ნოზაძე, ისევ მედიაოქტიური ზმნების შესახებ ქართულში, იკე, XXXV, თბ., 2005
82. ე. ოსიძე, ღაღად-ყო ტიპის ზმნები ძველ ქართულში, იკე, XII, თბ., 1970
83. გ. როგავა, კუთვნილებითი აფიქსი ი ქართველურ ენათა ზმნისა და სახელის მორფოლოგიურ კატეგორიებში (ქცევასა და ბრუნვებში), მეცნ. აკად. მოამბე, III, თბ., 1942
84. გ. როგავა, ნამყო უსრულის –ოდ სუფიქსის შედგენილობისათვის ქართულში, იკე, VI, თბ., 1954
85. ლ. სანიკიძე, გაორკეცება ქართულში, იკეწ, III, თბ., 1976
86. მ. სუხიშვილი, სტატიკური ზმნები ქართულში, თბ., 1976

87. მ. სუხიშვილი, მყოფადის წარმოება და სტატიკურ ზმნათა პარადიგმა ქართულში, იკე, თბ., 1978
88. მ. სუხიშვილი, მოქმედებითი და ვნებითი გვარის წარმოებისა და სემანტიკის ზოგიერთი საკითხი ქართულში, ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბ., 1980
89. მ. სუხიშვილი, « ანუკამ ილანძლა და იგინა » თუ « ანუკა ილანძლა და იგინა ? », ქსკს, IV, 1981
90. მ. სუხიშვილი, გარდამავალი ზმნები ქართულში, თბ., 1986
91. მ. სუხიშვილი, გარდამავლობა, ერგატიულობა და გვარი ქართულში (სადოქტ. დისერტაცია), თბ., 1999
92. მ. სუხიშვილი, « მყოფობა », « მქონებლობის » გამოხატვისათვის ძველი ქართულის საშუალო გვარის ზმნათა საქცეო სისტემაში, ქესს, IX, თბ., 2005
93. მ. სუხიშვილი, სემანტიკისა და უღვლილების პარადიგმის მიმართების შესახებ მედიაოქტიურ ზმნებში, იკე, XXXV, თბ., 2005
94. თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976
95. თ. უთურგაიძე, კაუზაციის კატეგორია ქართულში, იკე, XXIII, თბ., 1995
96. თ. უთურგაიძე, პირმიმართ და პირმიუმართავ აქტანტთა ურთიერთობისათვის ქართულ ზმნაში, ა.ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1998.
97. ა. ურუშაძე, ძველი ბერძნული ენა, თბ., 1987
98. ჟ. ფეიქრიშვილი, საშუალო გვარის ზმნათა ერთი ჯგუფის წარმოებისათვის, ქელს, IV, თბ., 1977
99. ე. ფუტყარაძე, საშუალო გვარის ზმნათა ზოგი საკითხისათვის ქართულში, ბსუ შრ., VI, ბათ., 2004
100. ივ. ქავთარაძე, რიცხვნაკლი ზმნები ძველ ქართულში, იკე, I, თბ., 1946
101. ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954
102. ივ. ქავთარაძე, უნახაობის კატეგორიის ისტორიისათვის ქართულში, იკე, VIII, თბ., 1956

103. ნ. შავთვალამე, ზოგ –ავ თემისნიშნიან ზმნათა წარმოების შესახებ, ფილოლოგიის ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, II, თბ., 1998
104. ა. შანიძე, ქართული გრამატიკა, I, მორფოლოგია, ტფ., 1930
105. ა. შანიძე, ზმნათა გარდამავლობის საკითხისათვის ქართველურ ენებში, I, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, III, თბ., 1942
106. ა. შანიძე, მწკრივთა მოძღვრებისათვის, სამი მწკრივის წარმოების თავისებურებანი ძველ ქართულში, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, VI, თბ., 1945
107. ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბ., 1957
108. ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი II პირისა და ობიექტური პრეფიქსი III პირისა ქართულ ზმნაში, თხზულებანი, II, 1985
109. ა. შანიძე, გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში, თსუ ძვ. ქართ. ენის კათ. შრ., 7, თბ., 1961
110. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973
111. ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976
112. არნ. ჩიქობავა, რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველ ქართულში, თსუ მოამბე, IX, თბ., 1929
113. არნ. ჩიქობავა, ზმნის გარდამავლობასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები, თბ., 1934
114. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942
115. არნ. ჩიქობავა, პერმანსივის («ხოლმეობითის») ისტორიული ადგილისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, IV, თბ., 1943
116. არნ. ჩიქობავა, გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ნიშნების ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, V, თბ., 1944

117. არნ. ჩიქობავა, *აქუს* ფუძის უცნობი ვარიანტებისათვის ძველ ქართულში, თსუ შრ., 30-31, თბ., 1947
118. არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბ., 1948
119. არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება, ქეგლ, I, თბ., 1950
120. არნ. ჩიქობავა, მრავლობითის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში, იკე, VI, თბ., 1954
121. არნ. ჩიქობავა, ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართულ ზმნებში, იკე, XI, თბ., 1959
122. არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, II, ერგატიული კონსტრუქციის რაობის თეორიები, თბ., 1961
123. არნ. ჩიქობავა, ქართული ზმნის ნაკვეთულთა დაჯგუფების პრინციპებისათვის, იკე, XIII, თბ., 1962
124. არნ. ჩიქობავა, აწმყოს ფუძის წარმოქმნის ისტორიისათვის, იკე, XIV, თბ., 1964
125. არნ. ჩიქობავა, ქართული ზმნის უღვლილების სისტემის საკითხები, იკე, XVI, თბ., 1968
126. არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, ქვემდებარე-დამატების საკითხი ძველ ქართულში, მასალები მეთოდოლოგიური იმანენტიზმისათვის, თბ., 1968
127. არნ. ჩიქობავა, ზმნის გარდამავლობა, როგორც მორფოლოგიური კატეგორია ქართულში, იკეწ, IV, თბ., 1977
128. არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979
129. არნ. ჩიქობავა, ზმნის გარდამავლობისა და გვარის კატეგორიის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართველურ ენებში, იკეწ, VIII, თბ., 1981
130. ზ. ჭუმბურიძე, -ავ და -ამ თემისნიშნის ზმნათა უღვლებისათვის I თურმეობითში, თსუ ძვ. ქართ. ენის კათ. შრ., 19, თბ., 1976

131. ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986
132. ზ. ჭუმბურიძე, მყოფადის წარმოქმნის ისტორიისათვის ქართულში, თსუ მც. ქართ. ენის კათ. შრ., 11, თბ., 1968
133. ს. ხუნდაძე, ქართული გრამატიკა, ქუთ., 1911
134. მ. ჯანაშვილი, ქართული გრამატიკა, ტფ., 1906
135. ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975
136. ბ. ჯორბენაძე, ზმნურ ფუძეთა აგების პრინციპები ქართულში, იკეწ, V, თბ., 1978
137. ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980
138. ბ. ჯორბენაძე, ფორმანტთა სემანტიკური ინფორმაციულობის საკითხისათვის ქართულში, ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბ., 1980
139. ბ. ჯორბენაძე, ინვერსიულ ზმნათა ჩამოყალიბების პრინციპები ქართულში, იკეწ, VIII, თბ., 1981
140. ბ. ჯორბენაძე, ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბ., 1983
141. ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის ფაკულტატური გრამატიკის საკითხები, თბ., 1985
142. ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988
143. ბ. ჯორბენაძე, თემის ნიშანთა განაწილებისათვის ქართულში, იკე, XXVII, თბ., 1988
144. ბ. ჯორბენაძე, ინხოატივი ქართულში, იკე, XXVIII, თბ., 1989
145. დ. ჰოლისკი, ასპექტი და ქართული მედიალური ზმნა, თბ., 2000
146. Н. Март, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л, 1925
147. G. Deeters, Das kharthwelische verbum, Leipzig, 1994

შესავალი;**I თავი**

§1. -ებ თემისნიშნიანი ზმნების აგებულება ;

§2. -ებ თემისნიშნიანი ზმნების უღლება;

II თავი

§3. -ობ თემისნიშნიანი ზმნები აგებულების მიხედვით;

§4. -ობ თემისნიშნიანი ზმნების უღლება;

III თავი

§5. -ავ თემისნიშნიანი ზმნები აგებულების მიხედვით;

§6. -ავ თემისნიშნიანი ზმნათა უღლება;

IV თავი

§7. -ი თემისნიშნიანი ზმნები აგებულების მიხედვით;

§8. -ი თემისნიშნიანი ზმნების უღლება;

V თავი

§9. ფუძედრეკადი ზმნების აგებულება;

§10. ფუძედრეკადი ზმნების უღლება;

VI თავი

§11. უთემისნიშნიანი ზმნების აგებულება;

§12 უთემისნიშნიანი ზმნათა უღლება;

გამოყენებული ლიტერატურის სია.